

ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული
მოწყობის რეფორმების ცენტრი

**რა არის
საინფორმაციო საზოგადოება**

თბილისი
2007წ

გამოცემა „არადანის“ მიერ

ISBN 978-99928-72-17-8

წინათქმა

წინამდებარე ბროშურა მომზადებულია ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრის ექსპერტების ალექსანდრე სვანიშვილისა და დავით ზარდიაშვილის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის „ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მხარდაჭერა“ ფარგლებში.. ბროშურაში წარმოდგენილია სამი რუბრიკა. კერძოდ:

I. „საინფორმაციო საზოგადოების მთავარი ამბები“

ამ რუბრიკით ქართულ ენაზე ქვეყნდება ორი ძალზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი - „გაეროს მოქმედებათა გეგმა“, რომელიც მიღებულია 2003 წლის 12 დეკემბერს ჟენევაში, საინფორმაციო საზოგადოების საკითხებზე უმაღლესი დონის შეხვედრის პირველ ეტაპზე, აგრეთვე „გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ოკინავას ქარტია“, რომელიც მიღებულია G8 ქვეყნის ლიდერების მიერ ოკინავაში, 2000 წლის 22 ივლისს. ამ დოკუმენტების ქართულ ენაზე გამოქვეყნება მიზნად ისახავს ხელისუფლების წარმომადგენელთა და საერთოდ, ქართული საზოგადოების ყურადღება მიაპყროს საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობის სფეროში მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ორგანიზაციების (ამჯერად გაეროსა და „რვათა ჯგუფის“ ქვეყნების) სტრატეგიას.

II. „გზა საინფორმაციო საზოგადოებისაკენ“

ამ რუბრიკაში მკითხველი გაეცნობა საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობის „ტექნოლოგიის“ ამსახველ მასალებს: კონცეფციებს, პროგრამებს, პროექტებს

III. „საინფორმაციო საზოგადოების გამოცდილება“

ამ რუბრიკით ორი სტატია ქვეყნდება. მათგან პირველი ეძღვნება საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობის სფეროში ესტონეთის შთაბეჭდავ და საქართველოსათვის უაღრესად სამაგალითო გამოცდილებას. მეორე სტატიაში მკითხველი გაეცნობა საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერის – კომპანია მაიკროსოფტის სტრატეგიას ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა ელექტრონული მთავრობა.

მთლიანობაში ბროშურა მიზნად ისახავს ქართული საზოგადოების ყურადღების მიპყრობას თანამედროვე ცივილიზაციის უმთავრესი, გლობალური მასშტაბის ტენდენციისადმი – კაცობრიობის განვითარების ისტორიაში დღეს მიმდინარე საინფორმაციო საზოგადოების შექმნის პროცესისადმი და საქართველოს ამ პროცესში აქტიური ჩართვის აუცილებლობისადმი.

ვიმედოვნებთ, რომ საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობისათვის ბროშურა შესძლებს ქვეყნის ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კერძო და სამოქალაქო სექტორის კონსოლიდირების პროცესის გააქტიურებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს და მოუთმენლად ველით საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მეწარმეების, საერთოდ, ნებისმიერი დაინტერესებული ორგანიზაციისა თუ კერძო პირის საქმიან გამომხატურებას ბიულეტენში დასმულ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე.

შინაარსი

შმსაკვალ	6
I. საინფორმაციო საზოგადოების მთავარი ამბები	
გაეროს მოქმედებათა გეგმა საინფორმაციო საზოგადოების საკითხებზე (ჟენევის დოკუმენტი)	12
გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ოკინავას ქ ა რ ტ ი ა	53
II. გზა საინფორმაციო საზოგადოებისაკენ	
საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფცია (პროექტი)	81
ელექტრონული მთავრობა საქართველოსათვის: არსი, აქტუალობა, შექმნის პერსპექტივები და შესაძლებლობანი	138
თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის კონცეფცია	160
თვითმმართველი ერთეულის ვებ-გვერდის ტიპიური დებულება	178
III. საინფორმაციო საზოგადოების გამომცდილება	
ესტონეთი: საინფორმაციო საზოგადოების შექმნის გამოცდილება	186
კორპორაცია მაიკროსოფტის სტრატეგია სახელმწიფო სამსახურების ავტომატიზაციის შესახებ	193

შესავალი

მე-20 საუკუნის ბოლოს მომხდარმა საინფორმაციო ტექნოლოგიურმა რევოლუციამ დღევანდელი სამყარო უდიდესი სოციალური გარდაქმნების წინაშე დააყენა. საინფორმაციო ტექნოლოგიები გარშემო ყველაფერს სწრაფად ცვლიან, ასეთი ცვლილებები შეუქცევადი და საყოველთაოა.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი შედეგი გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნაა, რომელშიც სრულიად ახალი ტიპის, საინფორმაციო ურთიერთქმედებებზე დამოკიდებული სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობები ყალიბდება. ახალი კავშირ-ურთიერთობანი ცივილიზაციის ახალი ეტაპის – საინფორმაციო საზოგადოების შექმნას მოასწავებენ. განვითარებულ ქვეყნებში უკვე თვალსაჩინოა საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ნიშნები, კერძოდ:

1) ინფორმაციისა და ცოდნის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ცხოვრების ყველა სფეროსათვის.

2) საინფორმაციო პროცესებისა და ურთიერთქმედებათა გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ინტეგრირება, ამ სივრცის გარეთ პრაქტიკულად აღარ მიმდინარეობს და იმავდროულად შეუძლებელი ხდება სოციალურად მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივად აუცილებელი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, განაწილებისა და მოხმარების, ინფორმაციის გაცვლის პროცესი.

3) ახალ ტექნოლოგიურ წყობათა შექმნა და მათი დომინირება.

4) შრომის ბაზარზე მოთხოვნილების წამყვან მახასიათებლებად მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმისა და შემოქმედებითი ნიჭის გადაქცევა.

5) ადამიანისა და მოქალაქის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა უზრუნველყოფის, მოსახლეობისა და ხელისუფლების ურთიერთქმედების ეფექტიანი სისტემების მზარდი განვითარება.

საინფორმაციო საზოგადოების შექმნა გლობალური პროცესია, მას გვერდს ვერავინ აუქცევს. ადამიანის საარსებო გარემოში საინფორმაციო სივრცე ყველგან წამყვან ადგილს იჭერს. ამ სივრცეში ჩართვის, თანამედროვე ინფოკომუნიკაციების, საინფორმაციო პროდუქტების წარმოება-მოხმარების გარეშე აღარსად და აღარაფრის არათუ გაკეთება, არამედ უკვე წარმოებული საქონლის მოხმარებაც თანდათან უფრო და უფრო რთულდება, ხშირად კი სულაც შეუძლებელი ხდება.

მსოფლიო მრავალფეროვნებისა და განვითარების უთანაბრობის მიუხედავად, გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი ცვლილებები ნებისმიერი პიროვნების, სოციალური ჯგუფის, ერისა თუ სახელმწიფოს ცხოვრებაში ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს.

წარმატებული წინსვლა საინფორმაციო საზოგადოებისაკენ მოწინავე ქვეყნების გეოპოლიტიკურ მიზნებსა და პრიორიტეტებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და მათი ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედაა. მეტიც, უკვე ინტენსიურად ხორციელდება მოწინავე ქვეყნების ძალისხმევათა კოორდინაცია, რომელიც მიმართულია გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შექმნისაკენ. ამის დასტური და ნათელი ილუსტრაციაა დიდი შვიდეულისა და რუსეთის მიერ ოკონავას „გლობალური საინფორ-

მაცხოვრებლის ქარტიის“ ხელმოწერაც 2000 წლის აგვისტოში.

მსოფლიო განვითარების უმთავრესი ტენდენცია – გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შექმნა – პრინციპულად ცვლის განვითარებადი ქვეყნების სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. შეუძლებელი ხდება ამ ქვეყნების იზოლირებული განვითარება მსოფლიო პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ და უპირველეს ყოვლისა, უკვე ჩამოყალიბებულ გლობალურ საინფორმაციო სივრცეში მზარდი ინტეგრაციის გარეშე. ასეთ ინტეგრაციას ველარაფერი შეაჩერებს, მაგრამ განვითარებადი ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსათვისაც არსებობს ალტერნატივა: თავისუფალი ეროვნული განვითარების პერსპექტივის უზრუნველყოფა ანდა გაქრობა.

ე.წ. გარდამავალი ქვეყნების განვითარების პერსპექტივა გლობალურ საინფორმაციო სივრცეში ადაპტირების და საბოლოო ჯამში გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში წარმატებული ინტეგრაციის უნარზე სასიცოცხლოდ ხდება დამოკიდებული. გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში შესაბამისად კარი ყველასათვის ღიაა, არ არსებობს უფლებრივი დისკრიმინაცია, მაგრამ აუცილებელია როგორც ტექნიკურ-ტექნოლოგიური, აგრეთვე შესაბამისი სოციალური შინაარსის მქონე „ალჭურვილობა“: მართო სურვილი და უფლებრივი თანასწორობა აღარ კმარა, უნდა გაგანჩდეს როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიები, თანამედროვე ინფოკომუნიკაციები, განვითარებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა ასევე, და რაც მთავარია, ისეთი სოციალური გარემო, სადაც უზრუნველყოფილია მათი თავისუფალი, ეფექტიანი, შემოქმედებითი და ეროვნული ინტერესების შესაბამისად გამოყენება.

ქვეყნებს, რომელთა განვითარების სტრატეგია საკმარისად არ ითვალისწინებს საინფორმაციო საზოგადოების პირობათა შექმნას, უახლოეს მომავალში ძალზე სერიოზული საფრთხე დაემუქრებათ, კერძოდ:

პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და საინფორმაციო იზოლაციის შედეგად ეროვნული კატასტროფა, ანდა ძლიერ სახელმწიფოებზე ტოტალური დამოკიდებულობის და საბოლოო ჯამში ეროვნული სუვერენიტეტის პრაქტიკული დათმობის შედეგად თავისუფალი განვითარების პერსპექტივის საბოლოო გაქრობა.

საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა ამგვარი საფრთხის წინაშე იმყოფება. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გლობალიზაციის ეპოქისათვის ადექვატური ეროვნული განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მიღება და სწრაფად განხორციელება.

ეპოქის შესაბამისი ასეთი სტრატეგია გულისხმობს ინდუსტრიული ეტაპისა და სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის მიზნებისა და ამოცანების ჰორიზონტის მნიშვნელოვან შინაარსობრივ გაფართოებას. **ქვეყნის წარმატებული აღმშენებლობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა საინფორმაციო საზოგადოების შექმნის პირობათა უზრუნველყოფის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ამოცანები.**

სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის აღმშენებლობა, რაც დღეს ეროვნული განვითარების სასურველ პერსპექტივად მიიჩნევა, განუხორციელებელი დარჩება და უტოპიად იქცევა, თუკი ჯერონად არ გავითვალისწინებთ მსოფლიო განვითარების ეპოქალურ ტენდენციებს და ქვეყნის მოდერნიზაციის სტრატეგიას არ წარვმართავთ ეპოქალური გამოწვევის

– საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ამოცანის წარმატებულად გადასაწყვეტად.

საინფორმაციო საზოგადოების შექმნის უმთავრესი საფუძველი პროგრესირებადი ინფორმატიზაციაა. **დღეს ინფორმატიზაცია საქართველოში არაგეგმაზომიერად, ქაოტურად მიმდინარეობს**, რის შედეგადაც არათუ არ ყალიბდება, არამედ ბევრ შემთხვევაში ხელი ეშლება საინფორმაციო საზოგადოებისათვის სავალდებულო ეროვნული საინფორმაციო გარემოს შექმნას. სოციალურად მნიშვნელოვან და საზოგადოებრივად აუცილებელ საინფორმაციო პროდუქტთა და მომსახურებათა წარმოება და მოხმარება სამართლებრივად და სოციალურ-ეკონომიკურად მოუწესრიგებელია, განუვითარებელია და არ ხდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის სტიმულირება, შეზღუდულია სხვადასხვა სფეროებში ინფორმატიზაციის საშუალებების და საერთოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიების როგორც საჯარო, ასევე კერძო მიზნებით გამოყენება, დაუცველია საქართველოს საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოება და ა.შ.

ვითარება სასწრაფოდ თუ არ გამოსწორდება, სავალალო შედეგებს მივიღებთ: თუ არ ჩამოყალიბდება ერთიანი, ეროვნული საინფორმაციო სივრცე, არ შეიქმნება ეროვნული საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ეროვნულ-კულტურული პირობები, მაშინ გლობალურ საინფორმაციო გარემოსა და გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში მოხდება არა საქართველოს, არამედ მისი ცალკეული, ერთიანობას მოკლებული ფრაგმენტების ქაოტური ინტეგრაცია. ასეთი ინტეგრაცია შედეგად საქართველოს სოციალურ დეზინტეგრაციას მოიტანს, დაინგრევა საერთო ეროვნული ნიადაგი, საფუძველი გამოეცლება საერთო ეროვნულ კულტურას.

ამგვარი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ახალი ეპოქის რეალობათა გაცნობიერება, ქართული საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობის პოლიტიკური ნება, განვითარების სწორი სტრატეგიის არჩევა და მის განსახორციელებლად საჭირო ეროვნული რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზაცია.

საქართველოს გააჩნია საკმარისი პოტენციალი, რათა ღირსეულად გადაჭრას საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ეპოქალური ამოცანა, გახდეს გლობალური საინფორმაციო საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი და სრულად გამოიყენოს ახალი ეპოქის შესაძლებლობანი ქართველი ხალხის თავისუფალი განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება, ინფორმაციზაცია საერთო ეროვნული ამოცანა და პრობლემაა, მის გადაწყვეტაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის სამეწარმეო სექტორი, საზოგადოებრივი, არასამთავრობო ორგანიზაციები და განსაკუთრებული უნდა იყოს სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი.

I. საინფორმაციო საზოგადოების აზრები

გაეროს მოქმედებათა გეგმა

(ჟენევის დოკუმენტი საინფორმაციო საზოგადოების საკითხებზე)

2003 წლის დეკემბერში საინფორმაციო საზოგადოების საკითხების შესახებ უმაღლესი დონის ორ ეტაპიანი შეხვედრის პირველ ეტაპზე (მეორე ეტაპი გაიმართება ტუნისში 2005 წელს) გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული იქნა ორი ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, კერძოდ: სამოქალაქო საზოგადოების დეკლარაცია - „ადამიანის ინტერესებით საინფორმაციო საზოგადოებათა ფორმირება“ და დოკუმენტი სახელწოდებით - „მოქმედებათა გეგმა“. ბიულეტენის ამ რუბრიკას ვხსნით სწორედ „მოქმედებათა გეგმის“ ქართულ ენაზე გამოქვეყნებით, ვინაიდან იგი ყველაზე მეტად ასახავს განვითარების მიზნების მისაღწევად მსოფლიო თანამეგობრობის თანამედროვე სტრატეგიას. მსოფლიო განვითარების სტრატეგიის საერთაშორისოდ შეთანხმებული პრინციპები მოცემულია გაეროს მიერ მიღებულ ისეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში, როგორებიცაა უკვე ნახსენები სამოქალაქო საზოგადოების დეკლარაცია, „ათასწლეულის დეკლარაცია“, მონტერეის კონსენსუსი, იოჰანესბურგის დეკლარაცია. ეს დოკუმენტები წარმოდგენილი იქნება ბიულეტენის შემდგომ ნომრებში, პირველ ნომერში კი საზოგადოების ყურადღებას გავამახვილებთ „მოქმედებათა გეგმაზე“, რათა შეგვექმნას ნათელი წარმოდგენა საინფორმაციო საზოგადოების მნიშვნელობის, მისი განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ და დავრწმუნდეთ განვითარების გლობალურ პროცესში საქართველოს ჩართვის აუცილებლობაში. მით უმეტეს, რომ ამ დოკუმენტში ყურადღება მახვილდება

არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ რეგიონულ და გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ ეროვნულ დონეებზე გასატარებელ ღონისძიებებზე, უპირველესად კი ხაზგასმულია, რომ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა უნდა იკისრონ „ყოვლისმომცველი, პერსპექტიული და მდგრადი ელექტრონული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების“ წამყვანი როლი. ელექტრონული სტრატეგიის შემუშავება, დოკუმენტის მიხედვით, ეროვნულ დონეებზე 2005 წლამდე უნდა განხორციელდეს. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა ვერ დაიკვეხნის ასეთი ეროვნული სტრატეგიის მისაღებად რაიმე სერიოზული შედეგის მომტანი აქტიურობის გამოჩენით. მართალია, გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობის ინიციატივით დღეისათვის მომზადებულია „საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამის“ სამუშაო ვერსია, მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არ არის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ გასული წლის ბოლოს საქართველოში განვითარებული მოვლენების, „ვარდების რევოლუციის“ უზარმაზარი მნიშვნელობა არ იძლეოდა სხვა საკითხებზე, თუნდაც ისეთ უმნიშვნელოვანესზე, როგორცაა ქვეყნის ელექტრონული სტრატეგია, სერიოზული ყურადღების მიპყრობის საშუალებას. იმედია, ქვეყანაში პოსტრევოლუციური პოლიტიკური პროცესები სასურველი კალაპოტით განვითარდება და საინფორმაციო საზოგადოების საკითხებზე უმაღლესი დონის შეხვედრის მეორე ეტაპზე – 2005 წელს ტუნისში საქართველო ღირსეულად იქნება წარმოდგენილი. ჩვენ ასევე ვიმედოვნებთ, რომ ხელისუფლების მიერ გადაიდგმება აუცილებელი ნაბიჯები, რათა მოხერხდეს მუშაობის დაჩქარება ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის და ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და უახლოეს მომავალში მიღებისათვის. ამ მიზნით უნდა სერიოზუ-

ლად გააქტიურდეს როგორც კერძო, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სექტორიც. დრო არ ითმენს, ქვეყნის განვითარებისათვის სრულიად შეუწყნარებელია ინფორმატიზაციის პოლიტიკის სფეროში დღეს არსებული სავალალო ჩამორჩენა. „მოქმედებათა გეგმის“ ქართულ ენაზე გამოქვეყნებით ჩვენ ვცდილობთ არა მხოლოდ ამ სფეროზე ყურადღების გამახვილებას, არამედ კვლით საზოგადოებისა და ხელისუფლების ჯეროვან დაინტერესებასაც, რაც ჩამორჩენის დაძლევის მთავარი საწინდარი იქნება. დავძენთ, რომ დოკუმენტი უაღრესად აქტუალურია, ვინაიდან მას ფუნდამენტალური მნიშვნელობა აქვს ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის და ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისათვის. ამჯერად უკომენტაროდ ვაქვეყნებთ ამ საკმაოდ მოზრდილ დოკუმენტს, სამომავლოდ კი განზრახულია მისი კომენტირებაც.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა თ ა გ ე გ მ ა

დოკუმენტი WSIS –03/Geneva/DOC/5-R
მიღებულია 2003 წლის 12 დეკემბერს

A. შესავალი

1. მოქმედებათა მოცემული გეგმით, სსტ-ს ბაზაზე წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურეობის, ქსელებისა და გამოყენებითი პროგრამების ფართო სარგებლობის მხარდაჭერის გზით, ხორციელდება დეკლარაციის ზოგადი კონცეფცია და სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებსაც მივყევართ განვითარების საერთაშორისოდ შეთანხმებულ, ათასწლეულის დეკლარაციას,

მონტერეის კონსენსუსს, იოჰანესბურგის დეკლარაციასა და გაეროს გადაწყვეტილებათა შესრულების გეგმაში ასახული განვითარების მიზნებისაკენ. აგრეთვე, მოქმედებათა გეგმა მოწოდებულია დაეხმაროს ქვეყნებს ციფრულ ტექნოლოგიებში არსებული განხეთქილების დაძლევაში. საინფორმაციო საზოგადოება, რომლის შექმნა გათვალისწინებულია პრინციპების დეკლარაციაში, თანამშრომლობისა და სოლიდარობის პირობებში სახელმწიფოთა მმართველობის ორგანოებისა და ყველა სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ აშენდება.

2. საინფორმაციო საზოგადოება – ეს ევოლუციურებადი სტრუქტურაა, რომელმაც, ასახა რა განვითარების განსხვავებული სტადიები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დონეს მიაღწია. ტექნოლოგიური პროგრესი და სხვა ცვლილებები სწრაფად გარდაქმნიან საინფორმაციო საზოგადოების განვითარების გარემოს. ამასთან დაკავშირებით მოქმედებათა გეგმა წარმოადგენს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე საინფორმაციო საზოგადოებისაკენ წინსვლის უზრუნველყოფ ევოლუციონირებად საფუძველს. საინფორმაციო საზოგადოების საკითხებზე უმაღლეს დონეზე მსოფლიო შეხვედრის (სსუდშ) უნიკალური ორეტაპიანი სტრუქტურა იძლევა ამგვარი ევოლუციის გათვალისწინების შესაძლებლობას.

3. საინფორმაციო საზოგადოებაში ყველა დაინტერესებულ მხარეს, უპირველეს ყოვლისა პატრნიორული ურთიერთობებით, მოუწევს მნიშვნელოვანი როლის თამაში:

ა) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს ყოვლისმომცველი, პერსპექტიული და მდგრადი ელექტრონული სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში წამყვანი როლი აკისრიათ. მმართველობის ორგანოებთან დიალოგში კერძო სექტორმა და

სამოქალაქო საზოგადოებამ ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის ფორმირებისას მნიშვნელოვანი როლები უნდა შეასრულონ;

ბ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (სსტ), მათი ინფრასტრუქტურის, კონტენტისა და გამოყენებითი პროგრამების განსავითარებლად და გასავრცელებლად კერძო სექტორის მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძო სექტორი არა მხოლოდ ბაზრის მონაწილეა, არამედ მდგრადი განვითარების უფრო ფართო კონტექსტში განმსაზღვრელ როლსაც თამაშობს;

გ) სამართლიანი საინფორმაციო საზოგადოების შესაქმნელად და სსტ-სთან დაკავშირებულ განვითარების ახალ ინიციატივათა განსახორციელებლად ასევე მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების დაინტერესება და მონაწილეობა;

დ) განვითარების პროცესში სსტ-ს გამოყენების ინტეგრაციის, საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობაში აუცილებელი რესურსების მიწოდების და ამ სფეროში მიღწეული პროგრესის შეფასებისას საერთაშორისო და რეგიონული დაწესებულებები, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებები, საკვანძო როლს თამაშობენ.

B. ამოცანები, მიზნები და საკონტროლო მაჩვენებლები

4. მოქმედებათა გეგმის ამოცანებია: ყველასათვის ღია საინფორმაციო საზოგადოების აშენება; განვითარების სამსახურში ცოდნისა და სსტ-ს გამოყენების პოტენციალის ჩაყენება; საერთაშორისოდ შეთანხმებული განვითარების მიზნების, მათ შორის ათასწლეულის დეკლარაციაში მოყვანილი მიზნების მისაღწევად ინფორმაციისა და ცოდნის გამოყენების მხარდაჭერა; საინფორმაციო საზოგადოების ახალ პრობლემათა ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე გადაწყვეტა. საჭირო იქნება ციფრულ

ტექნოლოგიებში განხეთქილების ლიკვიდაციის სფეროში მიღწეული პროგრესის ანალიზისა და შეფასების სსუდშ-ის მეორე ეტაპის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობის ეფექტიანად გამოყენება.

5. ეროვნულ დონეზე ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის ჩარჩოში და განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, სათანადო შემთხვევებში, ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით დადგენილი უნდა იქნეს საინფორმაციო საზოგადოების დამკვიდრების საკონტროლო მაჩვენებლები. ასეთი საკონტროლო მაჩვენებლები სასარგებლო იქნება საინფორმაციო საზოგადოების ზოგადი მიზნების მისაღწევად განხორციელებელი ღონისძიებებისა და პროგრესის შეფასებისათვის.

6. საერთაშორისოდ შეთანხმებული განვითარების მიზნებზე, მათ შორის ათასწლეულის დეკლარაციაში მოყვანილი მიზნებზე, რომლებიც საერთაშორისო თანამშრომლობას ემყარებიან, დაფუძნებული საორიენტაციო საკონტროლო მაჩვენებლები შესაძლოა გამოყენებული იქნეს მოქმედებათა გეგმის 2015 წლამდე სარეალიზაციო ამოცანათა შესრულების გლობალურ მიზნობრივ მაჩვენებლებად. ეს საკონტროლო მაჩვენებლები შეიძლება ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით გამოყენებული იქნეს ეროვნული საკონტროლო მაჩვენებლების დადგენისას. საკონტროლო მაჩვენებლები შეიძლება ამოცანების რეალიზებას უნდა ასახავდნენ:

ა) სსტ-ს ბაზაზე სოფლების ჩართვის უზრუნველყოფა და იქ საერთო სარგებლობის პუნქტების შექმნა;

ბ) უნივერსიტეტების, კოლეჯების, საშუალო და დაწყებითი სკოლების სსტ-ს ბაზაზე ჩართვის უზრუნველყოფა;

გ) სამეცნიერო კვლევითი ცენტრების სსტ-ს ბაზაზე ჩართვის უზრუნველყოფა;

დ) საჯარო ბიბლიოთეკების, კულტურული ცენტრების, მუზეუმების, საფოსტო განყოფილებების და არქივების სსტ-ს ბაზაზე ჩართვის უზრუნველყოფა;

ე) ჯანდაცვის ცენტრებისა და სავაადმყოფოების სსტ-ს ბაზაზე ჩართვის უზრუნველყოფა;

ვ) ყველა ადგილობრივი და ცენტრალური საჯარო დაწესებულების სსტ-ს ბაზაზე ჩართვის და მათი ვებ-საიტებისა და ელექტრონული ფოსტების შექმნის უზრუნველყოფა;

ზ) ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებით, ყველა საშუალო და დაწვებით საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა, რათა ისინი პასუხობდნენ საინფორმაციო საზოგადოების მოთხოვნებს;

თ) პლანეტის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა ტელე და რადიო მაუწყებლობის მომსახურებით;

ი) კონტენტის განვითარების წახალისება და ინტერნეტში მსოფლიოს ყველა ენის წარმოდგენისა და გამოყენებისათვის ტექნიკური პირობების შექმნა;

კ) პლანეტის მოსახლეობის ნახევარზე მეტისათვის სსტ-ს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

7. ამ მიზნების მიღწევისა და ამოცანების გადაწყვეტისას, აგრეთვე საკონტროლო მაჩვენებლების განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს განვითარებადი ქვეყნების, კერძოდ პრინციპების დეკლარაციის მე-11-მე-16 პუნქტებში ჩამოთვლილი ქვეყნების, ხალხებისა და ეთნიკური ჯგუფების, საჭიროებებს.

C. მოქმედებათა მიმართულებები

C1. განვითარების მიზნებით სსტ-ს გამოყენების მხარდასაჭერად სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის როლი

8. საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისა და ყველა სხვა დაინტერესებული მხარის ქმედით მონაწილეობას, რისთვისაც აუცილებელია მათ შორის თანამშრომლობა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

ა) ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის 2005 წლისათვის შემუშავება ყველა ქვეყანამ უნდა წახაზალისოს.

ბ) საინფორმაციო საზოგადოების ელექტრონული სტრატეგიის შემუშავებისა და საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილებათა ურთიერთგაცვლისათვის ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით ეროვნულ დონეზე უნდა დაიწყოს ორგანიზებული დიალოგი (სხვა დიალოგთა შორის დიალოგი სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის ჩარჩოებშიც).

გ) ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის შემუშავებისას დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი, რეგიონალური და საერთო ეროვნული საჭიროებები და პრობლემები. განსახორციელებელ ინიციატივათაგან მაქსიმალური უპირატესობების მისაღებად ამ ინიციატივებში ჩართული უნდა იყოს მდგრადობის პრინციპი. კერძო სექტორი უნდა ღებულობდეს მონაწილეობას საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთო ეროვნულ კონკრეტულ პროექტებში.

დ) ყველა ქვეყანა მოწოდებულია 2005 წლისათვის შექმნას სულ ცოტა ერთი მაინც მოქმედი პარტნიორობა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის (სკპ) ანდა პარტნიორობა რამდენიმე სექტორს შორის (რსპ). ასეთი მოქმედი პარტნიორობა სამაგალითო სახე უნდა იყოს სამომავლო საქმიანობისათვის.

ე) ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე განისაზღვროს საინფორმაციო საზოგადოებაში დაინტერესებულ მხარეთა შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებისა და განვითარებისათვის აუცილებელი მექანიზმები.

ვ) დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შესწავლილი იქნას მკვიდრი ხალხებისთვის ეროვნულ დონეზე პორტალების შექმნის მიზანშეწონილობა.

ზ) შესაბამისმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და საფინანსო ინსტიტუტებმა 2005 წლისათვის შეიმუშავეთ მდგრადი განვითარების მიზნებით, მათ შორის წარმოებისა და მოხმარების მდგრად სქემებთან დაკავშირებული მიზნებით, სსტ-ს გამოყენების საკუთარი სტრატეგიები. ეს სტრატეგიები ამავდროულად უნდა წარმოადგენდნენ გაეროს მიერ ათასწლეულის დეკლარაციაში განსაზღვრული მიზნების მიღწევის მხარდამჭერ ეფექტიან ინსტრუმენტებს.

თ) საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გამოაქვეყნონ (მათ შორის თავიანთ ვებ-საიტებზე) მათი კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებული და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი სანდო ინფორმაცია საქმიანობის ძირითად მიმართულებებში სსტ-ს ჩართვის წარმატებულად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ი) ამასთან დაკავშირებით მხარდაჭერილი იქნას რიგი ღონისძიებებისა, მათ შორის - ბიზნეს-ინკუბატორების სქემათა შექმნის, საქმიანობისათვის საბრუნავი კაპიტალის (ეროვნულ და

საერთაშორისო ღონეებზე) მიწოდების, სახელმწიფო საინვესტიციო ფონდების (მათ შორის მცირე, საშუალო და მიკრო საწარმოების მიკროფინანსირების ფონდების) დაარსების, ინვესტიციათა მოსაზიდი სტრატეგიების რეალიზაციის, პროგრამული უზრუნველყოფის ექსპორტის მხარდაჭერის, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საქმიანობის მხარდაჭერის ღონისძიებათა, განხორციელება.

C2. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა – საინფორმაციო საზოგადოების აუცილებელი ფუნდამენტი

9. ეროვნულ და რეგიონალურ ღონეებზე იმ შესაბამისი გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, რომლებიც უკვე გამოიყენება განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დაშორებული და მარგინალიზებული რაიონების საიმედო ჩართვისათვის, პლანეტის მთელი მოსახლეობის ციფრული ტექნოლოგიებით მოსაცავად, ანუ ყველასთვის უნივერსალური, მდგრადი, საყოველთაო გავრცელების, ღირებული და ხელმისაწვდომი სისტემების ინფრასტრუქტურა საფუძველს წარმოადგენს.

ა) განვითარების ეროვნული პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა უნდა მიიღონ სსტ-ის ინფრასტრუქტურის აუცილებელი ინვესტირებისათვის ხელსაყრელი და კონკურენტული გარემოს მხარდასაჭერად მიმართული გადაწყვეტილებები.

ბ) ეროვნული ელექტრონული სტატეგიის ფარგლებში უნდა შემუშავდეს უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის სტრატეგია და შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება სორიენტაციო საკონტროლო მაჩვენებლებს, აგრეთვე უნდა დამუშავდეს სსტ-ს ხელმისაწვდომობისათვის ცალკე მაჩვენებლები.

გ) ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის ფარგლებში საორიენტაციო საკონტროლო მაჩვენებლების თანახმად უზრუნველყოფილი და სრულყოფილი იქნას სსტ-ს ბაზაზე ყველა სკოლის, უნივერსიტეტის, ჯანდაცვის დაწესებულებების, ბიბლიოთეკების, საფოსტო განყოფილებების, სათემო ცენტრების, მუზეუმების და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სხვა დაწესებულებების ჩართვა.

დ) განვითარდეს და განმტკიცდეს ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო კავშირგაბმულობის ქსელების ინფრასტრუქტურა, მათ შორის თანამგზავრული და მაღალი გამტარობის სხვა სისტემები, რომლებიც პასუხობენ ქვეყნებისა და მათი მოქალაქეების მოთხოვნილებებს, აგრეთვე ქმნიან სსტ-ს ბაზაზე ახალ მომსახურებათა მიწოდებისათვის პირობებს. მხარდაჭერილი იქნას ელექტრონული კავშირგაბმულობის საერთაშორისო კავშირის (ეკსკ) და საჭიროების შემთხვევაში სხვა ორგანიზაციების მიერ წარმოებული ტექნიკური, მარეგლამენტირებელი და საექსპლოატაციო დანიშნულების კვლევები, რათა:

ეა) გაფართოვდეს ორბიტალურ რესურსებთან ჩართვის ხელმისაწვდომობა, უზრუნველყოფილი იქნას სისშირეთა გამოყენების გლობალური ჰარმონიზება და სისტემების გლობალური სტანდარტიზება;

ებ) წახალისებული იქნას სახელმწიფო და კერძო სექტორების პარტნიორობა;

ეგ) ხელი შეეწყოს მაღალი სიჩქარის თანამგზავრული გლობალური მომსახურების მიწოდებას არასათანადოდ ჩართული, კერძოდ - პერიფერიული და მცირედ დასახლებული რაიონებისათვის;

ედ) შესწავლილი და გამოკვლეული იქნას მაღალი სიჩქარის კავშირის უზრუნველყოფი სხვა სისტემები.

ვ) ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის ფარგლებში მიღწეული იქნას მოხუცებულთა, შეზღუდული უნარის მქონეთა, ბავშვების, განსაკუთრებით მარგინალიზებულ ბავშვთა, აგრეთვე დაუცველ და არა ხელსაყრელ პირობებში მყოფი მოსახელობის სხვა ჯგუფების განსაკუთრებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შესაბამისი საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებათა გატარება, რაც მიმართული იქნება აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა საინფორმაციო საზოგადოებაში ინტეგრირებისაკენ.

ზ) წახალისდეს სსტ-ს ბაზაზე მოწყობილობებისა და ისეთი მომსახურების დამუშავება-წარმოება, რომელიც მოსახერხებელია და ფასითაც ხელმისაწვდომია ყველასათვის, მათ შორის მოხუცებულთა, შეზღუდული უნარის მქონეთა, ბავშვების, განსაკუთრებით მარგინალიზებულ ბავშვთა, აგრეთვე დაუცველ და არა ხელსაყრელ პირობებში მყოფი მოსახელობის სხვა ჯგუფებისათვის, აგრეთვე მხარდაჭერილი იქნას იმ ტექნოლოგიების, კონტენტისა და გამოყენებითი პროგრამების განვითარება, რომლებიც უნივერსალური დიზაინითა და ასისტური ტექნოლოგიების შემდგომი სრულყოფის საფუძველზე პასუხობენ ამ კატეგორიის მოქალაქეთა მოთხოვნებს.

თ) წერა-კითხვის უცოდინარობასთან დაკავშირებული პრობლემების შესამსუბუქებლად შემუშავდეს ხელმისაწვდომი ფასისა და არატექსტური კომპიუტერული ინტერფეისების მქონე ტექნოლოგიები, რათა გაადვილდეს სსტ-ს საყოველთაო გამოყენება.

ი) საერთაშორისო დონეზე ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რომლებიც მოემსახურება სსტ-ს ბაზაზე კონკრეტული მომხმარებლისათვის განკუთვნილ ჯეროვანი და ხელმისაწვდომი ფასის მოწყობილობათა შექმნას.

კ) წახალისებული იქნას განვითარებად ქვეყნებში განვითარებულ სახელმწიფოებში უკვე ფართოდ გამოყენებულ უსადენო კავშირგაბმულობის სიმძლავრეები, მათ შორის თანამგზავრული კავშირგაბმულობა, უფრო ფართოდ დაინერგოს, პირველ რიგში განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ჩართვისა და კავშირის მცირე დანახარჯების მქონე ტექნოლოგია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმ ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ ელექტროკავშირის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ლ) ოპტიმიზებული იქნას ძირითად საინფორმაციო ქსელებს შორის შეერთებები, წახალისდეს სსტ-ს და ინტერნეტის კომუტაციური სადგურების ბაზაზე რეგიონალური მაგისტრალური სტრუქტურების დამუშავება, შექმნა და განვითარება, რათა გაფართოვდეს ქსელების ხელმისაწვდომობა და შემცირდეს ქსელთა შორის შეერთების დანახარჯები.

მ) დამუშავდეს გლობალური მასშტაბით მისაღები ფასის მქონე ჩართვის გავრცელების სტრატეგიები, რითაც ხელი შეეწყობა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. ტრანზიტისა და ქსელთა შორის ინტერნეტის მეშვეობით შეერთების კომერციულ საფუძველზე განსაზღვრული დანახარჯები ბაზირებული უნდა იყოს ობიექტურ, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციულ პარამეტრებზე, ითვალისწინებდეს ამ თემაზე მიმდინარე სამუშაოებს.

ნ) წახალისდეს და სტიმულირდეს მასობრივი კომუნიკაციის ტრადიციული საშუალებებისა და ახალი ტექნოლოგიების ერთობლივად გამოყენება.

C3. ინფორმაციისა და ცოდნის ხელმისაწვდომობა

10. სსტ ადამიანებს საშუალებას აძლევს ინფორმაცია და ცოდნა მიიღონ პრაქტიკულად მყისიერად და პლანეტის ნებისმიერ

წერტილში. ინფორმაციისა და ცოდნის მიღების სიკეთეებით უნდა ისარგებლონ კერძო პირებმა, ორგანიზაციებმა და საზოგადოებებმა.

ა) დამუშავდეს ინფორმაციის, ამ საჯარო მონაპოვარის განვითარებისა და პოპულარიზების პოლიტიკური სახელმძღვანელო პრინციპები, როგორც მოსახლეობისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტი.

ბ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოები მოწოდებულნი უნდა იყვნენ კავშირის სხვადასხვა რესურსების, უპირველესად ინტერნეტის მეშვეობით უზრუნველყონ ოფიციალური ინფორმაციის, რომელიც საჯარო მონაპოვარია, სათანადო ხელმისაწვდომობა. წახალისდეს კანონმდებლობის შემუშავება ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო მნიშვნელობის მონაცემების, განსაკუთრებით ახალი ტექნოლოგიების სფეროსთან დაკავშირებული მონაცემების, შენახვის შესახებ.

გ) მხარდაჭერილი იქნეს სსტ-ს საყოველთაო ხელმისაწვდომობის, განსაკუთრებით არა ხელსაყრელ პირობებში მყოფი, მარგინალიზებული და სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობის ხელშემყოფი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საშუალებები.

დ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შექმნან კოლექტიური სარგებლობის მრავალმიზნობრივი საჯარო ცენტრები, რომლებიც მოსახლეობას მისაღები ფასით ან უფასოდ საშუალებას მისცემენ ისარგებლონ კავშირის სხვადასხვა რესურსებით, უპირველესად ინტერნეტით. ეს პუნქტები შეძლებისდაგვარად უნდა გაიხსნას ბიბლიოთეკებში, სასწავლო დაწესებულებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, საფოსტო განყოფილებებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, განსაკუთრებით პერიფერიებსა და არასაკმარისი

მომსახურების მქონე სასოფლო რაიონებში, მათ უნდა გააჩნდეთ საკმარისი გამტარუნარიანობა.

ე) წახალისდეს კვლევები და ხელი შეეწყოს სხვადასხვა მოდულების პროგრამული უზრუნველყოფის შესახებ დაინტერესებული მხარეების გათვითცნობიერებას, მათ შორის კერძო კომპანიების მიერ შექმნილ ღია კოდით სარგებლობისა და თავისუფლად გავრცელებულ პროგრამულ უზრუნველყოფათა მოსახლეობისათვის გაცნობას, რათა გაფართოვდეს კონკურენცია და არჩევითობა, ხელმისაწვდომი გახდეს ფასი და ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეცეს შესაძლებლობა გაიგოს მისთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტის შესახებ.

ვ) მთავრობებმა აქტიურად უნდა დაუჭიროონ მხარი თავიანთი ქვეყნის მოქალაქეთა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ სსტ-ს ძირითადი სამუშაო ინსტრუმენტის ხარისხში გამოყენებას. ამ მიზნის მისაღწევად საერთაშორისო თანამეგობრობამ და ყველა სხვა დაინტერესებულმა მხარემ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი მმართველობის სრულყოფისათვის სსტ-ს ფართო გამოყენების საფუძველზე ადგილობრივი ორგანოების პოტენციალის ზრდას.

ზ) წახალისდეს საინფორმაციო საზოგადოების საკითხებზე კვლევები, მათ შორის ქსელების შექმნის ინოვაციური ფორმების, სსტ-ს ინფრასტრუქტურის ადაპტაციის, სსტ-ს ბაზაზე ინსტრუმენტებისა და გამოყენებითი პროგრამების, სსტ-ს ხელმისაწვდომობის, განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებში მყოფთათვის, შესახებ კვლევები.

თ) მხარდაჭერილი იქნეს საჯარო ბიბლიოთეკებისა და არქივების საინფორმაციო საზოგადოების პირობებთან ადაპტირებული ციფრული სამსახურების შექმნა და განვითარება, მათ შორის - ბიბლიოთეკების განვითარების სფეროში ეროვნულ სტრატე-

გიათა და კანონმდებლობის გადახედვის, „ჰიბრიდულ ბიბლიოთეკათა“ საჭიროების გლობალურ დონეზე გაგების უზრუნველყოფისა და ბიბლიოთეკათა შორის მსოფლიო დონეზე თანამშრომლობის ხელშეწყობის გზებით.

ი) წახალისდეს ჟურნალებით, წიგნებით და სამეცნიერო ინფორმაციების არქივებით თავისუფალი და ხელსაყრელი ფასით სარგებლობის, მათ შორის ღია სარგებლობის ხელშეწყობი ინიციატივები.

კ) მხარდაჭერილი იქნეს პროგრამული უზრუნველყოფის პროექტირების სფეროში სამეცნიერო კვლევები და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, რათა გაიზარდოს დაინტერესებულ მხარეთა გათვითცნობიერება პროგრამულ უზრუნველყოფაში, სხვადასხვა პროგრამულ საშუალებათა ანალიზისა და ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის უნარი, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება ადგილობრივ პირობებში განვითარების მიზნების მიღწევას.

C4. ადამიანური პოტენციალის ზრდა

11. ყველას უნდა გააჩნდეს საინფორმაციო საზოგადოების უპირატესობების მთელი სისრულით გამოსაყენებლად აუცილებელი უნარ-ჩვევები. ამისათვის საჭიროა გაიზარდოს პოტენციალი და ამაღლდეს სსტ-ს სფეროში ცოდნის დონე. სსტ-ს შეუძლია განათლების მიღების საშუალებების მიწოდებით, მასწავლებელთა მომზადებით, უწყვეტი სწავლების უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნით, პროფესიული უნარების სრულყოფით ხელი შეუწყოს მსოფლიო მასშტაბით საყოველთაო განათლების მიზნის მიღწევას.

ა) სსტ-ს განათლების სფეროსა და პროფესიული მომზადების ყველა დონეზე, მათ შორის სასწავლო პროგრამების დამუშავებას, მასწავლებელთა მომზადებას, დაწესებულების მართვა

და ხელმძღვანელობის სწავლების, ასევე უწყვეტი სწავლების მხარდაჭერისას სრულმასშტაბიანი გამოყენებისათვის შემუშავდეს ეროვნული სტრატეგიები.

ბ) შემუშავდეს სსტ-ს გამოყენებით წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო პროგრამები და ხელი შეეწყოს მათ დანერგვას.

გ) საყოველთაოდ ხელი შეეწყოს ელექტრონული ცოდნის უნარ-ჩვევების დაუფლებას, ისეთი ღონისძიებების განხორციელებით, როგორცაა, მაგალითად - სახელმწიფო მოხელეებისათვის სპეციალური კურსების ორგანიზება. ამავე მიზნით გამოყენებული იქნას ისეთი არსებული სტრუქტურები, როგორებიცაა ბიბლიოთეკები, მრავალმიზნობრივი საზოგადოებრივი ცენტრები, ქსელით სარგებლობის საჯარო ცენტრები, აგრეთვე ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობით ჩამოყალიბდეს სსტ-ს სფეროში პროფესიული მომზადების ადგილობრივი ცენტრები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსახლეობის არა ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ და სოციალურად მოწყვლად ჯგუფებს.

დ) განათლების სფეროში ეროვნული პოლიტიკის კონტექსტში, მოზრდილთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის აუცილებლობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი იქნას, რომ ახალგაზრდობა შეიარაღებული იყოს სსტ-ს გამოყენების ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, გააჩნდეს ინფორმაციის შემოქმედებითად და ნოვატორულად ანალიზისა და დამუშავების უნარი, მთლიანად მონაწილეობდეს საინფორმაციო საზოგადოებაში და გვიზიარებდეს თავის გამოცდილებას.

ე) სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა უნდა შეიმუშავონ ადამიანური პოტენციალის ზრდის ისეთი პროგრამები, სადაც ძირითადი ყურადღება დაეთმობა სსტ-ს სფეროში კვალიფიციური და

გამოცდილი პროფესიონალებისა და ექსპერტების კრიტიკული მასის შექმნას.

ვ) შემუშავდეს სსტ-ს ბაზაზე ალტერნატიული საგანმანათლებლო სისტემების ზემოქმედების დემონსტრირების ექსპერიმენტული პროექტები, უპირველესად საყოველთაო განათლებისა და საბაზო განათლების უზრუნველყოფის მიზნების მისაღწევად.

ზ) სსტ-ს სფეროში განათლების და პროფესიული მომზადების მიღებისას გენდერული ბარიერების მოხსნისათვის გაგრძელდეს მუშაობა, ხელი შეეწყოს ქალებისა და გოგონებისათვის სსტ-ს სფეროში პროფესიული მომზადების მიღების თანასწორი შესაძლებლობების შექმნას. მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში განსახორციელებელი პროგრამები თავიდანვე ორიენტირებული უნდა იყვნენ გოგონებზე, რათა გაიზარდოს სსტ-ს სფეროში დასაქმებულ ქალთა რიცხვი. ხელი შეეწყოს ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის სსტ-ს სფეროში განათლების მიღების პრაქტიკაში ჩართვის საუკეთესო გამოცდილებათა ურთიერთგაცვლას.

თ) დაწყებული იქნას საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების სპეციალური პროგრამები მომთაბარე ხალხებისათვის, სადაც ეს შესაძლებელია ამ მიზნით გამოყენებული იქნას ქსელები, რათა ხელი შეეწყოს მათ საინფორმაციო საზოგადოებაში სრულფასოვან მონაწილეობას.

ი) საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა მიმართულებით სსტ-ს ეფექტიანი გამოყენებისათვის რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე დაიგეგმოს და განხორციელდეს, პირველ ყოვლისა განვითარებადი ქვეყნების ხელმძღვანელი და რიგითი პერსონალისათვის განკუთვნილი, ადამიანური პოტენციალის ზრდის პროგრამები, ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლე-

ბლო სისტემის ფარგლებს გარეთ სწავლებაც, მაგალითად - სწავლება სამუშაო ადგილებზე და სახლში.

კ) ინფორმაციის სფეროს სპეციალისტებისათვის, მაგალითად - არქივის, მუზეუმის, ფოსტის თანამშრომლების, ბიბლიოთეკარების, მეცნიერების, მასწავლებლების, ჟურნალისტების და სხვა პროფესიული ჯგუფების წარმომადგენელთათვის შემუშავდეს სსტ-ს გამოყენების სფეროში პროფესიული მომზადების სპეციალური პროგრამები, სადაც ყურადღება მიექცევა არა მხოლოდ საინფორმაციო და საკომუნიკაციო მომსახურების, არამედ მართვის უნარ-ჩვევების სრულყოფის მეთოდებს, რათა უკეთ და ოპტიმალურად იქნას გამოყენებული ახალი ტექნოლოგიები. მასწავლებელთა მომზადებისას ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს სსტ-ს ტექნიკურ ასპექტებს, კონტენტის შემუშავებას და სსტ-ს მიერ განხილულ ახალ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს.

ლ) როგორც ადამიანური პოტენციალის ზრდის პროგრამების ნაწილი, განვითარდეს დისტანციური სწავლება და პროფესიული მომზადება, აგრეთვე სწავლების სხვა ფორმები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს განვითარებად ქვეყნებს, პირველ ყოვლისა, ნაკლებად განვითარებულ, ადამიანური რესურსების მომზადების დაბალი დონის მქონე ქვეყნებს.

მ) მხარდაჭერილი იქნას ადამიანური პოტენციალის ზრდის სფეროში საერთაშორისო და რეგიონალური თანამშრომლობა, მათ შორის გაეროსა და მისი სპეციალიზებული დაწესებულებების მიერ შემუშავებული, სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული პროგრამები.

ნ) განხორციელდეს სსტ-ს ბაზაზე ქსელური მუშაობის ახალი ფორმების, რომლებიც გააერთიანებდნენ განვითარებული და განვითარებადი, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების პედაგოგიურ, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო და სამეცნიერო-

კვლევით დაწესებულებებს, შესაქმნელად ექსპერიმენტული პროგრამები.

ო) მოხალისეთა მოძრაობა, თუ იგი შეესაბამება ეროვნულ პოლიტიკას და ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებს, სსტ-ს გამოყენების სფეროში ადამიანური პოტენციალის გაზრდის, ისევე როგორც ყველასათვის უფრო ღია საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობის ღირებულ საშუალებას წარმოადგენს. განვითარების მიზნით, პირველ ყოვლისა, განვითარებად ქვეყნებში, ორგანიზებული უნდა იქნას სსტ-ს განვითარების მიზნით გამოყენების სფეროში ადამიანური პოტენციალის ზრდისათვის განკუთვნილი მოხალისეთა პროგრამები.

პ) მომხმარებლებისათვის დამუშავდეს თვითგანათლებისა და თვითგანვითარების პოტენციალის ზრდის მეთოდების საგანმანათლებლო პროგრამები.

C5. ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცება სსტ-ს გამოყენებისას

12. ნდობა და უსაფრთხოება საინფორმაციო საზოგადოების მთავარ დასაყრდენად რჩება.

ა) მომხმარებელთა ნდობის განმტკიცების, როგორც მონაცემთა, ასევე ქსელების მთლიანობის დაცვისა და საიმედოობის ამაღლების, სსტ-ს სფეროში არსებული და პოტენციური საფრთხეების ანალიზის მიზნებით, აგრეთვე საინფორმაციო უსაფრთხოებისა და ქსელების საიმედოობის საკითხების გადასაწყვეტად ხელი შეეწყოს სახელმწიფოთა შორის, აგრეთვე ყველა დაინტერესებული მხარის გაეროს ფარგლებში საერთაშორისო თანამშრომლობას.

ბ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა კერძო სექტორთან თანამშრომლობით უნდა უზრუნველყონ კიბერდანაშაულის

პრევენცია, მისი და სსტ-ს არაჯეროვანი გამოყენების სხვა ფაქტების გამოვლენა, მოახდინონ საჭირო რეაგირება ასეთ ფაქტებზე. ამისათვის უნდა შექმნავდეს სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც გაითვალისწინებენ: ამ სფეროში მიმდინარე სამუშაოთა შედეგებს, სსტ-ს არაჯეროვანი გამოყენების ფაქტების ეფექტიანი გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის მოწინავე საკანონმდებლო პრაქტიკას, ურთიერთდახმარების ეფექტიანი ზომების მხარდაჭერას, ასეთი ინციდენტების პროფილაქტიკის, მათი გამოვლენისა და შედეგების ლიკვიდაციის ინსტიტუციური მხარდაჭერის საერთაშორისო დონეზე გაძლიერებას, აგრეთვე მოსახლეობის ინფორმირებისა და გათვითცნობიერების ხელშეწყობის მოწინავე პრაქტიკას.

გ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა აქტიურად უნდა წაახალისონ მომხმარებელთა სწავლება და მათი გათვითცნობიერების დონის ამაღლება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და მისი დაცვის საშუალებები ონლაინ რეჟიმში მუშაობისას.

დ) მიღებული იქნას ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე აუცილებელი ყველა ზომა სპამისაგან დასაცავად.

ე) ელექტრონული გარიგებების დადების, ელექტრონული დოკუმენტებისა და ხელმოწერის ეფექტიანი გამოყენების ხელისშემშლელი ფაქტორების ლიკვიდაციის მიზნით წახალისდეს ეროვნულ დონეზე კანონმდებლობის შეფასების ჩატარება;

ვ) გაძლიერდეს სსტ-ს გამოყენების საიმედოობა და უსაფრთხოება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის, მონაცემთა დაცვისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროებში სახელმძღვანელო პრინციპების, ურთიერთშემავსებელი

და ულრთიერთგამადიერებელი ინიციატივების დამუშავებისა და გამოყენების გზებით.

ზ) მოხდეს საინფორმაციო უსაფრთხოებისა და ქსელების საიმედოობის უზრუნველყოფის საუკეთესო გამოცდილებათა ურთიერთგაზიარება და დაინტერესებული მხარეების მიერ ამ გამოცდილებათა გამოყენების წახალისება.

თ) სახელმწიფოებისათვის შეთავაზებული იქნეს უსაფრთხოების სფეროში მომხდარ ინცინდენტებზე რეალური დროის რეჟიმში რეაგირებისათვის კოორდინატორების დანიშვნა, რომლებიც იმუშავებენ ღია ერთობლივ ქსელში, გაცვლიან ინფორმაციებსა და მომხდარ დანაშაულთა აღკვეთის ტექნოლოგიებს.

ი) წახალისდეს საიმედო და უსაფრთხო გამოყენებითი პროგრამების შექმნა-განვითარება ონლაინ რეჟიმში გარიგებების დადებისათვის.

კ) წახალისდეს სსტ-ს გამოყენებისას ნდობისა და უსაფრთხოების განსამტკიცებლად გაეროს საქმიანობაში დაინტერესებული ქვეყნების აქტიური მონაწილეობა.

C6. ხელსაყრელი გარემო

13. სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ სფეროებში საინფორმაციო საზოგადოების მაქსიმალურ უპირატესობათა მისაღწევად სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა უნდა შექმნან სამართლებრივი, მარეგლამენტირებელი და პოლიტიკური გარემო, რომელიც იქნება საიმედო, გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული ამისათვის:

ა) სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ხელს უნდა უწყობდნენ ხელსაყრელი, გამჭვირვალე, კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი და პროგნოზირებადი პოლიტიკური, სამართლებრივი და მარეგლამენტირებელი ჩარჩოების შექმნას, რომლე-

ბიც საინფორმაციო საზოგადოებაში უზრუნველყოფენ ინვესტირებისა და განვითარების ჯეროვან სტიმულირებას.

ბ) ჩვენ მიემართავთ გაერო-ს გენერალურ მდივანს თხოვნით, დაარსოს ღია და ყოვლისმომცველ პროცესში ინტერნეტის გამოყენების მართვის საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, კერძო სექტორებისა და სამოქალაქო საზოგადოებების, ასევე შესაბამისი მთავრობათშორისი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფორუმების სრულმასშტაბიანი და აქტიური თანამონაწილეობის ეფექტიან მექანიზმს ინტერნეტის გამოყენების მართვის საკითხის შესწავლაში და 2005 წლისათვის წარმოადგენს წინადადებებს ინტერნეტის გამოყენების მართვის ორგანიზებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მისაღებად. კერძოდ, სამუშაო ჯგუფმა უნდა:

ბ.ა.) შეიმუშავოს ინტერნეტის გამოყენების მართვის სამუშაო განსაზღვრება;

ბ.ბ.) გამოავლინოს ინტერნეტის გამოყენების მართვასთან დაკავშირებული სახელმწიფო პოლიტიკის საკითხები;

ბ.გ.) მოახდინოს განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, კერძო სექტორებისა და სამოქალაქო საზოგადოებების, ასევე შესაბამისი მთავრობათშორისი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფორუმების როლებისა და პასუხისმგებლობის სფეროების შესახებ ერთიანი გაგების ფორმულირება;

ბ.დ.) მოამზადოს მოხსენება 2005 წელს ტუნისში საინფორმაციო საზოგადოების საკითხებზე უმაღლესი დონის შეხვედრის მეორე ეტაპის მსვლელობისას განსახილველად.

გ) ჩვენ ვთავაზობთ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს:

გ.ა.) ხელი შეუწყონ ინტერნეტის ეროვნული და რეგიონ-
ალური კომპუტაციური ცენტრების შექმნას;

გ.ბ.) ჯეროვან შემთხვევებში განახორციელონ თავიანთი
უმაღლესი დონის დომენების, რომელთაც აქვთ ქვეყნის კოდი
(ccTLD), მართვა, ან მასზე ზედამხედველობა;

გ.გ.) აამაღლონ ინტერნეტის გამოყენების შესახებ ინფორ-
მირებულობის დონე.

დ) შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით
ხელი შეუწყონ რეგიონალური სერვერების შექმნას ინტერნაციონ-
ალური დომენების გამოყენებას, რათა დაიძლიოს ინტერნეტში
ჩართვის არსებული ბარიერები.

ე) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა უნდა
გააგრძელონ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ თავი-
ანთი კანონმდებლობების განახლება და მოიყვანონ ისინი საინფორ-
მაციო საზოგადოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ვ) ხელი შეეწყოს განვითარებადი და გარდამავალი ეკო-
ნომიკის მქონე ქვეყნების მონაწილეობას სსტ-ს საკითხებზე გა-
მართულ საერთაშორისო ფორუმებში და შეიქმნას ახალი
შესაძლებლობები გამოცდილებათა ურთიერთგაცვლისათვის.

ზ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა აუცილებლად
უნდა შეიმუშაონ ეროვნული სტრატეგიები, მათ შორის
ელექტრონული სახელმწიფო მმართველობის სტრატეგია, რათა
სახელმწიფო მმართველობა განდეს უფრო გამჭვირვალე, ეფექტი-
ანი და დემოკრატიული.

თ) შეიმუშავდეს საფუძველი დოკუმენტების, აგრეთვე სხვა
ელექტრონული საინფორმაციო ჩანაწერების უსაფრთხო შენახვისა
და არქივირებისათვის.

ი) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა და დაინტერესე-
ბულმა მხარეებმა აქტიურად უნდა დაუჭირონ მხარი ონლაინ

რეჟიმში მუშაობისას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და შესაბამისი დაცვის საშუალებათა გამოყენების შესახებ მომხმარებელთა გათვითცნობიერებასა და ინფორმირებას.

კ) დაინტერესებული მხარეებისათვის შეთავაზებული იქნას, რომ ელექტრონული ვაჭრობის მხარდამჭერი ღონისძიებები უზრუნველყოფდნენ აგრეთვე მომხმარებლის თავისუფალი არჩევანის - ისარგებლოს ან უარი თქვას ელექტრონული კავშირის გამოყენებაზე - შესაძლებლობას.

ლ) ხელი შეეწყოს დავათა გადაწყვეტის ეფექტიანი სისტემების სფეროში მიმდინარე მუშაობას, კერძოდ დავათა გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდების (გამ) შემოღებას, რაც შეამსუბუქებს დავათა გადაწყვეტის პროცესს.

მ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისათვის შეთავაზებული იქნას, რომ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით სსტ-ს სფეროში შემუშავებული პოლიტიკა ხელსაყრელი იყოს მეწარმეობის განვითარებისათვის, ხელს უწყობდეს ინოვაციებსა და ინვესტიციებს, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდეს ქალების მონაწილეობის გაფართოებას.

ნ) მცირე და საშუალო მეწარმეობისათვის სსტ-ს ეკონომიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით საჭიროა მათთვის დახმარების გაწევა, რათა გაიზარდოს მათი კონკურენტუნარიანობა, გამარტივდეს ადმინისტრაციული პროცედურები, უზრუნველყოფილი იქნას საფინანსო რესურსების ხელმისაწვდომობა და ამალდეს სსტ-სთან დაკავშირებული პროექტებში მონაწილეობის უნარი.

ო) სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, თავიანთი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონის შესაბამისად ელექტრონულ ვაჭრობაზე გადასვლის პროცესში უნდა წარმოადგენდნენ სამაგალითო მომხმარებლებსა და ლიდერებს.

პ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოები დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით უნდა ამაღლებდნენ ინფორმირებულობის დონეს გლობალური ელექტრონული ვაჭრობისათვის ფუნქციონალური თავსებადობის სტანდარტების მნიშვნელობის შესახებ.

ჟ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით ხელი უნდა შეუწყონ ღია, უროტიერთქმედების შესაძლებლობათა უზრუნველყოფი, არადისკრიმინაციული და მოთხოვნით განპირობებული სტანდარტების შემუშავებასა და მიღებას.

რ) ელექტროკავშირის საერთაშორისო ასოციაცია (ესა) კოორდინირებას უნდა უწევდეს სიხშირეების გამოყენებას და ახორციელებდეს სიხშირეების განაწილებას საყოველთაო ხელმისაწვდომობისა და მისაღები ფასის ხელშეწყობის ინტერესებით.

ს) ესა-ს და სხვა, რეგიონალური ორგანიზაციების ფარგლებში მიღებული უნდა იქნეს დამატებითი ზომები ყველა ქვეყნის მიერ რადიოსიხშირეების სპექტრის რაციონალური, ეფექტიანი და ეკონომიური გამოყენების უზრუნველსაყოფად.

C7. გამოყენებითი პროგრამები სსტ-ს ბაზაზე:

უპირატესობანი ცხოვრების ყველა ასპექტში

14. სახელმწიფო მმართველობის, სამეურნეო საქმიანობის, განათლებისა და პროფესიული მომზადების, ჯანდაცვის, დასაქმების, გარემოს დაცვის, სოფლის მეურნეობის და მეცნიერების სფეროებში ეროვნული ელექტრონული სტრატეგიის ფარგლებში გამოყენებითი პროგრამები სსტ-ს ბაზაზე მდგრადი განვითარების დასაყრდენი უნდა იყოს.

ეროვნული ელექტრონულ სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის მოქმედებებს შემდეგ სფეროებში:

15. ელექტრონული სახელმწიფო მმართველობა

ა) უნდა განხორციელდეს ელექტრონული სახელმწიფო მმართველობის ისეთი სტრატეგია, რომელიც ძირითად ყურადღებას უთმობს სახელმწიფო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და ინოვაციური საქმიანობის, მმართველობის ეფექტიანობის ამაღლებისა და მოქალაქეებთან კავშირ-ურთიერთობის განსამტკიცებლად დემოკრატიული პროცესების უზრუნველყოფისა კენ მიმართულ გამოყენებით პროგრამებს.

ბ) შემუშავდეს ყველა დონეზე ეროვნული ინიციატივები და სახელმწიფო მმართველობის მიერ წარმოებული ისეთი მომსახურებანი, რომლებიც შეესაბამება მოქალაქეთა და საქმიანი წრეების საჭიროებებს, რათა მიღწეული იქნას საჯარო მონაპოვრებისა და რესურსების უფრო ეფექტიანად განაწილება.

გ) მხარდაჭერილი იქნას ელექტრონული სახელმწიფო მმართველობის სფეროში მმართველობის ყველა დონის ორგანოების გამჭვირვალობის ზრდის, ანგარიშვალდებულობის და ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნების მისაღწევად საერთაშორისო თანამშრომლობა.

16. ელექტრონული კომერცია

ა) სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო სექტორი მოწოდებულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომი პოპულარიზებისათვის და ელექტრონული კომერციის შემოღების მხარდასაჭერად, აგრეთვე განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ელექტრონული კომერციის მოდელის დასანერგად.

ბ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა ხელსაყრელი გარემოს შექმნით და ინტერნეტის საყოველთაო გავრცელების საფუძველზე სტიმული მისცენ კერძო სექტორის მიერ ინვესტირე-

ბას, წახალისონ ახალ გამოყენებით პროგრამათა შექმნა და კონტენტის შემუშავება, აგრეთვე ხელი შეუწყონ სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობას.

გ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოების პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს სსტ-ს სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერისაკენ, აგრეთვე ეკონომიკური ზრდის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მატერიალური სიკეთის წარმოებით სიღარიბის დონის შემცირების სტიმულირების ფარგლებში ელექტრონულ კომერციაში მონაწილეობის წახალისებისაკენ.

17. ელექტრონული სწავლება (იხ. ნაწილი C4)

18. ელექტრონული ჯანდაცვა

ა) წახალისებული იქნას სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ჯანდაცვის სფეროს დაგეგმვის ორგანოების და სპეციალისტების, აგრეთვე სხვა დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი საქმიანობა საიმედო, შეფერხების გარეშე მომუშავე, მაღალხარისხოვანი და მისაღები ფასის მქონე ჯანდაცვის სისტემების და ჯანდაცვის სფეროს საინფორმაციო სისტემების შესაქმნელად, აგრეთვე მედიცინის სფეროში სსტ-ს მეშვეობით მუდმივი პროფესიული მომზადების, განათლებისა და კვლევების მხარდასაჭერად.

ბ) ხელი შეეწყოს მსოფლიოში დაგროვილი სამედიცინო ცოდნის და სახელმწიფო, კვლევითი და პროფილაქტიკური სამედიცინო პროგრამების განხორციელებისათვის ადგილობრივ დონეზე აქტუალური საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობას, კერძოდ - ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რომელიც უკავშირდება სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას,

სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციურ დაავადებებს, აგრეთვე იმ დაავადებებს, რომლებიც იპყრობენ მსოფლიო ყურადღებას (შიდსი, მალერია, ტუბერკულოზი).

გ) კოლექტიური საინფორმაციო სისტემების სრულყოფით განხორციელებს ინფექციური დაავადებების გავრცელების პროფილაქტიკა, მონიტორინგი და კონტროლი.

დ) ხელი შეეწყოს სამედიცინო მონაცემების ურთიერთგაცვლის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავებას, იმის გათვალისწინებით, რომ დაცული იქნება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

ე) წახალისდეს ჯანდაცვის ხარისხის ამაღლებისა და ჯანდაცვის მომსახურების გაფართოების, განსაკუთრებით პერიფერიულ და არასაკმარისი მომსახურების რაიონებსა და მოსახლეობის სოციალურად მოწყვლად ჯგუფებში, აგრეთვე შესაბამისი საინფორმაციო სისტემების სრულყოფის მიზნებით სსტ-ს გამოყენება.

ვ) განმტკიცდეს და გაფართოვდეს საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების დროს სამედიცინო მომსახურებისა და ჰუმანიტარული დახმარების სსტ-ს გამოყენების ბაზაზე მიწოდების ინიციატივები.

19. ელექტრონული დასაქმება

ა) წახალისდეს ეროვნულ დონეებზე დაქირავებულთა და დამქირავებულთა, რომლებიც იყენებენ ელექტრონულ შრომას, თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის პრინციპების საფუძველზე და საერთაშორისო ნორმების დაცვით დასაქმების საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშების შექმნა.

ბ) განხორციელდეს შრომის ორგანიზაციის და კომერციული საქმიანობის ახალი მეთოდებისა და ფორმების, რომლებიც სსტ-ს

ფართო გამოყენებით, სსტ-სა და ადამიანური რესურსების განვითარების სფეროებში ინვესტირების მეშვეობით განაპირობებენ შრომის ნაყოფიერების გაზრდას, ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობის ამაღლებას, პოპულარიზება.

გ) წახალისდეს ტელედასაქმება, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, განსაკუთრებით განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ნებისმიერ ადგილზე მუშაობისას საცხოვრებლად დარჩნენ თავიანთ ქვეყანაში, იცხოვრონ საკუთარ საზოგადოებაში, აგრეთვე შრომითი მოწყობისას ქალთა და უნარშეზღუდულ მოქალაქეთა შესაძლებლობების ზრდისკენ მიმართული ღონისძიებები. ტელედასაქმების პოპულარიზებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის და კვალიფიციური მუშახელის შენარჩუნების ხელშეწყობ სტრატეგიებს.

დ) სსტ-ს სფეროში ქალთა დასაქმების ზრდის მიზნით ხელი შეეწყოს ისეთ პროგრამებს, რომლებიც თავიდანვე ორიენტირებული იქნებიან სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში გოგონათა სწავლებაზე.

20. გარემოს ელექტრონული დაცვა.

ა) სახელმწიფო მმართველობის ორგანოები მოწოდებულნი არიან დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით გამოიყენონ და პროპაგანდა გაუწიონ სსტ-ს, როგორც გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ეფექტიან ინსტრუმენტს.

ბ) სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი მოწოდებულნი არიან გამოვიდნენ ინიციატივებით და განახორციელონ პროგრამები და პროექტები, რომელთა მიზანია სსტ-ს ბაზაზე მოწყობილობებისა და მისი დე-

ტალების მდგრადი წარმოება და მოხმარება, მწყობრიდან გამო-
სული მოწყობილობებისა და დეტალების უსაფრთხო უტილიზება
და რეციკლირება.

გ) შეიქმნას სტიქიური უბედურებისა და ანთროპოგენური
კატასტროფების გარემოზე ზემოქმედების პროგნოზირებისა და
მონიტორინგის სისტემები სსტ-ს ბაზაზე, განსაკუთრებით განვი-
თარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

21. ელექტრონული სოფლის მეურნეობა

ა) უზრუნველყოფილი იქნას სოფლის მეურნეობის, მე-
ცხოველეობის, თევზჭერის, სატყეო მეურნეობის შესახებ ინფორ-
მაციის სსტ-ს ბაზაზე სისტემატიური გავრცელება, განსაკუთრებით
სასოფლო რაიონებში, რათა ხელმისაწვდომი გახდეს კომ-
პლექსური, აქტუალური და დაწვრილებითი ინფორმაცია და ცოდნა
ამ სფეროში.

ბ) სახელმწიფო და კერძო სექტორები უნდა პარტ-
ნიორობდნენ, რათა მაქსიმალურად გააფართოონ სსტ-ს, როგორც
ეფექტიანი ინსტრუმენტის სოფლის მეურნეობის პროდუქციის
წარმოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის მიზნებით
გამოყენება.

22. ელექტრონული მეცნიერება

ა) ხელი შეეწყოს ყველა უნივერსიტეტსა და სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტის მისაღები ფასის და საიმედო, მაღალი
სიჩქარის ჩართვას ინტერნეტში, რათა უზრუნველყოფილი იქნას
წარმოებაში, განათლებასა და პროფესიულ მომზადებაში ინფორმა-
ციისა და ცოდნის გადამწყვეტი როლი, ხელი შეეწყოს აგრეთვე ამ
დაწესებულებებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარე-
ბას, ურთიერთთანამშრომლობასა და ქსელურ ურთიერთკავშირს.

ბ) სტიმულირებული იქნას ელექტრონული გამოცემლობების საქმიანობის, ამ სფეროში დიფერენცირებული ფასწარმოქმნისა და ღია სარგებლობის მხარდამჭერი ინიციატივები, რათა სამეცნიერო ინფორმაციის მიღება იყოს ღია, მისაღები ფასისა და სამართლიან საფუძველზე ხელმისაწვდომი ყველა ქვეყანაში.

გ) ხელი შეეწყოს სამეცნიერო ცოდნით ერთობლივი სარგებლობისას ერთრანგიანი ტექნოლოგიების გამოყენებას, იმ მეცნიერთა, რომლებიც უარს ამბობენ ჰონორარის უფლებაზე, შრომების გავრცელებასა და გადაბეჭვდას.

დ) ყველა ქვეყანაში ხელი შეეწყოს გრძელ ვადიან პერსპექტივაში ციფრული ფორმის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო მონაცემების, მაგალითად დემოგრაფიული და მეტეოროლოგიური მონაცემების, სისტემატიურ და ეფექტიან შეკრებას, გავრცელებასა და შენახვას.

ე) პოპულარიზებული იქნას მეტამონაცემების პრინციპები და სტანდარტები, რათა ხელი შეეწყოს შეკრებილი სამეცნიერო ინფორმაციისა და მონაცემების სამეცნიერო კვლევების საწარმოებლად ჯეროვან, ეფექტიან გამოყენებასა და ამ სფეროში თანამშრომლობას.

C8. კულტურული მრავალფეროვნება და კულტურული თვითმყოფადობა, ენობრივი მრავალფეროვნება და

ადგილობრივი კონტენტი

23. კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნება, რომელიც სტიმულს აძლევს კულტურული თვითმყოფადობის, ტრადიციების, რელიგიების პატივისცემას, წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების კულტურათა შორის დიალოგის, რეგიონალური და საერთაშორისო თანამშრომლობის ბაზაზე განვითარების აუცილებელ პირობას.

ა) შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს საინფორმაციო საზოგადოების ფარგლებში კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემას, შენახვას, განვითარებასა და განმტკიცებას, როგორც ეს ასახულია გაეროს მიერ მიღებულ შესაბამის დოკუმენტებში, მათ შორის - კულტურული მრავალფეროვნების შესახებ იუნესკო-ს დეკლარაციაში. კერძოდ, აუცილებელია სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა კულტურის სფეროში შეიმუშაონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც მხარს დაუჭერს კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კონტენტის წარმოებას, ადგილობრივ დონეზე კულტურის დარგებისა და მომხმარებელთა ენობრივი და კულტურული განსაკუთრებულობის განვითარებას.

ბ) შემუშავდეს ისეთი ეროვნული პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომლის წყალობითაც საინფორმაციო საზოგადოების ბიბლიოთეკები, არქივები, მუზეუმები და კულტურის სხვა დაწესებულებები შესძლებენ მთლიანად შეასრულონ კონტენტის - მათ შორის ტრადიციული ცოდნის - მომწოდებელთა ფუნქცია, კერძოდ - ჩაწერილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გ) მხარი დაეჭიროს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენახვისათვის სსტ-ს შემუშავებისა და გამოყენებისაკენ მიმართულ ძალისხმევას, უზრუნველყოფილი იყოს სსტ-ს, როგორც თანამედროვე კულტურის ორგანული ნაწილის, ხელმისაწვდომობა. ამისათვის აუცილებელია შემუშავდეს ციფრული ფორმით არქივირებული ინფორმაციისა და ციფრულ საცავებში მულტიმედიაური კონტენტის მუდმივი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფი სისტემები, აგრეთვე არქივების, კულტურული საცავების, ბიბლიოთეკების, როგორც კაცობრიობის მეხსიერების მხარდაჭერა.

დ) შემუშავდეს და განხორციელდეს პოლიტიკა, რომელიც მრავალფეროვანი საინფორმაციო კონტენტის შექმნის და სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, მათ შორის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროში დაგროვილი მექვიდრეობის ციფრულ ფორმაში გადაყვანის გზებით ხელს შეუწყობს მკვიდრი ხალხების კულტურული მრავალფეროვნების, ცოდნისა და ტრადიციების შენახვას, განმტკიცებას, პატივისცემასა და განვითარებას.

ე) ხელი შეეწყოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას, რომელიც მიმართულია ადგილობრივი კონტენტის შემუშავების, თარგმნისა და ადაპტაციის, ციფრული ფორმის არქივების შექმნის, მასობრივი ინფორმაციის ციფრული და ტრადიციული ფორმების მრავალფეროვნების უზრუნველყოფისაკენ. საქმიანობის ეს ფორმები განაპირობებენ ადგილობრივი და მკვიდრი თემების განმტკიცებას.

ვ) მასობრივი ინფორმაციის ტრადიციული და ციფრული ფორმით მიღების მხარდაჭერით უზრუნველყოფილი იქნეს აქტუალური, კულტურული და ლინგვისტური ასპექტებით საინფორმაციო საზოგადოების წევრთათვის მისაღები კონტენტის არსებობა.

ზ) კერძო და სახელმწიფო სექტორებს შორის პარტნიორული ურთიერთობების მეშვეობით დაჩქარდეს მრავალფეროვანი ადგილობრივი და ეროვნული კონტენტის, მათ შორის მომხმარებელთა მშობლიურ ენებზე, შექმნა, აგრეთვე კულტურის ყველა სფეროში აღიარებული და მხარდაჭერილი იქნას სსტ-ს ბაზაზე შესრულებული სამუშაო.

თ) ფორმალური და ინფორმაციული განათლების სისტემებში გაფართოვდეს გენდერული ასპექტების შემცველი სასწავლო პროგრამები, ამალდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან

კავშირის სფეროში ქალების ცოდნა, რათა გაიზარდოს სსტ-ს კონტენტის შემუშავებაში გოგონებისა და ქალების პოტენციალი.

ი) განვითარდეს პროგრამული უზრუნველყოფის ადგილობრივ ენებზე, აგრეთვე მოსახლეობის სხვადასხვა ფენების, მათ შორის უნარშეზღუდულების, წერა-კითხვის უცოდინართა და სოციალურად მოწყვლადი ფენებისათვის აქტუალური კონტენტის შემუშავებისა და გავრცელების ადგილობრივი პოტენციალი.

კ) მხარი დაეჭიროს ადგილობრივი თემების მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, ისეთ პროექტებს, სადაც გათვალისწინებულია ტრადიციულ და სსტ-ს ბაზაზე არსებულ საინფორმაციო საშუალებებში ადგილობრივი ენების ფართო გამოყენება, ადგილობრივი დოკუმენტირება, ლანდშაფტისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების დოკუმენტირებისა და შენარჩუნების ჩათვლით, აგრეთვე იმ პროექტებს, რომლებიც სასოფლო, დაშორებული და მოძთაბარე თემებისათვის არის განკუთვნილი.

ლ) განმტკიცდეს მკვიდრი ხალხების მშობლიურ ენებზე კონტენტის განვითარების პოტენციალი.

მ) რეგიონალურ და სუბრეგიონალურ დონეებზე განხორციელდეს კულტურული და ენობრივი მრავალფეროვნების მხარდაჭერისაკენ მიმართული პოლიტიკისა და ინსტრუმენტების სფეროს გამოცდილების, ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის ურთიერთგაცვლა. ეს შეიძლება მიღწეული იქნეს რეგიონალურ და სუბრეგიონალურ დონეებზე ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფების შექმნით, რომლებიც იმუშავებენ „მოქმედებათა გეგმის“ კონკრეტულ საკითხებზე.

ნ) რეგიონალურ დონეზე ჩატარდეს კულტურულ ურთიერთგაცვლაში სსტ-ს როლის შეფასება და შედეგების საფუძველზე შემუშავდეს შესაბამისი პროგრამები.

ო) სახელმწიფო და კერძო სექტორის პარტნიორობის ფარგლებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა წერილობითი თარგმნა, მომსახურეობა მეტყველებითი კავშირის ბაზაზე, ახალი ტექნოლოგიების გავრცელებასა და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელებას, აგრეთვე აუცილებელი აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის მოდელის, მათ შორის ცალკეული კომპანიების მიერ შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის, როგორებიცაა - ღია კოდებისა და თავისუფლად გავრცელებული პროგრამული უზრუნველყოფა, სიმბოლოების ტრადიციული ნაკრები, ენობრივი კოდები, ელექტრონული ლექსიკონები, ტერმინოლოგიური ცნობარები და თეზაურუსები, მრავალენობრივი საძიებო მანქანები, მანქანური თარგმნის ინსტრუმენტები, ღომენების ინტერნაციონალიზებული დასახელებები, კონტენტების აღჭურვა სათანადო მითითებებით, აგრეთვე ზოგადი და გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფის, განვითარებას.

C9. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები

24. სხვადასხვა სახისა და საკუთრების ფორმის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები (მსი), როგორც მოქმედი ფაქტორი, არსებით როლს თამაშობს საინფორმაციო საზოგადოების განვითარებაში და მოწოდებულია იყოს სიტყვის თავისუფლებისა და ინფორმაციის პლურალიზმის მნიშვნელოვან გამომხატველად.

ა) წახალისდეს ბეჭდვითი და ელექტრონული, აგრეთვე ახალ სახეობათა მსი, რათა მათ კვლავაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ საინფორმაციო საზოგადოებაში.

ბ) წახალისდეს მსი-ს დამოუკიდებლობისა და პლურალიზმის სამართლებრივი გარანტიების უზრუნველყოფი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება.

გ) სიტყვის თავიუფლებისათვის საფრთხის შეუქმნელად მიღებული იქნეს სათანადო ზომები მსი-ში უკანონო და ზიანის მომტანი კონტენტის წინააღმდეგ.

დ) წახალისდნენ განვითარებული ქვეყნების მსი-ს პროფესიონალი მუშაკები, განვითარებად ქვეყნებთან პარტნიორობის დასამყარებლად და ქსელის შესაქმნელად, განსაკუთრებით პროფესიული მომზადების სფეროში.

ე) მხარი დაეჭიროს მსი-ში ქალისა და მამაკაცის ჰარმონული და მრავალწახნაგოვანი სახის შექმნას.

ვ) შემცირდეს საერთაშორისო დონეზე არსებული და მსი-ზე გავლენის მქონე დისპროპორციები, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურის, ტექნიკური რესურსებისა და ადამიანურ უნართა განვითარების სფეროებში არსებული უთანაბრობა. ამ დისპროპორციის შემცირებისათვის გამოყენებული იქნას სსტ-ს ბაზაზე არსებული ინსტრუმენტების ყველა უპირატესობა.

ზ) წახალისდნენ ტრადიციული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ცოდნის სფეროში არსებული უთანასწორობის დასაძლევად და კულტურული კონტენტის გასაფრცვლებლად, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში.

C10. საინფორმაციო საზოგადოების ეთიკური ასპექტები

25. საინფორმაციო საზოგადოება უნდა ემყარებოდეს აღიარებულ ღირებულებებს და ზრუნავდეს საერთო კეთილდღეობისათვის, აგრეთვე სსტ-ს ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ა) მიღებული იქნას ზომები მშვიდობის განსამტკიცებლად და ისეთი ძირითადი ღირებულებების დასაცავად, როგორებიცაა - თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა, შემწყნარებლობა, ბუნებაზე ზრუნვა და ეკოლოგიური უსაფრთხოებისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობა.

ბ) ყველა დაინტერესებულმა მხარემ უფრო სრულად უნდა გაითვალისწინოს სსტ-ს გამოყენების ეთიკური ასპექტები.

გ) საინფორმაციო საზოგადოების ყოველი მონაწილე უნდა ზრუნავდეს საერთო კეთილდღეობაზე, იცავდეს პირადი ცხოვრებისა და პირადი მონაცემების ხელშეუხებლობას, სსტ-ს არაჯეროვანი გამოყენების (როგორებიცაა - კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, რასიზმის გამოვლინება ან რასობრივი დისკრიმინაცია, ქსენოფობია და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობა, შუღლის გაღვივება, ძალადობა, ბავშვთა უფლებების ხელყოფის ნებისმიერი გამოვლინება, პედოფილიისა და ბავშვთა პორნოგრაფიის ჩათვლით, აგრეთვე ადამიანებით ვაჭრობა და მათი ექსპლოატაცია და სხვ.) თავიდან ასაცილებლად მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები.

დ) გაფართოვდეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების, პირველ ყოვლისა, მეცნიერების სსტ-ს გამოყენების ეთიკური ასპექტების კვლევების გაგრძელებაში მონაწილეობა.

C11. საერთაშორისო და რეგიონალური თანამშრომლობა

26. ყველა დაინტერესებული მხარის საერთაშორისო თანამშრომლობას მოცემული მოქმედებათა გეგმის განსახორციელებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია. ეს თანამშრომლობა უნდა განმტკიცდეს, რათა ხელი შეეწყოს უნივერსალური ხელმისაწვდომობის რეალიზაციას, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით მიღწეული იქნეს ციფრულ ტექნოლოგიებში არსებული განხეთქილების ლიკვიდაცია.

ა) ქვეყნების სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამებში, განვითარებული ქვეყნების და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარების პროგრამათა განაცხადებში უნდა აამაღლონ სსტ-ს და შესაბამისი

ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების პრიორიტეტულობის ხარისხი.

ბ) გაეროს გლობალური ხელშეკრულების კონტექსტში და ათასწლეულის დეკლარაციაზე დაყრდნობით შეიქმნას და განვითარდეს სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის პარტნიორობა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს სსტ-ს განვითარების ინტერესებით გამოყენებას.

გ) შეთავაზებული იქნეს საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციებისათვის, რომ სსტ მათი სამუშაო პროგრამების ძირითად მიმართულებებში ჩაერთოს და ამ ორგანიზაციებმა მხარი დაუჭირონ განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფ განვითარებად ქვეყნებს პრინციპების დეკლარაციასა და მოცემულ მოქმედებათა გეგმაში ნაგულისხმევი მიზნების მისაღწევად თავიანთ ეროვნულ მოქმედებათა გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

D. ციფრული სოლიდარობის დღის წესრიგი

27. ციფრული სოლიდარობის დღის წესრიგის მიზანს წარმოადგენს ყველა ადამიანის საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებაში ჩასართავად ადამიანური, საფინანსო და ტექნოლოგიური რესურსების მობილიზაციისათვის საჭირო პირობების შექმნა. ამ დღის წესრიგის განხორციელებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობას ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე. ციფრულ ტექნოლოგიებში განხეთქილების დასაძლევად ჩვენ დაგვიჭირდება უკვე არსებული მიდგომებისა და მექანიზმების მეტი ეფექტიანობით გამოყენება და ახალი მიდგომებისა და მექანიზმების სრულყოფილად ათვისება, რათა უზრუნველყოთ საინფორმაციო საზოგადოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის, მოწყო-

ბილობის, ადამიანური პოტენციალის განვითარების და კონტენტის შექმნის ფინანსირება.

D1. პრიორიტეტები და სტრატეგიები

ა) ეროვნული ელექტრონული სტრატეგიები უნდა წარმოადგენდნენ განვითარების სფეროში (სიღარიბის მასშტაბის შემცირების სტრატეგიათა ჩათვლით) ეროვნულ გეგმათა განუყოფელ ნაწილებს.

ბ) სსტ მთლიანად უნდა იქნეს ჩართული განვითარების მიზნით გაწეული ოფიციალური დახმარებების ძირითად მიმართულებებში. ეს უნდა მოხდეს დონორებთან ინფორმაციის გაცლისა და კოორდინაციის ეფექტიანობის ამაღლების გზით, აგრეთვე განვითარების პროგრამებში სსტ-ს გამოყენების პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან მიღებული გაკვეთილების გათვალისწინებით.

D2. რესურსების მობილიზაცია.

ა) ყველა ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა მუშაობდეს ფინანსური განვითარებისათვის რესურსების ხელმისაწვდომობის ამაღლებისა და ეფექტიანი მობილიზაციის პირობათა შესაქმნელად, როგორც ეს მითითებულია მონტერეის კონსენსუსში.

ბ) განვითარებულმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ კონკრეტული ზომები განვითარების ფინანსირებაში თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებების (მათ შორის მონტერეის კონსენსუსით გათვალისწინებული ვალდებულებების) შესასრულებლად. ეს ვალდებულებები ითვალისწინებენ განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0,7 პროცენტის, ხოლო ყველაზე ნაკლებ განვითარებული ქვეყნებისათვის დამატებით მშპ-ს 0,15-0,2 პროცენტის გამოყოფას.

გ) ჩვენ მივესალმებით იმ ინიციატივებს, რომლებიც ითვალისწინებენ განვითარებადი ღარიბი ქვეყნებისათვის საერთაშორისო ვალების შემცირებას ან ჩამოწერას. ეს საშუალებას მოგვცემდა გამოთავისუფლებულიყო უფრო მეტი რესურსი, რაც განვითარების მიზნებით სსტ-ს სფეროს პროექტების დაფინანსებას მოხმარდება.

დ) განვითარების მიზნებით სსტ-ს გამოყენების პოტენციალის გათვალისწინებით ჩვენ კვლავაც მოუწოდებთ:

1) განვითარებად ქვეყნებს – გამჭვირვალე, სტაბილური, პროგნოზირებადი და ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის გზით გააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა სსტ-ს სფეროში ეროვნული და საერთაშორისო ინვესტიციების მოსაზიდად;

2) განვითარებულ ქვეყნებსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს – ჩართონ სსტ საერთაშორისო დახმარების პროგრამათა ძირითად მიმართულებებში, ხელი შეუწყონ განვითარებად ქვეყნებს თავიანთი ელექტრონული სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებაში, გაზარდონ ამ მიზნებით განვითარებადი ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფა.

3) კერძო სექტორს – შეიტანოს თავისი წვლილი ციფრული სოლიდარობის დღის წესრიგის განხორციელებაში.

გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ოკინავას
ქ ა რ ტ ი ა

ეს დოკუმენტი ნათლად ასახავს მსოფლიოს ბედ-იღბლის განმსაზღვრელი სახელმწიფოების – ე.წ. „რვათა ჯგუფის“ წევრი ქვეყნების საერთო დამოკიდებულებას XXI საუკუნეში მსოფლიო განვითარების უმთავრესი ტენდენციის – გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შექმნის მიმართ. ქარტია მიღებულია 2000 წლის 22 ივლისს ოკინავაში, დიდი შვიდეულისა და რუსეთის ლიდერების საერთო სამიტზე.

გთავაზობთ ამ ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტის ქართულ თარგმანს ამჟერად მცირე კომენტარებით.

გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ოკინავას
ქარტია

ოკინავა, 2000 წლის 22 ივლისი. მიღებული და
ხელმოწერილია G8 ქვეყნების ლიდერების მიერ.

1. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (სტ) XXI საუკუნის საზოგადოების ფორმირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ. მათი რევოლუციური ზემოქმედება შეეხება ადამიანების ცხოვრების წესს, მათ განათლებასა და სამუშაოს, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებისა და მთავრობის ურთიერთქმედებას. სტ სწრაფად ხდება მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტიმული. სტ კერძო პირებს, ფირმებსა თუ სხვა ფორმის სამეწარმეო თანასაზოგადოებებს აძლევს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების უფრო

ეფექტიანად და შემოქმედებითად გადაწყვეტის საშუალებას. ყველა ჩვენთაგანის წინაშე იხსნება ახალი, უზარმაზარი შესაძლებლობანი.

2. სტ-ს მიერ სტიმულირებული ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის არსს წარმოადგენს მათი განსაცვიფრებელი უნარი - დაეხმაროს ადამიანებსა და საზოგადოებას ცოდნისა და იდეების გამოყენებაში. საინფორმაციო საზოგადოება, როგორც ის წარმოგვიდგენია, ადამიანებს აძლევს მათი პოტენციალის უფრო ფართოდ გამოყენებისა და მათი მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობას. საჭიროა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა სტ ემსახურებოდეს მდგრადი ეკონომიკური ზრდის, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების, სოციალური თანხმობისა და დემოკრატიის განმტკიცების, ტრანსფარენტული და პასუხისმგებლობით დატვირთული მმართველობის დამყარების, ადამიანის უფლებების დაცვის სფეროებში საზოგადოების პოტენციალის სრულ რეალიზაციას, კულტურული მრავალფეროვნების განვითარების, საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების ურთიერთშემავსებელი მიზნების მიღწევას. ამ მიზნების მიღწევა და წარმოშობილ პრობლემათა გადაწყვეტა მოითხოვს ეფექტიან ეროვნულ და საერთაშორისო სტრატეგიათა შემუშავებას.

3. მივისწრაფით რა ამ მიზნების მიღწევისაკენ, ჩვენ კვლავ ვადასტურებთ მხარდაჭერას ამ პროცესში საყოველთაო თანამონაწილეობის პრინციპისადმი: საყოველთაოდ, ყველა ადამიანს უნდა გააჩნდეს გლობალური საინფორმაციო საზოგადოების უპირატესობათა გამოყენების შესაძლებლობა. გლობალური საინფორმაციო საზოგადოების მდგრადობა ეფუძნება ადამიანის განვითარების მასტიმულირებელ ისეთ დემოკრატიულ ღირებულებებს, როგორებიცაა ინფორმაციის და ცოდნის თავისუფალი გაცვლა, შემწყნარებლობა და სხვა ადამიანის გამორჩეულობის პატივისცემა.

4. ჩვენ განვასრულებთ ხელმძღვანელობას, რათა მიღწეული იქნას მთავრობების ძალისხმევითა ზრდა ისეთი პოლიტიკისა და ნორმატიული ბაზის განსამტკიცებლად, რომელიც მეტსტიმულს მისცემს სტ-ს სფეროში თავისუფალ კონკურენციასა და ნოვატორობას, უზრუნველყოფს მათ განსავითარებლად ეკონომიკურ და საფინანსო სტაბილურობას, ხელს შეუწყობს გლობალური ქსელების ოპტიმიზაციისათვის თანამშრომლობას, წინ აღუდგება ქსელების მთლიანობის რღვევის მცდელობებს, შეამცირებს უთანასწორობას ციფრულ ტექნოლოგიებში, მოახდენს ინვესტირებას ამ პროცესში ჩართვის გლობალური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

5. ეს ქარტია, პირველ ყოვლისა, წარმოადგენს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორებისადმი საყოველთაო მოწოდებას – ინფორმაციისა და ცოდნის სფეროში ლიკვიდირებული იქნას საერთაშორისო განხეთქილება. სტ-ს სფეროში პოლიტიკისა და მოქმედების სოლიდარული საფუძველის არსებობამ შეიძლება შეცვალოს მთელს მსოფლიოში სოციალური და ეკონომიკური პროგრესისათვის მიმართული ჩვენი ერთობლივი მოქმედების მეთოდები. მონაწილეთა ეფექტიანი პარტნიორობა, ერთობლივი პოლიტიკური თანამშრომლობის ჩათვლით, ასევე წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების რაციონალური განვითარების ფუძემდებლურ ელემენტს.

ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობათა გამოყენება

6. სტ-ს პოტენციური უპირატესობები განაპირობებენ კონკურენციის სტიმულირებას, წარმოების გაფართოების, ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მხარდაჭერას. ამ უპირატესობათა გამოყენებას ძალზე მნიშვნელოვანი პერსპექტივები გააჩნია. ჩვენი ამოცანაა არა მარტო საინფორმაციო საზოგადოების სტიმულირება

და საინფორმაციო საზოგადოებაში გადასვლის მხარდაჭერა, არამედ ასეთი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უპირატესობების სრული რეალიზაცია. ამ მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია მუშაობის წარმართვა შემდეგი უმთავრესი მიმართულებებით:

ლიაობის, ეფექტიანობის, კონკურენციის და სიახლეთა გამოყენების ვითარების შესაქმნელად ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების გატარება, რომლებსაც შეაყვებენ შრომის ბაზარზე ადაპტირების, ადამიანური რესურსების განვითარებისაგან მიმართული და სოციალური თანხმობის უზრუნველყოფი ღონისძიებები;

მაკროეკონომიკის რაციონალური მართვა, რომელიც ხელს შეუწყობს საქმიანი წრეებისა და მომხმარებლების მიერ უფრო ზუსტ დაგეგმვას, ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების უპირატესობათა უკეთ გამოყენებას;

ისეთი საინფორმაციო ქსელების შემუშავება, რომელთა მომსახურება და გამოყენება კონკურენტული საბაზრო მექანიზმების და ქსელური ტექნოლოგიების სიახლეთა დახმარებით უფრო სწრაფი, საიმედო, უსაფრთხო და ეკონომიური იქნება;

ადამიანური რესურსების ისეთი განვითარება, რომელიც განათლებისა და უწყვეტი მომზადება-გადამზადების სისტემით, ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში სტ-ს სფეროში მომუშავე სპეციალისტებზე მხარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებით უპასუხებს საინფორმაციო საუკუნის საჭიროებებს;

სტ-ს აქტიური გამოყენება სახელმწიფო სექტორში და მმართველობის ორგანოების მიერ რეალური დროის რეჟიმში გაწეულ მომსახურებათა მხარდაჭერა, რაც განაპირობებს ყველა მოქალაქისათვის ხელისუფლების ღიაობის, საზოგადოებრივ მომსახურებათა საყოველთაო ხელმისაწვდომობის მაღალ დონეს.

7. საინფორმაციო საზოგადოებაში კერძო სექტორი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მიუხედავად ამისა, საინფორმაციო საზოგადოების პროგნოზირებადი, ტრანსფარენტული და არადისკრიმინაციული პოლიტიკისა და ნორმატიული ბაზის შექმნის პასუხისმგებლობა მთავრობებს ეკისრებათ. საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებების პროცესში ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რათა სტ-სთან დაკავშირებული წესები და პროცედურები შეესაბამებოდნენ მომხდარ საფუძვლიან ცვლილებებს ეკონომიკურ გარიგებებში, გავითვალისწინოთ სახელმწიფო და კერძო სექტორის ეფექტიანი პარტნიორობის, აგრეთვე ტრანსფარენტულობისა და ტექნოლოგიური ნეიტრალურობის პრინციპები. ასეთი წესები პროგნოზირებადი უნდა იყოს და ხელს უწყობდეს საქმიანი და მომხმარებლური ნდობის განმტკიცებას. საინფორმაციო საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური მომგებიანობის მაქსიუმის მისაღწევად ჩვენ ვეთანხმებით და სხვებსაც რეკომენდაციას ვაძლევთ დაიცვან შემდეგი პრინციპები და მიდგომები:

საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სატელეკომუნიკაციო საქონლისა და მომსახურების ახალი ბაზრების გახსნის, ამ სფეროში კონკურენტული გარემოს განვითარების, მათ შორის ძირითად ტელეკომუნიკაციებში არადისკრიმინაციულ და დანახარჯებზე დამოკიდებულობის პრინციპების საფუძვლებზე ჩართვის მხარდაჭერა;

სტ-სთან დაკავშირებულ სიანხლეთა დანერგვისათვის მნიშვნელოვანია საინფორმაციო ტექნოლოგიებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა, კონკურენტის განვითარება და ახალ ტექნოლოგიათა ფართო გამოყენება; ჩვენ მივესალმებით ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა ერთობლივ მუშაობას ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად და ჩვენს

ექსპერტებს ვაგალებთ განიხილონ ამ სფეროში შემდგომი საქმიანობის მიმართულებები;

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აგრეთვე მთავრობათა ვალდებულების - გამოიყენონ და დაუშვან მხოლოდ ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფათა გამოყენება – კვლავაც დადასტურება;

საინფორმაციო საზოგადოებისათვის და ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია მომსახურებათა ისეთი სფეროები, როგორებიცაა - ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, გზავნილების მიტანა. მათი კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის შემდგომი ზრდა ხელს შეუწყობს საინფორმაციო საზოგადოების უპირატესობათა რეალიზაციას; საინფორმაციო სტრუქტურების განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია საბაჟო და ექსპედიციური პროცედურები;

შემდგომი ლიბერალიზაციის მხარდაჭერით ტრანსსასაზღვრო ელექტრონული ვაჭრობის მხარდაჭერა, ქსელების, შესაბამისი მომსახურებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) მკაცრი ჩარჩოების კონტექსტში პროცედურების გაუმჯობესება, მსო-ში, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ფორუმებზე ელექტრონული ვაჭრობის სფეროში მიმდინარე მუშაობის გაგრძელება, მსო-ს სავაჭრო წესების ელექტრონულ ვაჭრობაში გამოყენება;

ჩვეულებრივ პრინციპებზე, მათ შორის – არადისკრიმინაციას, თანასწორუფლებიანობას, გამარტივებასა და სხვა, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთო) საქმიანობის კონტექსტში შეთანხმებულ საკვანძო ელემენტებზე დაფუძნებული მიდგომების გამოყენება ელექტრონული ვაჭრობის დაბეგვრისას;

მსო-ის მინისტრთა შემდგომ კონფერენციაზე განხილვამდე ელექტრონული გადარიცხვების საბაჟო გადასახდელებისაგან განთავისუფლების პრაქტიკის გაგრძელება;

ეთგო-ს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად ელექტრონული ბაზრებისადმი მომხმარებლის ნდობის ზრდა, ამ მიზნით ეფექტიან თვითრეგულირებად ინიციატივათა, როგორებიცაა - ქცევის კოდექსების, მარკირების, საიმედოობის დამადასტურებელი სხვა პროგრამების მხარდაჭერა, აგრეთვე სირთულეთა თავიდან აცილების ვარიანტების, მათ შორის ტრანსსასაზღვრო დავათა გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების შესწავლა;

სტ-ს მომხმარებლის კერძო ცხოვრების დაცვის ეფექტიანი და ღირებული მექანიზმის განვითარება, აგრეთვე:

ელექტრონული იდენტიფიკაციის, ელექტრონული ხელმოწერის, კრიპტოგრაფიის და ოპერაციათა უსაფრთხოებისა და ნამდვილობის უზრუნველყოფის სხვა ელექტრონულ საშუალებათა შემდგომი განვითარება და ეფექტიანი ფუნქციონირება.

8. გლობალური საინფორმაციო საზოგადოების განვითარებისაკენ მიმართულ საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევას თან უნდა ახლდეს უსაფრთხო და დამნაშავეობისაგან თავისუფალი კიბერსივრცის შექმნისათვის შეთანხმებული მოქმედება. ჩვენ უნდა უზრუნველყოთ ეფექტური ზომების მიღება – როგორც ეს მითითებულია საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების შესახებ ეკგო-ს სახელმძღვანელო პრინციპებში – კომპიუტერულ სფეროში დანაშაულთან საბრძოლველად. ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ლიონის ჯგუფის ფარგლებში გაფართოვდება „რვათა ჯგუფის“ ქვეყნების თანამშრომლობა. ჩვენ კვლავაც ხელს შევუწყობთ მრეწველობის წარმომადგენლებთან დიალოგის პროცესის ჩამოყალიბებას და ამ სახით განვავითარებთ „მთავრობასა და მრეწველობას შორის დიალოგი კიბერსივრცეში უსაფრთხოებისა და ნდობის შესახებ“ „რვათა ჯგუფის“ პარიზის კონფერენციაზე მიღწეულ წარმატებებს. აუცილებელია აგრეთვე გამოინახოს ისეთი აქტუალური პრობლემების ეფექტიანი პოლიტი-

კური გადაწყვეტა, როგორებიცაა - არასანქცირებული შესვლა საინფორმაციო სისტემებში და კომპიუტერული ვირუსები. საინფორმაციო ინფრასტრუქტურების დასაცავად ჩვენ კვლავაც მოვიზიდავთ მრეწველობის წარმომადგენლებს და სხვა მონაწილეებსაც.

ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების დაძლევა

9. სახელმწიფოთა ფარგლებში და სახელმწიფოთა შორის ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების დაძლევის საკითხმა ჩვენს დისკუსიებში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ქსელები ყოველი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ჩვენ ვადასტურებთ ამ საკითხის გადასაწყვეტად დღევანდლობაში თანმიმდევრული სტრატეგიის შექმნა-ბისა და განხორციელებისაკენ მიმართულ ძალისხმევათა მხარდაჭერას. ჩვენ ასევე მივესალმებით, რომ როგორც სამრეწველო, ასევე სამოქალაქო საზოგადოების სექტორები სულ უფრო მეტად იზიარებენ ამგვარი განხეთქილების დაძლევის აუცილებლობას. ამ სფეროში ჩვენი ცოდნისა და რესურსების მობილიზება პრობლემის რეგულირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ჩვენ კვლავაც შევეცდებით მივისწრაფოდეთ თანამშრომლობისაკენ მთავრობებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ფაქიზად რეაგირებს ტექნოლოგიებისა და ბაზრის განვითარების მაღალ ტემპებზე, შორის.

10. ჩვენი სტრატეგიის საკვანძო შემადგენელი უნდა გახდეს საყოველთაო ხელმისაწვდომობისაკენ შეუჩერებელი მოძრაობა. შემდგომში ჩვენ კვლავაც:

ხელს შევუწყობთ კომუნიკაციების სფეროში მოსახლეობისათვის მომსახურების მიწოდებისათვის აუცილებელი ხელსაყრელი საბაზრო პირობების ჩამოყალიბებას;

გამოეძებნით დამატებით შესაძლებლობებს, დაწესებულებების მეშვეობით ქსელში ჩართვის ჩათვლით, რათა საინფორმაციო ტექნოლოგიები იყოს ღია ფართო საზოგადოებისათვის;

პრიორიტეტულ ყურადღებას მივაქცევთ ქსელური ხელმისაწვდომობის სრულყოფას, განსაკუთრებით ჩამორჩენილ საქალაქო და სასოფლო, აგრეთვე დაშორებულ რეგიონებში;

განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობთ იმ ადამიანების საჭიროებებს და შესაძლებლობათა გაფართოებას, რომლებიც სარგებლობენ ნაკლები სოციალური დაცვით, არიან უნარშეზღუდულები, აგრეთვე ხანდაზმულნი და გავატარებთ ზომებს მათთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების იოლი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

ხელს შევუწყობთ „ხელსაყრელი მოხმარების“, „უპრობლემო“, მათ შორის ინტერნეტის ქსელში მობილური ჩართვის, ტექნოლოგიების, აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების უფლებების შეუზღუდავად საერთო სარგებლობის საინფორმაციო სისტემების და ყველა მომხმარებლისათვის გამოსაყენებლად იოლი პროგრამული საშუალებების შემდგომ განვითარებას.

11. საინფორმაციო საზოგადოების განვითარების სტრატეგიას უნდა თან ახლდეს ადამიანური რესურსების, რომელთა შესაძლებლობები უნდა შეესაბამებოდნენ ინფორმაციული საუკუნის მოთხოვნებს, განვითარება. ჩვენ ვაღიარებთ კვირულობით ყველა მოქალაქეს განათლების, უწყვეტის სწავლებისა და მომზადების მეშვეობით შევუქმნათ საინფორმაციო ტექნოლოგიებთან სამუშაო უნარ-ჩვევების ათვისებისა და მიღების შესაძლებლობა. ჩვენ კვლავაც შევეცდებით ამ მასშტაბური მიზნის მისაღწევად სკოლებს, კლასებსა და ბიბლიოთეკებს მივაწოდოთ კომპიუტერული მოწყობილობა, რომელიც იმუშავებს რეალური დროის რეჟიმში, აგრეთვე გავზავნოთ იქ ის მასწავლებლები, რომელთაც გააჩნიათ

საინფორმაციო ტექნოლოგიებთან და მულტიმედია საშუალებებთან მუშაობის უნარი. გარდა ამისა, ჩვენ მივიღებთ მცირე და საშუალო საწარმოების, აგრეთვე არადაქირავებულ მუშაკთა მხარდაჭერ და მასტიმულირებელ ზომებს, რათა მათ გააჩნდეთ ინტერნეტში ჩართვისა და მისი ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობები. აგრეთვე ჩვენ წავახალისებთ მოწინავე მეთოდების გამოყენებით ადამიანების უწყვეტი სწავლებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, განსაკუთრებით იმ კატეგორიის ადამიანებისათვის, რომელთაც სხვა შემთხვევაში არ ექნებოდათ სწავლებისა და პროფესიული მომზადების შესაძლებლობა.

საყოველთაო მონაწილეობის ხელშეწყობა

12. სტ განვითარებადი ქვეყნებისათვის შესანიშნავ შესაძლებლობებს წარმოშობს. ქვეყნები, რომელთაც მოახერხეს საკუთარი პოტენციალის საჭირო მიმართულებით წარმართვა, უნდა იმედოვნებდნენ, რომ დაძლევენ ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებულ ტრადიციულად წარმოქმნილ სირთულეებს, განვითარების სფეროში ისეთი სასიცოცხლო ამოცანების უფრო ეფექტიანად გადაწყვეტას, როგორებიცაა სიღარიბის დაძლევა, ჯანდაცვა, სანიტარული პირობების გაუმჯობესება და განათლება, აგრეთვე ეკონომიკის განვითარებაში იმ უპირატესობათა გამოყენება, რასაც მათ გლობალური ელექტრონული ვაჭრობის სწრაფი ზრდა სთავაზობს. ზოგიერთმა განვითარებადმა ქვეყანამ ამ სფეროებში უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს.

13 მიუხედავად ამისა, არ ღირს ინფორმაციისა და ცოდნის სფეროში არსებულ უთანასწორობასთან დაკავშირებული მსოფლიო მასშტაბის პრობლემის შეუფასებლობა. ჩვენ ჯეროვნად ვაფასებთ იმ ყურადღებას, რასაც ბევრი განვითარებადი ქვეყანა იჩენს ამ პრობლემატიკისადმი. მართლაც, ყველა ის განვითარებადი ქვეყანა,

რომელიც ფეხს ვერ უწყობს სტ-ს განვითარების მზარდ ტემპებს, მოკლებულია შესაძლებლობებს სრულყოფილად მონაწილეობდეს საინფორმაციო საზოგადოების ცხოვრებასა და ეკონომიკაში. ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავეა იმ ქვეყნებში, სადაც სტ-ს ფართოდ გავრცელებას ხელს უშლის ძირითად ეკონომიკურ და სოციალურ ინფრასტრუქტურათა, კერძოდ, ენერგეტიკის სექტორის, ტელეკომუნიკაციებისა და განათლების სისტემის განუვითარებლობა და ჩამორჩენილობა.

14. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტისას გათვალისწინებული უნდა იქნას სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში არსებულ პირობათა და საჭიროებათა მრავალფეროვნება. აქ არ შეიძლება არსებობდეს „გამოთანაბრებითი“ გადაწყვეტა. ეს თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან როლს, რაც უნდა ითამაშონ განვითარებადმა ქვეყნებმა, წამოაყენონ რა საკუთარი ინიციატივები პოლიტიკური ზომების განსახორციელებლად თანმიმდევრული ეროვნული პროგრამების მიღების თაობაზე. ეს ზომები მიმართული უნდა იქნეს სტ-ს განვითარების და ამ სფეროში კონკურენციის მხარდაჭერის, ნორმატიული ბაზის შექმნის, ეკონომიკური განვითარების და სოციალურ სფეროებში ამოცანათა გადაწყვეტის ინტერესებით სტ-ს გამოყენების, სტ-თან მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე ადამიანური რესურსების განვითარების, ლოკალურ დონეებზე წამოყენებულ ინიციატივათა და ადგილობრივ მეწარმეთა წახალისებისაკენ.

შემდგომი განვითარება

15. საერთაშორისო გათიშულობის დაძლევისაკენ მიმართული ძალისხმევა ყველა მონაწილეს შორის ეფექტინ თანამშრომლობაზე სასიცოცხლოდ არის დამოკიდებული. სტ-ს განვითარებისათვის ჩარჩო პირობების შესაქმნელად ორმხრივი და მრავალმხრივი

თანამშრომლობა შემდგომშიც კვლავ მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები, მრავალმხრივი განვითარების ბანკების ჩათვლით, განსაკუთრებით მსოფლიო ბანკი, ამ მიზნისათვის მეტად ხელსაყრელია და მათ შეუძლიათ იმ პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ზრდას და სიღარიბესთან ბრძოლას, აგრეთვე გააფართოებენ სტ-სათვის ქსელებს, მათ ხელმისაწვდომობას და სტ-ს სწავლებას. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო ქსელს, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამას და სხვა შესაბამის საერთაშორისო ფონდებს ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შესარულონ. განვითარებად ქვეყნებში სტ-ს წინსვლისათვის კერძო სექტორის როლი კვლავაც წამყვანი რჩება. კერძო სექტორს შეუძლია საგრძნობლად შეუწყოს ხელი ციფრული განხეთქილების დაძლევისათვის საერთაშორისო ძალისხმევას. არა სამთავრობო სექტორს, რომელიც ფლობს იდეების საზოგადოებაში გავრცელების უნიკალურ შესაძლებლობებს, ასევე შეუძლია ხელი შეუწყოს ადამიანური და საზოგადოებრივი რესურსების განვითარებას. სტ თავისი არსით გლობალურია და გლობალურ მიდგომასაც საჭიროებს.

16. ჩვენ მივესალმებით განვითარების სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის მეშვეობით, საერთაშორისო ორგანიზაციების ხაზით და კერძო ჯგუფების მიერ საერთაშორისო ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების დასაძლევად უკვე განხორციელებულ ძალისხმევას. ჩვენ ასევე მივესალმებით კერძო სექტორის წვლილს ისეთი ორგანიზაციების სახით, როგორებიცაა - მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (მეფ) გლობალური ინიციატივა ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების დასაძლევად და ბიზნესის გლობალური დიალოგი ელექტრონული ვაჭრობის საკითხებზე (ბგდ), აგრეთვე გლობალური ფორუმი (გფ).

17. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საკითხების საბჭოს მიერ მინისტრების დონეზე მიღებულ დეკლარაციაში საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის შესახებ აღნიშნულია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში პროგრამების ეფექტიანობის მიზნით არსებობს განვითარებად ქვეყნებთან საერთაშორისო დიალოგისა და თანამშრომლობის გაფართოების აუცილებლობა, ასევე საჭიროა „საუკეთესო გამოცდილების“ მოდელის შექმნა, აგრეთვე ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების აღმოსაფხვრელად ყველა მონაწილე ქვეყნის რესურსების მობილიზება. „რვათა ჯგუფი“ კვლავაც მხარს დაუჭერს განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის კერძო და არასამთავრობო სექტორთან, სასაწავლო დაწესებულებებთან და ფონდებთან, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განმტკიცებას. ჩვენ ვიმუშავებთ იმისათვისაც, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოსაყენებლად ხელსაყრელი კლიმატის შექმნის მიზნით განვითარებადმა ქვეყნებმა სხვა ქვეყნებთან პარტნიორობით შესძლონ ფინანსური, ტექნიკური და პოლიტიკური უზრუნველყოფის მოპოვება.

18. ჩვენ შევთანხმდით საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების ჯგუფის (DOT ჯგუფი) შექმნაზე. ეს ჯგუფი იქმნება იმისათვის, რომ ფართო საერთაშორისო მიდგომის შესამუშავებლად გავეართიანოთ ჩვენი ძალისხმევა. DOT ჯგუფი მოწვეული იქნება უახლოეს ვადაში, რათა შეისწავლოს ყველა მონაწილის სამუშაოში ჩართვის საუკეთესო შესაძლებლობა. ეს არის მაღალი დონის ჯგუფი და იგი სხვა პარტნიორობთან მჭიდრო თანამშრომლობის რეჟიმში და განვითარებადი ქვეყნების საჭიროებათა გათვალისწინებით:

აქტიურად შეუწყობს ხელს განვითარებად ქვეყნებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა მონაწილეებთან პოლიტიკური, ნორმატიული და ქსელური უზრუნველყოფის, აგრეთვე ტექნიკური თავსებადობის გაუმჯობესების, ხელმისაწვდომობის გაფართოების, დანახარჯების შემცირების, ადამიანური პოტენციალის განმტკიცების, ასევე გლობალურ ქსელებში ელექტრონული ვაჭრობის წახალისების მიზნებით დიალოგის წარმართვას;

წახალისებს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ექსპერიმენტული პროგრამებისა და პროექტების განსახორციელებლად თანამშრომლობის მიზნით საკუთრივ „რვათა ჯგუფის“ ძალისხმევას;

ხელს შეუწყობს პარტნიორ ქვეყნებთან უფრო მჭიდრო პოლიტიკურ დიალოგს და იმუშავებს, რათა მსოფლიო თანასახოგადობამ მეტი იცოდეს კაცობრიობის წინაშე მდგარ ახალ გამოწვევათა და ახალ შესაძლებლობათა შესახებ;

შეისწავლის საკითხს იმის თაობაზე, თუ რა წვლილი შეაქვს კერძო სექტორს და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს, მაგალითად - გლობალურ ინიციატივას, ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების ლიკვიდაციაში;

გენუაში, მომავალ შეხვედრაზე ჩვენს პირად წარმომადგენლებს წარუდგენს მოხსენებას გაწეული საქმიანობის შედეგების შესახებ.

19 ამ ამოცანათა შესასრულებლად ჯგუფი იმუშავებს კონკრეტული ზომების გატარებისათვის საჭირო გზების გამოსანახად ქვემოთ მოყვანილ შემდეგ პრიორიტეტულ სფეროებში:

პოლიტიკური, ნორმატიული და ქსელური უზრუნველყოფის ფორმირების სფერო

- პოლიტიკური კონსულტირების მხარდაჭერა და ადგილობრივი პოტენციალის განმტკიცება იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს

მოქნილი და სოციალური ასპექტების მხედველობაში მიმღები პოლიტიკის განხორციელებას, აგრეთვე ასეთი პოლიტიკის ნორმატიულ უზრუნველყოფას;

- განვითარებად და სხვა პარტნიორ ქვეყნებს შორის გამოცდილების ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა;

- სტ-ს უფრო ეფექტიანად და ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა განვითარების სფეროში, ისეთი ფართო მიმართულებების ჩათვლით, როგორებიცაა სიღარიბის შემცირება, განათლება, ჯანდაცვა და კულტურა;

- მმართველობის სისტემის სრულყოფა, პოლიტიკის კომპლექსური შემუშავების მეთოდების შესწავლის ჩათვლით;

- საერთაშორისო ორგანიზაციების იმ ძალისხმევის ხელშეწყობა, რომელიც თანამშრომლობის პროგრამათა კონტექსტში მიმართულია ინტელექტუალური და ფინანსური რესურსების გასაერთიანებლად, როგორიცაა, მაგალითად, პროგრამა "InfoDev".

ტექნიკური თავსებადობის გაუმჯობესების, ხელმისაწვდომობის გაფართოებისა და დანახარჯების შემცირების სფერო

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით რესურსების მობილიზაცია, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება მთავრობათა, საერთაშორისო ორგანიზაციათა, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრივ „პარტნიორულ“ მიდგომებზე;

- ტექნიკური თავსებადობის უზრუნველსაყოფად განვითარებადი ქვეყნების დანახარჯების შესამცირებლად გზების ძიება;

- ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომობის პროგრამების მხარდაჭერა;

- განვითარებადი ქვეყნების საჭიროებათა შესაბამისი ტექნოლოგიური გამოკვლევების და გამოყენებითი ტექნიკური გადაწყვეტების წახალისება;

- ქსელებს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სამსახურებსა და გამოყენებით სისტემებს შორის ურთიერთქმედებების გაუმჯობესება;
- თანამედროვე შინაარსობრივად მდიდარი საინფორმაციო პროდუქციის, მათ შორის მშობლიურ ენოვანი საინფორმაციო პროდუქციის წარმოების გაფართოების წახალისება.

ადამიანური პოტენციალის განმტკიცების სფერო

- საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარ-ჩვევების შესაძენად გამიზნულ ზოგადსაგანმანათლებლო, უწყვეტი სწავლებისა და გადამზადების პროგრამების მიმართ ყურადღების გაზრდა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა აქტუალური, აგრეთვე ნორმატიული სფეროს სპეციალისტების მომზადების ხელშეწყობა;
- ტრადიციული ტექნიკური დახმარების გაფართოების მიზნით ინოვაციური მიდგომების, მათ შორის - დისტანციური სწავლებისა და ადგილობრივ დონეებზე მომზადების მეთოდოლოგიათა შემუშავება;
- სახელმწიფო დაწესებულებათა და ინსტიტუტების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების, სკოლებისა და უნივერსიტეტების მომცველი ქსელების შექმნა.

ელექტრონული ვაჭრობის გლობალური ქსელების მუშაობაში მონაწილეობის წახალისების სფერო

- განვითარებად ქვეყნებში ელექტრონული ვაჭრობის შესაძლებლობების გამოყენების შეფასება და გაფართოება ბიზნესის დაწყებისას კონსულტირების, აგრეთვე მეწარმეების მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ახალი ტექნოლოგიებით ბაზრების მოპოვების მხარდასაჭერად რესურსების მობილიზაციის მეშვეობით;

- განვითარებად ქვეყნებში წარმოქმნილი „თამაშის წესების“ განვითარების სფეროში მათ ძალისხმევასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, მათი უნარის – ითამაშონ კონსტრუქციული როლი ამ წესების განსაზღვრისას - განმტკიცება.

კომენტარები ოკინავას ქარტიის შესახებ

ოკინავას ქარტია „რვათა ჯგუფის“ (G8 ჯგუფის წევრები არიან ე.წ. „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები – აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, იაპონია – და რუსეთი) ლიდერების პირველი ერთობლივი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების უსწრაფესი განვითარებისა და მსოფლიოში საინფორმაციო საზოგადოების გაჩენისადმი საერთო დამოკიდებულებას გამოხატავს და ამასთანავე, ხაზს უსვამს პრობლემებისადმი ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების, სამომავლოდ კოორდინირებული მოქმედებების აუცილებლობას.

ქარტია იმით არის ძალზე მნიშვნელოვანი, რომ ასახავს ახალ ეპოქაში მსოფლიოს ყველაზე განვითარებული და გავლენიანი სახელმწიფოების სტრატეგიას განვითარების გლობალურ პროცესში. ეს არის ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შექმნის, როგორც უკვე მომხდარი უმნიშვნელოვანესი ფაქტის შეფასება, ნაჩვენებია ამ მიმართულებით შემდგომი განვითარების ტენდენციები, ხაზგასმულია ის ღირებულებები, რომელთა დაკვიდრებასაც უნდა ემსახურებოდეს ახალ ეპოქაში საინფორმაციო საზოგადოების ტექნოლოგია, ყურადღება გამახვილებულია ახალი ეპოქის პრობლემებსა და პრიორიტეტულ ამოცანებზე, მათ

გადასაწყვეტად მოწინავე ქვეყნების ერთიანი სტრატეგიის ძირითად აქცენტებზე.

ქართა შედეგა 19 მუხლისაგან, რომლებიც ერთიანდებიან პრეამბულისა და ოთხი ნაწილის სახით. პრეამბულას სათაური არა აქვს, დასათაურებული ნაწილებიდან პირველი სამი წარმოადგენს გლობალური საინფორმაციო საზოგადოებისადმი მონაწილე სახელმწიფოების საერთო დამოკიდებულებებისა და მათი სახელმძღვანელო პრინციპების დეკლარირებას, ხოლო დასკვნითი, მეოთხე ნაწილი – სამომავლოდ ერთობლივი მოქმედებების პრიორიტეტებისა და საერთო სტრატეგიის ძირითადი აქცენტების გაცხადებას.

ქართის პრეამბულა შედეგა ხუთი მუხლისაგან და ზოგადად ასახავს მონაწილე სახელმწიფოების ერთიან პოზიციას საინფორმაციო ტექნოლოგიებით გამოწვეული გლობალური ცვლილებებისადმი, კერძოდ:

ქართაში მოცემულია (იხ. 1-ელი მუხლი) ახალი ისტორიული ეპოქისა და ამ ეპოქაში სტ-ის უმნიშვნელოვანესი როლის ზოგადი შეფასება. აღნიშნულია, რომ სტ რეკოლუციურად გარდაქმნის ადამიანის ცხოვრების სტილს და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის წარმოშობს ახალ, უნიკალურ და უზარმაზარ შესაძლებლობებს.

ქართა საინფორმაციო საზოგადოებას განმარტავს, როგორც სტ-ს მეშვეობით ინფორმაციისა და ცოდნის უკეთ გამოყენებაზე ორიენტირებულს, ჩამოთვლის გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში სტ-ს გამოყენების უმთავრეს მიზნებს - ძვრადი ეკონომიკური ზრდა, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლება, სოციალური თანხმობა, დემოკრატიის განმტკიცება, ტრანსფარენტული და პასუხისმგებლობით დატვირთული მმართველობა, კულტურული მრავალფეროვნების განვითარება, საერთაშორისო მშვი-

დობა და სტაბილურობა, აღნიშნავს ახალ რეალობაში მოქმედებისათვის ახლებურ როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო სტრატეგიათა აუცილებლობას (იხ. მე-2 მუხლი).

ქართა ხაზს უსვამს გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ისეთ ფუნდამენტალურ დემოკრატიულ ღირებულებებს, როგორებიცაა საყოველთაო მონაწილეობა, თანასწორუფლებიანობა, შექმნარებლობა, სხვა ადამიანის გამორჩეულობის პატივისცემა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლა. მიიჩნევა, რომ სწორედ ამ ფუნდამენტალურ დემოკრატიულ ღირებულებებს დაეფუძნება გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ძვგრადობა (იხ. მე-3 მუხლი). აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საყოველთაო მონაწილეობის პრინციპი, რაც გამოხატავს გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ღიაობას - მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსა და ყოველი ადამიანისათვის გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში შესასვლელად კარი ღიაა, უფრო მეტიც: წვერი სახელმწიფოები მზად არიან განახორციელონ თანმიმდევრული პოლიტიკა, რათა უზრუნველყონ სტ-ს უპირატესობათა გამოყენების საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

წვერი სახელმწიფოები გამოხატავენ საერთო მზადყოფნას განახორციელონ გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შემდგომი განვითარებისაკენ მიმართული პოლიტიკა (იხ. მე-4 მუხლი).

ქართა სხვა პარტნიორ და განვითარებად ქვეყნებს, სამრეწველო და არასამთავრობო სექტორებს მოუწოდებს გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შექმნა-განვითარებისა და უპირველესად, ინფორმაციისა და ცოდნის სფეროში მსოფლიოში არსებული განხეთქილების დაძლევისათვის საყოველთაო თანამშრომლობისაკენ (იხ. მე-5 მუხლი).

ქარტიის პირველი ნაწილი საერთო სათაურით - „**ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობათა გამოყენება**“ აერთიანებს მე-ნ – მე-8 მუხლებს და ეძღვნება სტ-ს გამოყენების სფეროში მონაწილე მხარეთა საერთო ამოცანებს, ერთიან მიდგომებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, კერძოდ:

სტ-ს გამოყენების თვალსაზრისით ქარტიაში (იხ. მე-ნ მუხლი) გლობალური მასშტაბით გადასაწყვეტი შექმნილი საერთო ამოცანებია ჩამოთვლილი:

1) სტ-ს გამოყენების მხარდამჭერი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები;

2) სტ-ს გამოყენებისას სოციალური თანხმობის უზრუნველყოფი ღონისძიებები;

3) სტ-ს გამოყენებით მაკროეკონომიკის რაციონალური მართვა;

4) უფრო სწრაფი, საიმედო, უსაფრთხო და ეკონომიური საინფორმაციო ქსელების შექმნა;

5) საინფორმაციო საუკუნის საჭიროებათა შესაბამისი ადამიანური რესურსების განვითარება;

6) სტ-ს უფრო აქტიური გამოყენება სახელმწიფო სექტორში და ელექტრონულ მთავრობათა შექმნის საყოველთაოდ მხარდაჭერა.

ამ ამოცანების გარდა, ქარტიაში განსაკუთრებით საზვასმულია ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების აღმოფხვრის გლობალური ამოცანაც, რომლის გადაწყვეტის აუცილებლობის დეკლარირებას და წვერი სახელმწიფოების ერთიან სტრატეგიას უდიდესი ყურადღება ეთმობა და ეძღვნება ქარტიის ორი ნაწილი (იხ. ქვემოთ).

სტ-ს გამოყენების სფეროში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქარტიაში ჩამოყალიბებული მონაწილეთა შემდეგი ერთიანი მიდგომები და სახელმძღვანელო პრინციპები (იხ მე-7 მუხლი):

1) საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სატელეკომუნიკაციო საქონლისა და მომსახურების ახალი ბაზრების გახსნის მხარდაჭერა;

2) სტ-ს გამოყენების სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა;

3) სტ-ს გამოყენებისას ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა დაცვა;

4) არალიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფათა გამოყენების მაქსიმალური შეზღუდვა;

5) სტ-ს გამოყენების მაქსიმალური გაფართოება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, საბაჟო და ექსპედიციური პროცედურები;

6) ელექტრონული ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაცია;

7) ელექტრონული გადარიცხვების საბაჟო დაბეგვისაგან განთავისუფლება;

8) ელექტრონული ბაზრებისადმი მომხმარებლის ნდობის ზრდის მხარდაჭერა;

9) სტ-ს მომხმარებლის კერძო ცხოვრების დაცვის ეფექტიანი მექანიზმის განვითარება;

10) ელექტრონული იდენტიფიკაციის, ელექტრონული ხელმოწერის, ოპერაციათა უსაფრთხოებისა და ნამდვილობის უზრუნველყოფის სხვა ელექტრონულ საშუალებათა შემდგომი განვითარება.

ქარტიაში ასევე ხაზგასმულია სტ-ს გამოყენების სფეროში დანაშაულთან ბრძოლის შემდგომი გააქტიურებისა და ამ მიზნით

საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცების აუცილებლობა (იხ. მე-8 მუხლი).

ქარტიის მეორე ნაწილი საერთო სათაურით – „**ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების დაძლევა**“ აერთიანებს მე-9 – მე-11 მუხლებს და ეძღვნება გლობალური საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, როგორცაა მსოფლიოში რესურსების განაწილების და შესაძლებლობების შემაშვოთებელი უთანაბრობის შედეგად სტ-ს უპირატესობათა გამოყენებაშიც სხვადასვა სოციალური ჯგუფებსა თუ განვითარების სხვადასხვა სტადიაზე მყოფი სახელმწიფოების შესაძლებლობებს შორის არსებული განხეთქილება. ქარტიის ეს ნაწილი ციფრული განხეთქილების პრობლემას განიხილავს გლობალურად და ძირითადად ეძღვნება როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ამ პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიულ მიმართულებებს.

სტ-ს უპირატესობათა გამოყენების საყოველთაობას, რაც ქარტიის ერთ-ერთი ძირეული პრინციპია, სწორედ ახალი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უთანაბრობა უშლის ხელს. ასეთი უთანაბრობა, რაც თავისი მასშტაბებით უკვე განხეთქილებათაა შეფასებული (სწორედ ეს ტერმინი და არა „უთანასწორობა“ არის გამოყენებული ქარტიაში), არსებობს არა მხოლოდ მოწინავე და განვითარებად ქვეყნებს შორის, არამედ ჯერ კიდევ საგრძნობა თვით განვითარებულ ქვეყნებში – იქაც კი სტ-ს უპირატესობით სარგებლობისას სხვადასხვა სოციალურ ფენებს ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ. გლობალური მასშტაბის ამ პრობლემის დაძლევაზე ქარტია განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას და ხაზს უსვამს „რვათა ჯგუფის“ ქვეყნების ერთიან ნებას ამ სფეროში თანამშრომლობისათვის მოახდინონ როგორც ცოდნის, ასევე რესურსების სა-

ერთო მობილიზება. აქვე ისიც მითითებულია, რომ ციფრული განხეთქილების დაძლევა არა მხოლოდ მთავრობების, არამედ სამეწარმეო და არასამთავრობო სექტორების ამოცანაცაა და სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობასთან ერთად ასევე აუცილებელია მათთან ეფექტიანი თანამშრომლობა (იხ. მე-9 მუხლი).

ქართია ხაზს უსვამს ერთიანი სტრატეგიისათვის ციფრული განხეთქილების დასაძლევად მიმართული ღონისძიებების განსაკუთრებულ მნიშვნელობას (იხ. მე-10 მუხლი) და აყალიბებს ამ გლობალური პრობლემის გადასაჭრელად შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

1) მოსახლეობისათვის კომუნიკაციების გამოყენების სფეროში ხელსაყრელი საბაზრო პირობების შექმნა;

2) სტ-ს გამოყენების დამატებით შესაძლებლობათა გამოძებნა, უპირველესად კი საჯარო დანიშულების საინფორმაციო-საკომუნიკაციო დაწესებულებების ქსელის გაფართოება;

3) ქსელური ხელმისაწვდომობის სრულყოფა, განსაკუთრებით პერიფერიებში, მეგაპოლისებიდან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში;

4) სოციალურად ნაკლებად დაცული და უნარშეზღუდული მოქალაქეებისათვის სტ-ს იოლი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

5) ხელსაყრელი, მარტივი ინტერფეისებისა და გამოყენებისათვის იოლი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების განვითარება.

ამ ხუთი მიმართულების გარდა ქართიაში ცალკეა გამოყოფილი და განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული განხეთქილების დასაძლევად ისეთ სტრატეგიულ მიმართულებას, როგორცაა გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ადამიანური რესურსების მომზადება (იხ. მუხლი 11). ქართია ფაქტი-

ურად აყალიბებს საინფორმაციო საზოგადოების საგანმანათლებლო პოლიტიკის ფუნდამენტალურ ამოცანებსა და პრინციპებს. კერძოდ, ქარტია აღიარებს:

1) მთავრობათა ვალდებულებას, ყველა ადამიანს შეუქმნან სტ-სთან მუშაობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა შეძენის შესაძლებლობა;

2) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლები, კლასები და ბიბლიოთეკები) ინფოკომუნიკაციებითა და საჭირო კვალიფიკაციის პედაგოგებით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა საჭიროებას;

3) მცირე და საშუალო მეწარმეთა, აგრეთვე არადაქირავებულითა (მოსახლეობის კატეგორია, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ მეწარმეებს, თვითდასაქმებულებს და სხვ.) მიერ სტ-ს გამოყენების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მათი მხარდაჭერის საჭიროებას;

4) უწყვეტი სწავლების ისეთი სისტემების, რომლებიც იყენებენ სტ-ზე დაფუძნებულ მოწინავე მეთოდებს, წახალისების საჭიროებას.

ქარტიის მესამე ნაწილი საერთო სათაურით - „საყოველთაო მონაწილეობის მხარდაჭერა“ აერთიანებს მე-12 – მე-14 მუხლებს. ამ ნაწილში ცალკეა განხილული გლობალური ციფრული განხეთქილების ის ასპექტი, რომელიც უკავშირდება უზარმაზარ განსხვავებას მსოფლიო სახელმწიფოების განვითარების დონეებს შორის და ჩამოყალიბებულია „რვათა ჯგუფის“ პოზიცია განვითარებადი ქვეყნების ციფრული ჩამორჩენის მიმართ. ეს ნაწილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რადგან კიდევ ერთხელ ვკადლევს საშუალებას ნათლად წარმოვიდგინოთ მოწინავე ქვეყნების სტრატეგია ჩვენი განვითარების მხარდაჭერის პროცესში.

ქარტიაში რამდენჯერმეა ხაზგასმული, რომ სტ გლობალურად ქმნის უზარმაზარ შესაძლებლობებს. განსაკუთრებით აღინიშნება, რომ სტ ბრწყინვალე შანსს აძლევს განვითარებად ქვეყნებსაც (იხ. მუხლი 12). ისინი ამ შანსს სხვადასხვაგვარად იყენებენ, თუმცა უკვე არსებობს ცალკეული სახელმწიფოების მიერ სტ-ს უპირატესობების მეშვეობით განვითარების ფუნდამენტალური პრობლემების (როგორებიცაა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურათა განვითარება – მმართველობის სისტემის გარდაქმნა, განათლების, ჯანდაცვის, სიღარიბის დაძლევის, სოციალური დაცვის, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი სისტემების შექმნა) წარმატებული გადაწყვეტის პრაქტიკა.

მიუხედავად ასეთი პრაქტიკის უკვე არსებობისა, ქარტია ხაზს უსვამს, რომ ციფრული განხეთქილება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მწვავე მსოფლიო მასშტაბის პრობლემად რჩება (იხ. მუხლი 13). აღნიშნულია, რომ ქვეყნები, რომლებიც ვერ მოახერხებენ ფეხი აუწყონ სტ-ს სწრაფი ტემპებით განვითარებას, ე.ი. მოწინავე ქვეყნებისათვის ჩვეულ ტემპებს, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც არ გარდაქმნიან თავიანთი ინფრასტრუქტურებს (აქ გამოყოფილია ენერგეტიკის სფერო, ტელეკომუნიკაციები და განათლების სისტემა) სტ-ს ფართო გამოყენების პირობათა შესაქმნელად, ფაქტიურად დარჩებიან მსოფლიო განვითარების პროცესის მიღმა. ამით ქარტია ნათლად მიანიშნებს, რომ გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს ტექნოლოგიურ განხეთქილებაზე დაფუძნებული უზარმაზარი უფსკრული განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, თუკი ეს უკანასკნელნი საჭირო ზომებს არ მიიღებენ.

ციფრული განხეთქილების დაძლევის, გლობალურ საინფორმაციო საზოგადოებაში განვითარებადი ქვეყნების ინტეგრაციის პრობლემის გადაწყვეტის ფუძემდებლური პრინციპი, რაც მოცემულია ქარტიაში, განვითარებადი ქვეყნების ეროვნულ სტრატეგიათა მხარდაჭერაა (იხ. მუხლი 14). სხვადასხვა განვითარებად ქვეყნებში არსებულ პრობლემათა მრავალფეროვნების გამო ქარტია უარყოფს ამ ქვეყნების დახმარებისას რაიმე უნივერსალური მეთოდის და ციფრული განხეთქილების გლობალური პრობლემის ე.წ. „გამოთანაბრებითი“ გადაწყვეტის სტრატეგიას. ხაზგასმულია, რომ უმნიშვნელოვანესი იქნება თავად განვითარებადი ქვეყნების ძალისხმევა – ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ ინფორმატიზაციის ეროვნული პოლიტიკის შექმნას და სწორედ ასეთ ეროვნული პოლიტიკის მხარდაჭერას დაემყარება მათი დახმარების სტრატეგია. ეს პრინციპი პირდაპირ მიგვითითებს, რომ აუცილებელია „სტ-ს განვითარების და ამ სფეროში კონკურენციის მხარდაჭერის, ნორმატიული ბაზის შექმნის, ეკონომიკური განვითარების და სოციალურ სფეროებში ამოცანათა გადაწყვეტის ინტერესებით სტ-ს გამოყენების, სტ-ს თან მუშაობის უნარ-ჩვევების მქონე ადამიანური რესურსების განვითარების, ლოკალურ დონეებზე წამოყენებულ ინიციატივათა და ადგილობრივ მეწარმეთა წახალისებისაკენ“ (იხ. მუხლი 14) მიმართული თანმიმდევრული ეროვნული პროგრამის შეთუშაება, რის გარეშეც, ცხადია, ვერ მოხერხდება განვითარებული ქვეყნების ეფექტიანი მხარდაჭერის მოპოვება.

ქარტიის დასკვნითი, მეოთხე ნაწილი საერთო სათაურით - „შემდგომი განვითარება“ მთლიანად ეძღვნება „რვათა ჯგუფის“ წევრი სახელმწიფოების სტრატეგიას ახლ, გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ეპოქაში.

ქარტიაში განსაკუთრებით აღნიშნულია სტ-ს შემდეგი განვითარებისა და მისი გამოყენების გაფართოებისათვის საერთაშო-

რისო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების აუცილებლობა. ერთობლივი მოქმედებების ძირითადი აქცენტების განსაზღვრისას „რვათა ჯგუფის“ სახელმწიფოები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ, რომ ახალ ეპოქაში მათი სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელია აქტიური ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა როგორც ერთმანეთთან, ასევე პარტნიორ ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან (იხ. მე-15 –მე-17 მუხლები). აღნიშნულია, რომ საინფორმაციო საზოგადოება თავისი არსით გლობალურია და მის განვითარებაში ასევე გლობალური თანამშრომლობაა საჭირო. ასეთი გლობალური თანამშრომლობისას ყურადღება განსაკუთრებულად მახვილდება გაეროს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების (უპირველესად მსოფლიო ბანკის) და ბიზნესის სფეროს საერთაშორისო ორგანიზაციების (მათ შორის : „მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი“ (მეფ), „გლობალური ინიციატივა ელექტრონულ-ციფრული განხეთქილების დასაძლევად“, „ბიზნესის გლობალური დიალოგი ელექტრონული ვაჭრობის საკითხებზე“ (ბგდ), აგრეთვე „გლობალური ფორუმი“ (გფ)) როლების შემდგომ ზრდაზე.

ქარტიის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი შედეგია წევრი სახელმწიფოების მიერ სპეციალური ინსტიტუტის - „საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაძლებლობების ჯგუფის“ (DOT ჯგუფი) დაფუძნება. (იხ. მუხლი 18). ქარტიით განსაზღვრულია, რომ ამ ჯგუფის ძირითადი მიზნები იქნება:

1) საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკური, ნორმატიული და ქსელური უზრუნველყოფის, აგრეთვე ტექნიკური თავსებადობის გაუმჯობესების, ხელმისაწვდომობის გაფართოების, დანახარჯების შემცირების, ადამიანური პოტენციალის განმტკიცე-

ბის, ასევე გლობალურ ქსელებში ელექტრონული ვაჭრობის წასახალისებლად საერთაშორისო დიალოგის აქტიური ხელშეწყობა;

2) ქართვით განსაზღვრული პრიორიტეტების (იხ. მუხლი 19) მიხედვით მუშაობა, რათა წევრმა სახელმწიფოებმა განსაზღვრონ და განახორციელონ თავიანთი სტრატეგიის კონკრეტული ღონისძიებანი.

ქარტიაში გამოყოფილია წევრი სახელმწიფოების მიერ სტ-სა და საინფორმაციო საზოგადოების შედგოში განვითარების მიზნით განსახორციელებელი ერთობლივი პრიორიტეტების (იხ. მუხლი 19) შემდეგი ოთხი სფერო:

1) პოლიტიკური, ნორმატიული და ქსელური უზრუნველყოფის ფორმირება;

2) ტექნიკური თავსებადობის გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობის გაფართოება და დანახარჯების შემცირება;

3) ადამიანური პოტენციალის განმტკიცება;

4) ელექტრონული კომერცია.

II. გზა საინფორმაციო საზოგადოებისაკენ

პროექტი

საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო კონცეფცია

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო პროგრამის კონცეფციურ საფუძველს.

ეს კონცეფცია ასახავს ინფორმატიზაციის მნიშვნელობასა და როლს საქართველოში, გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების შედეგად ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებს, განსაზღვრავს ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, უმთავრეს მიმართულებებს და ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის გზებს.

შინაარსი:

I. შესავალი

- 1.1. კონცეფციაში გამოყენებული ტერმინები
- 1.2. თანამედროვე ინფორმატიზაცია და მისი მნიშვნელობა ცივი-ლიზაციის განვითარებაში
- 1.3. გლობალური საინფორმაციო საზოგადოება და საქართველოს განვითარების პერსპექტივები

II. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა და მისი უმთავრესი მიმართულებები

- 2.1. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა, მისი მიზნები და ამოცანები
- 2.2. ინფორმატიზაციის საშუალებების მზარდი გამოყენების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირება
- 2.3. სახელმწიფო საინფორმაციო რესურსების და საჯარო დაწესებულებების ინფორმატიზაცია
- 2.4. ინფორმატიზაციის ადამიანური რესურსების მომზადება
- 2.5. ეროვნული საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოების დაცვა

III. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფა

- 3.1. პროგრამული უზრუნველყოფა
- 3.2. საკანონმდებლო უზრუნველყოფა
- 3.2. საფინანსო უზრუნველყოფა
- 3.3. ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

I. შესავალი

1.1. კონცეფციაში გამოყენებული ტერმინები

კონცეფციაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1. **საინფორმაციო პროცესები** - ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციის, შენახვის, დამუშავების, გადაცემისა და წარმოდგენის პროცესები

1.1.2. **საინფორმაციო ურთიერთქმედება** - ინფორმაციათა ურთიერთგაცვლის პროცესი, რისი შედეგიცაა ერთ-ერთი მონაწილის ინფორმაციული რესურსის რაოდენობრივი ან სტრუქტურული ცვლილება მაინც.

მომხმარებელთა ინფორმაციული ურთიერთქმედებისათვის ოპტიმალური პირობების ორგანიზაცია ინტერნეტის ერთ-ერთი არსებითი დანიშნულებაა.

1.1.3. **ინფორმატიზაცია** - საინფორმაციო პროცესების თანამედროვე ინფოკომუნიკაციების საშუალებებით წარმოების საფუძველზე საინფორმაციო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და ინფორმაციის მიღების უფლებების რეალიზაციის ოპტიმალური პირობების შექმნის პროცესი.

1.1.4. **საინფორმაციო-საკომუნიკაციო (მოკლედ - საინფორმაციო) ტექნოლოგიები** - საინფორმაციო პროცესების საწარმოო-ტექნიკური საშუალებების, პროგრამებისა და მეთოდების კომპლექსი. ამ ტექნოლოგიების გამოყენებამ საინფორმაციო პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის თითოეულ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს წარმოება-რეალიზაციის პროცესის სიმარტივე და ეკონომიურობა, მცირე შრომატევადობა, წარმოებული პროდუქტის მაღალი ხარისხი - პროდუქტის საიმედოობა და ოპერატიულობა,

მისი გამოყენების (ინფორმაციაზე რეაგირება ან ახალი ინფორმაციის შექმნა) ხელსაყრელობა.

1.1.5. **ინფოკომუნიკაციები** - თანამედროვე საინფორმაციო, კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების ორგანულად გამაერთიანებელი რთული კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების, ორგანიზაციებისა და სახელმწიფოსათვის საინფორმაციო პროდუქტისა და მომსახურების წარმოება-მიწოდებას.

1.1.6. **საინფორმაციო პროდუქტი** – ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, დამუშავების, გადაცემისა და წარმოდგენის პროცესში ინფოკომუნიკაციებით წარმოებული ნებისმიერი საქონელი, მათ შორის: ყველა სახის საინფორმაციო რესურსები, მონაცემთა ბაზები და ბანკები, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები და სხვ.

1.1.7. **საინფორმაციო რესურსები** – საინფორმაციო სისტემების (ბიბლიოთეკები, არქივები, ფონდები, დეპოზიტები, მონაცემთა ბაზები და ბანკები, სამუზეუმო საცავები და სხვ.) დოკუმენტები და დოკუმენტთა მასივები.

1.1.8. **კონტენტი** – საინფორმაციო სისტემის, კომპლექსის სერვერის ნებისმიერი საინფორმაციო ღირებულების მქონე ტექსტი, გრაფიკა, მულტიმედია. კონტენტის არსებითი პარამეტრებია – მისი მოცულობა, აქტუალობა და რელევანტურობა.

1.1.9. **საინფორმაციო მომსახურება** – ინფოკომუნიკაციებით წარმოებული ყველა სახის არამატერიალური პროდუქტი.

1.1.10. **საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა** – ტერიტორიულად განაწილებულ სახელმწიფო და კერძო საინფორმაციო სისტემების, სატელეკომუნიკაციო ქსელების, მათ შორის კავშირგაბმულობის ხაზების, მონაცემთა გადაცემის ქსელებისა და არხების, საინფორმაციო ნაკადების კომუტაციისა და მართვის

საშუალებების, აგრეთვე ორგანიზაციული სტრუქტურების და სამართლებრივ-ნორმატიული ადმინისტრაციული მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიას და ეფექტიან გამოყენებას.

1.1.11. **საინფორმაციო ინფრასტრუქტურა** – ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობა, რომელიც ქვეყნის საინფორმაციო სივრცის, საინფორმაციო ურთიერთქმედებათა ფუნქციონირებასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

1.1.12. **საზოგადოების საინფორმაციო გარემო** – საინფორმაციო პროდუქტების, საინფორმაციო მომსახურების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, ინფორმატიზაციის საშუალებების, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პირობების ერთობლიობა.

1.1.13. **საინფორმაციო სივრცე** – ამა თუ იმ ქვეყნის ან მსოფლიოს (გლობალური საინფორმაციო სივრცე) საინფორმაციო პროცესებში მონაწილე სუბიექტების, საინფორმაციო გარემოს, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო ურთიერთქმედებათა ერთობლიობა.

1.1.14. **ინფორმატიზაციის საშუალებები** – საინფორმაციო, კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები, რომელიც გამოიყენება ინფორმატიზაციისას.

1.1.15. **ინფორმატიზაციის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა** – პერსპექტიული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ტექნიკის დამუშავებისა და წარმოების დარგები, ამ სფეროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და საწარმოები, აგრეთვე ამ სფეროს სპეციალისტები.

1.1.16. **ინფორმატიზაციის სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა** – კანონებისა და ნორმატიული აქტების კომპლექსი, რომლითაც

წესრიგდება ინფორმატიზაცია, აგრეთვე საინფორმაციო პროცესსა და საინფორმაციო ურთიერთქმედებაში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების, საინფორმაციო პროდუქტების მწარმოებელი, მესაკუთრე და მომხმარებელი სუბიექტების უფლება-მოვალეობანი და მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობები.

1.1.17. **საინფორმაციო საზოგადოება** - ცივილიზაციის განვითარების ახალი ისტორიული ფაზა, რომლის დროსაც უმთავრესი რესურსი და პროდუქტია ინფორმაცია და ცოდნა.

1.2. თანამედროვე ინფორმატიზაცია და მისი მნიშვნელობა ცივილიზაციის განვითარებაში

ნებისმიერი ცივილიზაციის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია საინფორმაციო სივრცე, რომელშიც ამა თუ იმ საზოგადოების წევრების მიერ ინდივიდუალურად და კოლექტიურად სხვადასხვა მიზნით (მაგ. წარმოება, მართვა, განათლება, დასვენება და სხვ.), საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით, საინფორმაციო გარემოში ორგანიზებულია და მიმდინარეობს საინფორმაციო პროცესი, საზოგადოების წევრთა საინფორმაციო ურთიერთქმედება.

ინფორმატიზაცია ზოგადად ის პროცესია, რომლის დროსაც ყალიბდება და ვითარდება ესა თუ ის საინფორმაციო გარემო.

განსხვავებით წარსულისაგან, თანამედროვე ინფორმატიზაცია რთული, კომპლექსური პროცესია, რომელიც სამ ძირითად მიმართულებას მოიცავს. ეს მიმართულებებია:

1) საინფორმაციო გარემოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელი გახდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების რევოლუციის შედეგად, რამაც შექმნა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა და მისი საფუძველი – ტელეკომუნიკაციური ქსელები და სისტემები, ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკა, ინფორმატიზაციის თანამე-

დროვე საშუალებები, ინფორმატიზაციის ტექნიკო-ტექნოლოგიური ბაზა;

2) საინფორმაციო გარემოს სოციალური უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული ღონისძიებების კომპლექსს, რათა მიღწეული იქნას საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების სოციალურად მნიშვნელოვანი და საზოგადოებრივად აუცილებელი წარმოება, მათი უსაფრთხო და ეფექტიანი მოხმარება;

3) საინფორმაციო გარემოს ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პერსონალის სწავლების, მომზადება-გადამზადების, საინფორმაციო პროდუქტების და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების მასობრივი სწავლების სისტემათა შექმნას.

ნებისმიერი საზოგადოების ცხოველმყოფელობისათვის საინფორმაციო გარემო აუცილებელია, ამიტომ ინფორმატიზაცია ყველა ისტორიული ეპოქისა და ცივილიზაციისათვის მეტ-ნაკლებად იყო დამახასიათებელი, მაგრამ თანამედროვე, გლობალიზაციის ეპოქაში ინფორმატიზაციას წამყვანი როლი ენიჭება კაცობრიობის შემადგენელი ყოველი საზოგადოების, ერისა თუ სახელმწიფოს განვითარებაში.

გლობალიზაციის ეპოქაში ინფორმატიზაციის წამყვან როლს განაპირობებს:

1) ინფოკომუნიკაციების არნახული განვითარება, რამაც შესაძლებელი გახადა გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნა. ასეთი საინფორმაციო სივრცე საყოველთაოა:

– ნებისმიერ ინდივიდს, თუ მას ხელი მიუწვდება აუცილებელ ინფოკომუნიკაციებზე, შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ წერ-

ტილში და დროს განახორციელოს ინფორმაციული ურთიერთქმედება, შეუზღუდავად აწარმოოს და მოიხმაროს საინფორმაციო პროდუქტი და მომსახურება;

- აღარ არსებობს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც პიროვნების, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებულად და ეფექტიანად, ამავედროულად საკმარისად ეკონომიურად და ოპერატიულად გადაწყვეტა შესაძლებელია გლობალურ საინფორმაციო სივრცეში განხორციელებული საინფორმაციო ურთიერთქმედების გამოუყენებლად.

2) საინფორმაციო ურთიერთქმედებათა სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ნებისმიერ სფეროში წარმატებული ინდივიდუალური და კოლექტიური, კერძო და საჯარო საქმიანობისათვის. საზოგადოებრივად აუცილებელი საწარმოო, მონხმარებისა თუ დაგროვების სხვადასხვა რესურსების შექმნა-განაწილების და მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები წარმოუდგენელია ინტენსიურ საინფორმაციო ურთიერთქმედებათა გარეშე. ინფოკომუნიკაციების სწრაფი, შეუჩერებელი და ყოვლისმომცველი განვითარება კონკურენტულ პროცესში წარმატების მოსაპოვებლად გარდაუვალს ხდის საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების როგორც შექმნის, ასევე მათი წარმოებისა და რეალიზაციის განუწყვეტელ ზრდას.

გლობალური საინფორმაციო სივრცის ჩამოყალიბება წარმოადგენს ობიექტურ მსოფლიო პროცესს და გარდაუვალს ხდის მსოფლიო ეკონომიკური სივრცის შექმნა-განვითარებას, მსოფლიო სასაქონლო, საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების, კაპიტალისა და შრომის ბაზრების მჭიდრო ურთიერთდაკავშირებას. ასეთ პირობებში შეუძლებელი ხდება ცალკე აღებული რომელიმე

ქვეყნის მსოფლიო საინფორმაციო სივრცისაგან იზოლირებულად არსებობა და განვითარება.

გლობალურ საინფორმაციო სივრცეში საინფორმაციო ურთიერთქმედებათა მზარდი მნიშვნელობის გამო პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს თანამედროვე განვითარების საინფორმაციო გარემოზე დამოკიდებულობა სულ უფრო მზარდი და ყოვლისმომცველი ხდება. საინფორმაციო გარემო პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი კრიტერიუმის მნიშვნელობას იძენს. ამდენად, თანამედროვე ეპოქაში არსებობა და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ პროგრესირებადი ინფორმატიზაციის მეშვეობით, რაც ღღეს უკვე ნებისმიერი პიროვნების, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი.

1.3. გლობალური საინფორმაციო საზოგადოება და საქართველოს განვითარების პერსპექტივები

მე-20 საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან, როდესაც თვალსაჩინო გახდა ინფოკომუნიკაციების ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგები, ინფორმატიზაცია გადაიქცა საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად. ქვეყნები, რომლებიც ფლობენ მსოფლიოში ყველაზე მაღალ განვითარებულ ინფოკომუნიკაციებს, აქვთ მძლავრი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ინფორმატიზაციის ტექნიკო-ტექნოლოგიური ბაზა და საერთოდ, ყველაზე კომფორტული საინფორმაციო გარემო, დადგენენ ცივილიზაციის ახალი საფეხურის – საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ზღურბლთან.

საინფორმაციო საზოგადოება არა მხოლოდ დღევანდელი მოწინავე ქვეყნების, არამედ მთლიანად კაცობრიობის მომავალია და ამჟამად მსოფლიო განვითარების უმთავრესი ტენდენცია

სწორედ გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებაა.

გლობალური საინფორმაციო საზოგადოება თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ახალი ეტაპია, რომელსაც ახასიათებს:

1) **ინფორმაციისა და ცოდნის განმსაზღვრელი მნიშვნელობა ცხოვრების ყველა სფეროსათვის**, ინფორმაციისა და ცოდნის ბაზრის შექმნა და მისი პრიორიტეტული განვითარება ბუნებრივი რესურსების, სასაქონლო, შრომისა და კაპიტალის ბაზრებთან შედარებით, საზოგადოების საინფორმაციო რესურსების გადაქცევა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმთავრეს რესურსად;

2) **გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნა**, რაც უზრუნველყოფს საინფორმაციო პროდუქტებზე და მომსახურებაზე სოციალური თუ პიროვნული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ეფექტიანი საინფორმაციო ურთიერთქმედებების განხორციელების და მსოფლიო საინფორმაციო რესურსების საყოველთაო ხელმისაწვდომობას;

3) **ახალ ტექნოლოგიურ წყობათა შექმნა და მათი შემდგომი დომინირება**. სასაქონლო და სხვა რესურსების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების, აგრეთვე სოციალური პროცესების მართვის ახალი ტექნოლოგიები ბაზირებულია საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების განვითარებულ ინდუსტრიაზე. ახალი ტექნოლოგიები არა მხოლოდ ზრდიან სხვადასხვა სფეროში საქმიანობის შრომის ნაყოფიერებას, მის ეკონომიურობას, ოპერატიულობასა და ხელსაყრელობას, არამედ თავად წარმოშობენ სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის ახალ ფორმებს (მაგ. ტელესამსახური, ტელემედიცინა, დისტანციური განათლება, ელექტრონული ვაჭრობა, ელექტრონული მთავრობა და სხვ.);

4) შრომის ბაზარზე მოთხოვნების წამყვან მახასიათებლებად მაღალი კვალიფიკაციის, პროფესიონალიზმისა და შემოქმედებითი ნიჭის გადაქცევა. ახალი ტექნოლოგიები და მათი მზარდი მნიშვნელობა გლობალურად განაპირობებს დასაქმებაში პროფესიული მომზადების დონის ხარისხობრივ ამაღლებას. ამავდროულად, საინფორმაციო საზოგადოება ქმნის პროფესიული და ზოგადკულტურული დონის ამაღლების ყველაზე ხელსაყრელ პირობებს (განათლების სისტემის ინფორმატიზაცია, ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებზე ინფორმაციული გაცვლის თავისუფლება და სხვ.).

5) ადამიანისა და მოქალაქის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა უზრუნველყოფის, მოსახლეობისა და ხელისუფლების ურთიერთქმედების ეფექტიანი სისტემების მზარდი განვითარება. საინფორმაციო საზოგადოებაში დემოკრატიული განვითარების ძირითად პირობას საინფორმაციო პროცესების წარმოების თავისუფლება და ინფორმაციაზე ხელისუფლების ოპერატიული და ეფექტიანი რეაგირების კარგად განვითარებული უნარი წარმოადგენს. იქმნება პირობები, როდესაც ყოველი ადამიანის ხმა უნდა იქნას გაგებული საზოგადოებისა და ხელისუფლების მიერ, ხოლო იმავდროულად ყოველ ადამიანს ექმნება საკუთარ ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობათა გამოვლენის როგორც საკმარისი თავისუფლება, ასევე მაქსიმალური უნარიც.

მართალია, მოწინავე ქვეყნები საინფორმაციო საზოგადოების ზღურბლთან დგანან, რაც მსოფლიო განვითარებაში გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ტენდენციაზე მიუთითებს, მაგრამ ამავდროულად ასევე თვალსაჩინოა მსოფლიო განვითარების უთანაბრობაც. ის ფაქტი, რომ მიუხედავად გლობალიზაციის ინტენსიური პროცესისა, სხვადასხვა ქვეყნები პოლიტიკური და სო-

ციალურ-ეკონომიკური განვითარების ურთიერთგანსხვავებულ სტადიებზე იმყოფებიან, მათი განვითარების ურთიერთგანსხვავებულ პერსპექტივებსაც წარმოშობს.

განვითარებულ, პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ეფექტიანად ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა, ჩამოყალიბებულია ღია დემოკრატიული საზოგადოება, მიღწეულია თვითსტიმულირებადი ტექნოლოგიური ზრდა, არსებობს მოსახლეობის გადახდისუნარიანი საშუალო კლასი, პროგრესირებადია საყოველთაო მოთხოვნა საინფორმაციო პროდუქტსა და მომსახურეობაზე, საკმარისადაა თავისუფალი კაპიტალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების ინვესტირებისათვის, შექმნილია საინფორმაციო პროდუქტის და მომსახურეობის მძლავრი ინდუსტრია და ა.შ. ეს ყოველივე ამ ქვეყნებში საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ყველა, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობის რეალიზაციის ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს.

მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ წარმატებული წინსვლა საინფორმაციო საზოგადოებისაკენ მოწინავე ქვეყნების გეოპოლიტიკურ მიზნებსა და პრიორიტეტებს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს და მათი ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ქვაკუთხედაა. მეტიც, უკვე ინტენსიურად ხორციელდება მოწინავე ქვეყნების ძალისხმევითა კოორდინაცია, რომელიც მიმართულია გლობალური საინფორმაციო საზოგადოების შექმნისაკენ. ამის დასტური და ნათელი ილუსტრაციაა დიდი შვიდეულისა და რუსეთის მიერ „გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ქართის“ ხელმოწერაც 2000 წლის აგვისტოში. „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებში მათი განვითარების ბუნებრივ საფუძველზე და იმავდროულად გეგმაზომიერად მიმდინარეობს საინფორმაციო გარე-

მოს გარდაქმნის, ინფორმაციის ეკონომიკის მხარდაჭერისა და სტიმულირების პროცესი.

სრულიად განსხვავებული ვითარებაა განვითარებად, ე.წ. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. განვითარებად ქვეყნებში, სადაც ჯერ არ ჩამოყალიბებულა ან ჩამოყალიბების სტადიაშია გლობალიზაციის ეპოქის შესაბამისი ეროვნული განვითარების სტრატეგია, ინფორმაციის ეკონომიკის ქაოტურად, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, მაგრამ მანც მიმდინარეობს. მართალია, გლობალური საინფორმაციო საზოგადოების პერსპექტივას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ მის შექმნას განვითარებადი ქვეყნებისათვის სწორედ მათი განვითარების სტრატეგიის არჩევანის და შესაძლებლობათა მობილიზაციის უნარის შესაბამისი შედეგი მოჰყვება.

გლობალიზაციის პროცესში ბუნებრივად ჩაერთვებიან და გლობალური საინფორმაციო საზოგადოების სრულყოფილებიანი, თანასწორი წევრები გახდებიან მხოლოდ ის განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც მოახერხებენ ინდუსტრიული ეტაპისა და სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად საინფორმაციო საზოგადოების წინაპირობათა ჩამოყალიბების სტრატეგიის არჩევასა და წარმატებულ განხორციელებას. საინფორმაციო საზოგადოების შექმნის სტრატეგიის განხორციელებისას ასეთი ქვეყნებისათვის გარანტირებული იქნება მოწინავე სახელმწიფოების მხარდაჭერა. მთელ რიგ საერთაშორისო შეთანხმებებსა და დოკუმენტებში (ოკინავას ქარტია, გაეროს მთელი რიგი დეკლარაციები და სხვ.).

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის განვითარებად ქვეყანათა რიგს მიეკუთვნება. გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ყალიბდება გლობალური საინფორმაციო საზოგადოება, საქართველოს წარმატებული განვითარებისათვის საკმარისი აღარ იქნება ინდუსტრიული ეტაპის და სამოქალაქო საზოგადოების აღმშენ-

ბლობის კლასიკური, თითქმის ასი წლის წინანდელი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ლოზუნგების რეალიზაცია, შესაბამისი ამოცანების დასახვა და თუნდაც წარმატებული გადაწყვეტა. უფრო მეტიც: თუ საქართველო ვერ მოახერხებს საკუთარ შესაძლებლობათა სრულ მობილიზაციას საინფორმაციო საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ წინაპრობათა შესაქმნელად, მას უახლოეს მომავალში ძალზე სერიოზული საფრთხე დაემუქრება. კერძოდ:

- რადიკალური პოლიტიკური არჩევანის - გლობალიზაციის პროცესის აქტიური იგნორირების და მისთვის წინააღმდეგობის გაწევის მცდელობის შემთხვევაში – სულ ცოტა, პოლიტიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და საინფორმაციო იზოლაცია, რაც უმოკლესი ვხაა საქართველოს საბოლოო ეროვნული კატასტროფისაკენ;

- ინფორმატიზაციის, საინფორმაციო გარემოს გარდაქმნის დღეს მიმდინარე სტიქიური, ქაოტური და უკონტროლო პროცესის კრიტიკულზე უფრო დიდ ხანს გაგრძელების შემთხვევაში - პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და კულტურულ სფეროებში ძლიერ სახელმწიფოებზე ტოტალური დამოკიდებულების უაპელაციოდ აღიარება, ეროვნული სუვერენიტეტის ნებაყოფლობითი დათმობა, საბოლოო ჯამში - თავისუფალი განვითარების პერსპექტივის საბოლოო გაქრობა.

ამგვარ საფრთხეთა თავიდან ასაცილებლად აუცილებელია გლობალიზაციის ეპოქისათვის ადექვატური ეროვნული განვითარების სტრატეგიის შემუშავება, მიღება და სწრაფად განხორციელება.

ეპოქის შესაბამისი ასეთი სტრატეგია გულისხმობს ინდუსტრიული ეტაპისა და სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის მიზნებისა და ამოცანების ჰორიზონტის მნიშვნელოვან შინაარსო-

ბრივ გაფართოებას. ქვეყნის წარმატებული აღმშენებლობისათვის აუცილებელია გათვალისწინებული და რეალიზებული იქნას საინფორმაციო საზოგადოების შექმნის პირობათა უზრუნველყოფის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ამოცანები.

ამასთან, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის აღმშენებლობა, რაც დღეს ეროვნული განვითარების სასურველ პერსპექტივად მიიჩნევა, განუხორციელებელი დარჩება და უტოპიად იქცევა, თუკი ჯეროვნად არ გავითვალისწინებთ მსოფლიო განვითარების ეპოქალურ ტენდენციებს და ქვეყნის მოდერნიზაციის სტრატეგიას არ წარვმართავთ ეპოქალური გამოწვევის - საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ამოცანის წარმატებულად გადასაწყვეტად.

საინფორმაციო საზოგადოების შექმნის უმთავრესი საფუძველი პროგრესირებადი ინფორმატიზაციაა. დღეს ინფორმატიზაცია საქართველოში არაგვემაზომიერად, ქაოტურად მიმდინარეობს, რის შედეგადაც არათუ არ ყალიბდება, არამედ ბევრ შემთხვევაში ხელი ეშლება საინფორმაციო საზოგადოებისათვის სავალდებულო ეროვნული საინფორმაციო გარემოს შექმნას. სოციალურად მნიშვნელოვან და საზოგადოებრივად აუცილებელ საინფორმაციო პროდუქტთა და მომსახურებათა წარმოება და მოხმარება სამართლებრივად და სოციალურ-ეკონომიკურად მოუწესრიგებელია, განუვითარებელია და არ ხდება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, საერთოდ საინფორმაციო გარემოს განვითარების სტიმულირება, შეზღუდულია სხვადასხვა სფეროებში ინფორმატიზაციის საშუალებების და საერთოდ, საინფორმაციო ტექნოლოგიების როგორც საჯარო, ასევე კერძო მიზნებით გამო-

ყენება, დაუცველია საქართველოს საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოება და ა.შ.

საქართველოს გააჩნია საკმარისი პოტენციალი, რათა ღირსეულად გადაჭრას საინფორმაციო საზოგადოების შექმნის ეპოქალური ამოცანა, გახდეს გლობალური საინფორმაციო საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი და სრულად გამოიყენოს ახალი ეპოქის შესაძლებლობანი ქართველი ხალხის თავისუფალი განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

ამ ამოცანის წარმატებული გადაწყვეტისათვის აუცილებელია პოლიტიკური ნება, განვითარების სწორი სტრატეგიის არჩევა და მის განსახორციელებლად საჭირო ეროვნული რესურსებისა და შესაძლებლობების მობილიზაცია.

საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბება, ინფორმატიზაცია საერთო ეროვნული ამოცანა და პრობლემაა, მაგრამ ამ პრობლემის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს როლი. გამომდინარე, ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის უახლოეს მომავალში დაგეგმვა და პრიორიტეტული განხორციელება საქართველოს ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

II. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა და მისი უმთავრესი მიმართულებები

2.1. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა, მისი მიზნები, ამოცანები და ძირითადი მიმართულებანი

2.1.1. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მოღერნიზაციის, მდგრადი განვითარების, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოსა და საბოლოო ჯამში საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობის აუცილებელ წინაპირობას. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა გულისხმობს საინფორმაციო გარემოს შესაქმნელად და განსავითარებლად სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების კომპლექსის დაგეგმვასა და განხორციელებას.

2.2.2. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები:

ა) საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობისათვის საჭირო საინფორმაციო გარემოს შექმნა-განვითარების უზრუნველყოფა;

ბ) მოქალაქეთა საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ეროვნული და მსოფლიო საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების კონსტიტუციური უფლებების სრული რეალიზაციისათვის ოპტიმალური სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობების უზრუნველყოფა;

გ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინფოკომუნიკაციების, ინფორმატიზაციის საშუალებების ხელმისაწვდომობისა და მათი ფართო გამოყენების ხელშეწყობა;

დ) საინფორმაციო პროდუქტებისა და საინფორმაციო მომსახურებათა წარმოების სტიმულირება და ფართო გამოყენების ხელშეწყობა;

ე) ინფორმატიზაციის სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის შექმნა და განვითარება;

ვ) ეროვნული კონტენტის შექმნა-განვითარება, ეროვნული საინფორმაციო სივრცის დაცვა და გლობალურ საინფორმაციო სივრცეში მისი უსაფრთხო ინტეგრირების უზრუნველყოფა;

ზ) ინფორმატიზაციის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემათა შექმნა-განვითარება და მათი მხარდაჭერა;

თ) სახელმწიფო საინფორმაციო პროცესებისა და საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის მზარდი ინფორმატიზაცია.

2.2.3. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებების მიერ გადასაწყვეტი ამოცანებია:

ა) ინფორმატიზაციის სახელმწიფო პროგრამის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ტერიტორიული ერთეულების ინფორმატიზაციის ადგილობრივი პროგრამების შემუშავება, მიღება და განხორციელება;

ბ) ინფორმატიზაციის, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინფორმატიზაციის საშუალებების, ინფოკომუნიკაციების, საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება-მოხმარების სფეროში საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შემუშავება და მიღება;

გ) საჯარო სამსახურების საინფორმაციო პროცესებისა და საინფორმაციო ურთიერთქმედებათა ეტაპობრივი და სწრაფი გადაყ-

ვანა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით საქმის წარმოების საფუძველზე;

დ) საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზებისას საჯარო დაწესებულებებსა და სამსახურებში ინფოკომუნიკაციების, მართვის ავტომატიზირებული სისტემების, „ელექტრონული მთავრობის“ ტექნოლოგიათა ფართო დანერგვა-გამოყენება, ელექტრონულ მთავრობათა შექმნა მმართველობის ადგილობრივ, რეგიონალურ და ცენტრალურ დონეებზე;

ე) მმართველობის, ბიზნესის, განათლების, მეცნიერების, ჯანდაცვის, კულტურისა და სხვა სფეროებში ეროვნული, ქართულენოვანის კონტენტის შექმნა-განვითარების სტიმულირება და მხარდაჭერა;

ვ) ინფოკომუნიკაციების ფართო გამოყენებისათვის საჯარო მომსახურებების სწავლება, მათი მომზადება-გადამზადება;

ზ) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებათა მხარდი ინფორმატიზაცია, საგანმანათლებლო სტანდარტებისა და პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა საინფორმაციო საზოგადოების ფორმირების მოთხოვნებთან;

თ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება;

ი) ინფოკომუნიკაციების, საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების სფეროს მეწარმეების მხარდასაჭერ ღონისძიებათა შემუშავება-განხორციელება;

კ) ინფორმატიზაციის კერძო და საზოგადოებრივ ინიციატივათა მხარდაჭერა, ამ სფეროში მოქალაქეებს, მეწარმეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის სტიმულირება.

ლ) ინფოკომუნიკაციების, ინფორმატიზაციის საშუალებების ფართო გამოყენების პროპაგანდა.

2.2.4. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

ა) ინფორმატიზაციის საშუალებების მზარდი გამოყენების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარების სტიმულირება;

ბ) სახელმწიფო საინფორმაციო პროცესებისა და სავაზრო დაწესებულებების ინფორმატიზაცია;

გ) ინფორმატიზაციის ადამიანური რესურსების მომზადება;

დ) ეროვნული კონტენტის შექმნა-განვითარების მზარდაჭერა და ეროვნული საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოების დაცვა;

2.2. ინფორმატიზაციის საშუალებების მზარდი გამოყენების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირება

ინფორმატიზაციის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ბაზისს წარმოადგენენ ინფორმატიზაციის საშუალებები, ინფოკომუნიკაციები, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ობიექტები. მათ გარეშე წარმოუდგენელია საინფორმაციო გარემოს განვითარების პროცესი.

ინფორმატიზაციის საშუალებების მზარდი გამოყენებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველყოფა ძირითადად ქვეყნის სამეწარმეო სექტორის ამოცანაა, მაგრამ სამართლებრივ მექანიზმებთან ერთად უმნიშვნელოვანესი იქნება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლი. ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ინფორმატიზაციის პროდუქციისა და მომსახურეობის სასაქონლო ფორმაში გადაყვანა და სრულფასოვანი ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში. ინფორმატიზაციის საშუალებების მზარდი გამოყენებისა და საინ-

ფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირებისათვის აუცილებელი იქნება:

ა) მსოფლიო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების, როგორც სასაქონლო პროდუქციის გაფორმებისა და აღრიცხვის უზრუნველყოფა;

ბ) საინფორმაციო პროდუქციის ინვენტარიზაციისა და შეფასების სტანდარტების შემოღება;

გ) ქვეყნის საკრედიტო-საფინანსო, საგადასახადო, საბაჟო რეგულირების მექანიზმების გამოყენებით ინფორმატიზაციის საშუალებების მწარმოებელ და იმპორტიორ მეწარმეთა მიმართ სახელმწიფო პროტექციონიზმის პოლიტიკის გატარება;

დ) პირობების შექმნა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საერთაშორისო საფინანსო დახმარებისა და სტრატეგიული ინვესტორების მოსაზიდად;

ე) საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების მიღების, განსაკუთრებით სოციალურად ღირებულ სფეროებში (მაგ. საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფა, სახელმწიფო, ადგილობრივი და კომუნალური გადასახადების გადახდა, დისტანციური განათლება, ტელემედიცინა და სხვ.) იაფი, ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი ცენტრების, სახელმწიფოს მიერ ორგანიზება და მხარდაჭერა.

ამ ამოცანათა გადასაწყვეტად ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს საბაზისო პროექტები, რომელთა რეალიზაციაც საშუალებას მოგვცემს:

- ჩამოყალიბდეს სამართლიანი „თამაშის წესები“, ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობები საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიის შექმნა-განვითარებისათვის;

- სახელმწიფოს სტრუქტურული ეკონომიკური პოლიტიკა უზრუნველყოფდეს არა მხოლოდ საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიის ჩამოყალიბებას, არამედ ეროვნულ ეკონომიკაში მისი ხვედრითი წილის პროგრესირებად ზრდას, ინფორმატიზაციის საშუალებების წარმოების სექტორის და ინფორმატიზაციის ტექნიკო-ტექნოლოგიური ბაზის შექმნა-განვითარებას;

- საგარეო ვაჭრობაში გაიზარდოს ინფორმატიზაციის საშუალებების, ახალი წყობის ტექნოლოგიების იმპორტის ხვედრითი წილი;

- ჩამოყალიბდეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინვესტირების ხელსაყრელი გარემო;

- სახელმწიფო სექტორი გადაიქცეს ინფორმატიზაციის საშუალებების, საინფორმაციო პროდუქტისა და მომსახურების ერთ-ერთ აქტიურ მომხმარებლად და მწარმოებლად;

- შეიქმნას საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო მომსახურების სპეციალიზირებული ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით სოციალურად მნიშვნელოვან სფეროებში, განხორციელდეს მასობრივი საშინაო კომპიუტერიზაცია, ინტერნეტის ქართული სემენტის განვითარება, გაჩნდეს და განვითარდეს ელექტრონული კომერცია და სხვ.

2.3. საჯარო საინფორმაციო პროცესებისა და საჯარო დაწესებულებების ინფორმატიზაცია

საჯარო საინფორმაციო პროცესებს განეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებების მიერ მათ კომპეტენციაში შემავალ გადაწყვეტილებათა მიღების ან საზოგადოებრივი მომსახურების წარმოების მიზნით ყველა სახის ინფორმაციის

მოპოვება, მიღება, სისტემატიზაცია, შენახვა, დამუშავება, გადაცემა და წარმოდგენა.

სახელმწიფო საინფორმაციო პროცესებისა და საჯარო დაწესებულებების ინფორმატიზაცია ქვეყნის საინფორმაციო გარემოს გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამ მიმართულებით ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში უნდა გადაწყდეს შემდეგი ამოცანები:

ა) საერთო საინფორმაციო სივრცის ფორმირება, სახელმწიფო საინფორმაციო სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სტრატეგიის განსაზღვრა და ანალიზი;

ბ) თანამედროვე ინფოკომუნიკაციების გამოყენებით სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ლოკალურ საინფორმაციო სისტემათა შექმნა, მათი ერთმანეთთან დაკავშირება და მსოფლიო საინფორმაციო სისტემებში ინტეგრირება,

გ) საინფორმაციო პროცესების კომპიუტერიზაცია და ავტომატიზაცია;

დ) შესაბამისი კადრების მომზადება, და სახელმწიფო და ლოკალური საინფორმაციო სისტემების სტრუქტურულ-ორგანიზაციული განვითარება;

ე) ინფორმაციული უზრუნველყოფის სახელმწიფო და ადგილობრივი სტანდარტების სისტემის დამუშავება;

ვ) სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამართლებრივი, ოფიციალური და სხვა სახის რეტროსპექტულ და ოპერატიულ მონაცემთა ბაზების ფორმირება;

ზ) სახელმწიფო და ლოკალური საინფორმაციო სისტემებისა და ქსელების ინფოკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფა.

თ) მმართველობის ცენტრალურ, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ დონეებზე „ელექტრონული მთავრობის“ სისტემების დანერგვა და განვითარება.

ამ მიმართულებით უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს საბაზისო პროექტები, რაც საშუალებას მოგვცემს:

- ხარისხობრივად გაიზარდოს საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის, განსაკუთრებით მათ მიერ შემოთავაზებულ საზოგადოებრივ მომსახურებათა ეკონომიურობა, ოპერატიულობა და ეფექტიანობა;

- უზრუნველყოფილი იქნეს ხელისუფლების ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ტრანსფარენტულობა;

- სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში აქტიურად ჩაერთონ მოქალაქეები და მათი გაერთიანებები;

- უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოებისა და საჯარო დაწესებულებათა საინფორმაციო ურთიერთქმედებების ღიაობა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა.

ყველივე ეს იქნება დემოკრატიის განვითარების ახალი ეტაპი, რომელიც შექმნის არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ უკვე საინფორმაციო საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ საფუძველს.

2.4. ინფორმატიზაციის ადამიანური რესურსების მომზადება

ინფორმატიზაცია ვერ განხორციელდება, თუ ინფოკომუნიკაციების, საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების მწარმოებელ თუ მომხმარებელ მოქალაქეებს განვითარებული არა აქვთ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები.

ინფორმატიზაციის ადამიანური რესურსების მომზადება წარმოადგენს ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს:

ა) სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების, საშუალო და უმაღლესი განათლების სასწავლო პროგრამების შესაბამისობა თანამედროვე ინფოკომუნიკაციებით სარგებლობის, საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების წარმოება-მოხმარების, გლობალურ საინფორმაციო სივრცეში საინფორმაციო პროცესებისა და საინფორმაციო ურთიერთქმედებათა განხორციელების უნარ-ჩვევებისათვის აუცილებელ ეროვნულ და საერთაშორისო მოთხოვნებთან;

ბ) სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების მზარდი ინფორმატიზაცია;

გ) ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით ინფოკომუნიკაციებისა და საინფორმაციო პროდუქტების გამოყენებისათვის სავალდებულო უნარ-ჩვევების უფასო შექმნისა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის პირობათა შექმნა (განსაკუთრებით სოციალურად დაუცველთათვის);

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების, მომზადება-გადამზადების და კარიერის გავლისას ინფოკომუნიკაციების სფეროში საკვალიფიკაციო მოთხოვნათა დანერგვის ორგანიზება;

ე) საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიის, აგრეთვე ინფორმატიზაციის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზის შექმნა-განვითარებისათვის კვალიფიციურ სპეციალისტთა მოსამზადებელი სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ორგანიზაციული და მატერიალური მხარდაჭერა.

2.5. ეროვნული საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოების დაცვა

გლობალურ საინფორმაციო სივრცეში რეალურია ისეთი საინფორმაციო ან ტექნიკურ-ტექნოლოგიური ზემოქმედების განხორციელების საფრთხე, რომელიც შეიძლება დაემუქროს:

ა) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ობიექტების ნორმალურ ფუნქციონირებას;

ბ) შესაბამის საინფორმაციო სისტემებში დაცული სახელმწიფო, კომერციული, პირადი ან სხვა კონფიდენციალური საინფორმაციო რესურსის ხელშეუხებლობას;

გ) ეროვნულ საინფორმაციო სივრცეში მოქმედ სოციალურად ან სულიერად ღირებულ საინფორმაციო ურთიერთქმედებათა ეროვნულ, რელიგიურ, ეთიკურ თუ კულტურულ იდენტურობასა და ფასეულობას.

ამ შესაძლო საფრთხეთა თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ეროვნული საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოების სისტემის შექმნა-განვითარება. ასეთი სისტემა უნდა დაეფუძნოს:

ა) საინფორმაციო სივრცის დაცვის თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას;

ბ) საინფორმაციო სამართალდარღვევათა და დანაშაულის (კანონით დაცული საინფორმაციო რესურსის ხელშეუხებლობის, ინფოკომუნიკაციის ტექნიკური უსაფრთხოების ხელყოფის, საინფორმაციო პროცესის ან საინფორმაციო ურთიერთქმედების განხორციელებისათვის ხელის შეშლის, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლების უკანონო შეზღუდვის და სხვ.) პრევენციის, აღკვეთის, სისხლის სამართლებრივი დევნისა და ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრის სამართლებრივი მექანიზმების შექმნასა და მათ ეფექტიან გამოყენებას;

გ) მდიდარი სულიერი და კულტურული ღირებულებების მატარებელი საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიის, ეროვნული კონტენტის, ეროვნული ფორმისა და შინაარსის საინფორმაციო ურთიერთქმედებათა სისტემის შექმნა-განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერას. შედეგად, შესაძლებელი გახდება ეროვნულ საინფორმაციო სივრცეში შემოჭრილი უცხო, არაეთიკური, ანტიეროვნული და სხვ. საინფორმაციო პროდუქციისათვის წარმატებული კონკურენცია, ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო აგრესიისა და დივერსიის უვნებელყოფა.

დ) საინფორმაციო უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას.

III. ინფორმაციის სახელმწიფო პოლიტიკის უზრუნველყოფა

3.1. პროგრამული უზრუნველყოფა

ინფორმაციის სახელმწიფო პოლიტიკის პროგრამული უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია წარმოდგენილი კონცეფციის საფუძველზე:

1) საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული და მიღებული იქნას:

ა) 2008 წლის 1 სექტემბრამდე „საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების საფუძვლების შექმნის სახელმწიფო პროგრამა“. ამ პროგრამამ უნდა განსაზღვროს საქართველოს მთავრობისა და სამთავრობო დაწესებულებების მიერ საშუალო ვადიან პერიოდში (არა უგვიანეს 2010 წლისა) განსახორციელებელი ღონისძიებები. ეს სახელმწიფო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ინფორმაციის სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული მიმართულებების შესაბამისად განსახორციელებელ საბაზისო პროექტებს, ამ პროექტების განხორციელების ვადებს, განხორციელებაზე პასუხისმგებელ სამთავრობო დაწესებულებებს, პროექტების განსახორციელებლად საჭირო საბიუჯეტო ასიგნებათა მოცულობას.

ბ) 2008 წლის 1 სექტემბრამდე „საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ინფორმაციის სახელმწიფო კონცეფცია“. ამ კონცეფციით უნდა განისაზღვროს საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების ინფორმაციის სფეროში პოლიტიკის მიზნები, ამოცანები, ძირითადი მიმართულებები და განხორციელების პრინციპები.

გ) ყოველი მომდევნო წლის (გარდა 2008 წლისა) სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის პარლამენტში წარდგენამდე შესაბამისი წლის ინფორმატიზაციის სახელმწიფო პროგრამა. ასეთი პროგრამა უნდა განსაზღვრავდეს მთავრობის და სამთავრობო დაწესებულებათა მიერ წლის განმავლობაში განსახორციელებელ ინფორმატიზაციის საბაზისო პროექტებს, მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელ საჯარო დაწესებულებებს, პროექტების ღირებულებასა და დაფინანსების წყაროებს, პროექტის მონიტორინგის მექანიზმებსა და შეფასების კრიტერიუმებს.

2) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) აღმასრულებელი ორგანოების მიერ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ინფორმატიზაციის ყოველი მომდევნო წლის პროგრამა.

საქართველოში საინფორმაციო საზოგადოების საფუძვლების შექმნის და ინფორმატიზაციის სახელმწიფო, აგრეთვე ტერიტორიული ერთეულების პროგრამები უნდა ეფუძნებოდეს ამ კონცეფციიდან გამომდინარე შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. საინფორმაციო საზოგადოების საფუძველთა შექმნისა და ინფორმატიზაციის პროგრამების რეალიზაცია უნდა განიხილებოდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს დემოკრატიული მოღერნიზაციის, ქვეყნისა და მისი ტერიტორიული ერთეულების მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ეროვნული კეთილდღეობის უზრუნველყოფის აუცილებელ პირობად;

2. ინფორმატიზაციის განვითარებისა და საინფორმაციო საზოგადოების საფუძველთა შესაქმნელად დაგეგმილი ღონისძიებებით სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) ორგანოების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

ა) ინფორმატიზაციის დარგობრივი და ტერიტორიული პროგრამების, ინფორმატიზაციაში მონაწილე საჯარო, საზოგადოებრივი, სამეწარმეო და საერთაშორისო სუბიექტების საქმიანობის კოორდინაცია;

ბ) საქართველოს ინფორმატიზაციაში სამოქალაქო, სამეწარმეო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართვა;

გ) ინფორმატიზაციის განსავითარებლად, საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების ბაზრის მზარდი ინვესტირებისა და სამართლიანი კონკურენციის დასამკვიდრებლად სამართლებრივი და ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მექანიზმების შემუშავება-განხორციელება;

დ) საქართველოს ინფორმატიზაციის მჭიდრო კავშირი მსოფლიო საინფორმაციო თანასაზოგადოების განვითარებასთან, საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაცია ინფორმატიზაციის საშუალებების, საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარში, ქვეყნის მონაწილეობა ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და სამართლებრივი რეგულირების შემუშავებაში, ინფორმატიზაციის რეგიონალური და საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში;

ე) საქართველოს საინფორმაციო სივრცის - საინფორმაციო რესურსების, საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო სისტემების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება;

ვ) ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების ინფორმატიზაციის უთანაბრობის აღმოფხვრა, რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოების აქტიური მონაწილეობა ინფორმატიზაციაში.

ზ) ინფორმატიზაციის ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვება.

3.2. სამართლებრივი უზრუნველყოფა

ინფორმატიზაციის სამართლებრივი უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს მისი პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე და შესაბამისად.

ინფორმატიზაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის ძირითადი მიზნებია:

ა) საქართველოს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებში ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლების მყარი სამართლებრივი გარანტიების სრულყოფილი ასახვა;

ბ) საინფორმაციო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისას წარმოშობილ სამოქალაქო ურთიერთობათა სამართლებრივი მოწესრიგება;

გ) ელექტრონული კომერციის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;

დ) საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიის განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური რეჟიმის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;

ე) საჯარო დაწესებულებათა საინფორმაციო პროცესების, მათი ინფორმატიზაციის, „ელექტრონული მთავრობების“ სისტემათა სამართლებრივი საფუძვლების შექმნა;

ვ) საინფორმაციო სამართალდარღვევათა და დანაშაულთა პრევენციის, აღკვეთისა და სისხლის-სამართლებრივი დევნის, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის განსაზღვრის სამართლებრივი მექანიზმების ჩამოყალიბება;

ზ) ეროვნული საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოების სამართლებრივი დაცვა.

ამ მიზნით საჭირო იქნება საქართველოს კანონების, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, სამთავრობო დაწესებულებების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების

მიერ შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება (გამოცემა). ინფორმატიზაციის საწყის ეტაპზე (არაუგვიანეს 2009 წლისა) მიღებული უნდა იქნას საქართველოს კანონები:

ა) „საინფორმაციო თავისუფლების შესახებ“. ამ კანონმა უნდა შექმნას თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინფოკომუნიკაციების, საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების თავისუფლების სამართლებრივი გარანტიები, განსაზღვროს საინფორმაციო სივრცის სამართლებრივი რეგულირების ძირითადი პრინციპები და მექანიზმები;

ბ) „ფიზიკური და იურიდიული პირების ელექტრონული იდენტიფიკაციის შესახებ“; ამ კანონმა უნდა შექმნას ფიზიკური და იურიდიული პირის იდენტურობის ინფოკომუნიკაციების მეშვეობით განსაზღვრის და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების კანონიერების სამართლებრივი გარანტიები;

გ) „საჯარო დაწესებულებათა მიერ საინფორმაციო პროცესებისა და საინფორმაციო ურთიერთქმედებათა წარმოების სტანდარტების შესახებ“; ამ კანონით უნდა განისაზღვროს საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფოკომუნიკაციებით საქმის წარმოების, საჯარო ინფორმაციის აღრიცხვის, საჯარო საინფორმაციო პროდუქტების და მომსახურების წარმოების, დამუშავების, გამოქვეყნების, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გადაცემისა და წარმოდგენის სტანდარტები;

დ) „ინფორმატიზაციის შესახებ“;

ე) „ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ“;

ვ) მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები და დამატებები, რის შედეგადაც სამართლებრივად უზრუნველყოფილი იქნება ინფოკომუნიკაციებით გარიგებათა წარმოების კანონიერება, საინფორმაციო პროდუქციისა და მომსახურების სასაქონლო

ფორმა, ინფორმატიზაციის საშუალებებისა და საინფორმაციო პროდუქტების ბაზრის ეკონომიკური სტიმულირება, საინფორმაციო სამართალდარღვევათა და დანაშაულთა ცნება, მათი იდენტიფიკაცია, მათი ჩადენიათვის პასუხისმგებლობა და ა. შ.

3.3. საფინანსო უზრუნველყოფა

ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის საფინანსო უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს:

- ა) პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისად სახელმწიფო და შესაბამისი ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული რესურსებით;
- ბ) საქართველოსა და უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციების შენატანებით;
- გ) საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისაგან მიღებული კრედიტებითა და გრანტებით; ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო პროგრამებისგან შენატანებით;
- დ) საქველმოქმედო შენატანებით;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა წყაროებით.

ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის როგორც საფინანსო უზრუნველყოფის, ასევე საერთოდ მისი ეფექტიანობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის საინვესტიციო პროექტების განხორციელება.

3.4 ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული უზრუნველყოფა

ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვისა და მისი კოორდინაციის მიზნით მიზანშეწონილია:

- 1) საქართველოს მთავრობაში შეიქმნას დამოუკიდებელი სამთავრობო დაწესებულება (სამინისტრო), რომელიც პასუხისმგე-

ბელი იქნება ინფორმატიზაციის პოლიტიკის კონცეფციურ, პროგრამულ, საკანონმდებლო და საფინანსო ღონისძიებათა განხორციელებაზე.

2) საქართველოს პრეზიდენტთან შეიქმნას საკონსულტაციო ორგანო სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებისა და ექსპერტების მონაწილეობით, რომელიც შეიმუშავებს წინადადებებს საინფორმაციო საზოგადოების საფუძვლების შექმნის სფეროში და ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვის, კორექტირებისა და განხორციელების საკითხებზე.

**საქართველოს კანონი
ინფორმატიზაციის შესახებ**

ეს კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის საფუძველზე აწესრიგებს საქართველოს საინფორმაციო სივრცის საინფორმაციო პროცესებს, საინფორმაციო პროცესების სუბიექტებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ამ სუბიექტების ძირითად უფლება-მოვალეობებს, ადგენს მათი უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, განსაზღვრავს ინფორმატიზაციის პოლიტიკის სფეროში სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებების უფლებამოსილებებს.

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ცნებები და ტერმინები

კანონში გამოყენებულ ცნებებსა და ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. ინფორმაცია – ნივთების, პირების, ფაქტების, მოვლენების, რეალური და წარმოსახვითი ობიექტებისა და პროცესების შესახებ ნებისმიერი შინაარსის მქონე მონაცემები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იქნას ადამიანის მიერ ალექტრონული ფორმით;

2. საინფორმაციო პროცესი - ინფორმაციის ფორმირების, მოპოვების, სისტემატიზაციის, შენახვის, დამუშავების, გადაცემისა და წარმოდგენის პროცესი.

3. საინფორმაციო სისტემა – საინფორმაციო რესურსებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ორგანიზაციულად მოწესრიგებული სისტემა.

4. ელექტრონული საინფორმაციო სისტემა – საინფორმაციო სისტემა, რომელიც საინფორმაციო პროცესების საწარმოებლად იყენებს ელექტრონულ ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ ტექნიკურ საშუალებებს.

5. საინფორმაციო ობიექტი – მატერიალური ობიექტი, რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო პროცესის შედეგს ან საშუალებას. საინფორმაციო ობიექტებს განეკუთვნება:

ა) დოკუმენტირებული ინფორმაცია (დოკუმენტი) – ინფორმაციის შემცველი დადგენილი წესით გაფორმებული მატერიალური ობიექტი.

ბ) ელექტრონული დოკუმენტი – ინფორმაციის დამუშავების, შენახვისა და გადაცემის გამოთვლითი ტექნიკის ან სხვა ელექტრონული საშუალებების ელემენტების მდგომარეობათა ნაკრების ფორმის მქონე ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია ადამიანის მიერ აღთქმად ფორმად გარდაიქმნას და გააჩნდეს დოკუმენტის იდენტიფიკაციისათვის კანონით დადგენილი აუცილებელი ატრიბუტები.

გ) მონაცემთა ბაზა – დოკუმენტთა ინტეგრირებული ერთობლიობა, რომელიც განკუთვნილია მრავალფუნქციური გამოყენებისა და მოდიფიკაციისათვის.

დ) მონაცემთა ბანკი – გარკვეულ საგნობრივ სფეროში დოკუმენტირებული ინფორმაციის ცენტრალიზებული შეკრების, შენახვისა და სარგებლობისათვის განკუთვნილ პროგრამულ, საინფორმაციო და ტექნიკურ საშუალებათა, აგრეთვე ფაილების სახით, ანდა მონაცემთა ბაზებში შენახულ დოკუმენტთა ერთობლიობა.

ე) საინფორმაციო რესურსი – მატერიალურად არსებული (ქაღალდზე, მაგნიტურ მატარებელზე და სხვ.) დოკუმენტი და დოკუმენტთა მასივი, რომელიც წარმოადგენს ქონებას და გააჩნია ფლობის, სარგებლობის (გამოყენების) და განკარგვის განსაზღვრული სამართლებრივი რეჟიმი.

ვ) საინფორმაციო პროდუქტი – საინფორმაციო პროცესში წარმოებული ნებისმიერი საქონელი, მათ შორის: ყველა სახის საინფორმაციო რესურსი, საინფორმაციო რესურსის წარმოების საშუალებანი, მონაცემთა ბაზები და ბანკები, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები და სხვ.

ზ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკა – საინფორმაციო პროცესის წარმოების ტექნიკური საშუალებები.

6. საინფორმაციო რესურსის სამართლებრივი რეჟიმი – საინფორმაციო რესურსის საავტორო და საკუთრების უფლებები, ამ უფლებების საფუძველზე საჯარო და კერძო სამართლის ნორმებით განსაზღვრული ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის პირობები და წესები.

7. საინფორმაციო-საკომუნიკაციო (მოკლედ-საინფორმაციო) ტექნოლოგიები – საინფორმაციო პროცესების ელექტრონული გამოთვლელი მანქანების პროგრამათა გამოყენების, კავშირგაბმულობის საშუალებებისა, აგრეთვე კომპიუტერული მოწყობილობის საფუძველზე წარმოების მეთოდებისა და საშუალებების სისტემა.

8. ინფორმატიზაცია – საინფორმაციო ტექნოლოგიების დამუშავების, შექმნის, ათვისებისა და გამოყენების პროცესი, რომელიც მოიცავს საორგანიზაციო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სოციალურ და საწარმოო-ეკონომიკურ კომპონენტებს და მიზნად ისახავს საინფორმაციო რესურსების შექმნისა და გამოყენების საფუძველზე მოქალაქეების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საინფორმაციო მოთხოვნილებათა

დაკმაყოფილებას, ინფორმაციული უზრუნველყოფის უფლებების რეალიზაციას;

9. ინფორმატიზაციის საშუალებები –საინფორმაციო, კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები, რომელიც გამოიყენება ინფორმატიზაციისას.

10. ინფორმატიზაციის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა – საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ტექნიკის დამუშავებისა და წარმოების დარგები, ამ სფეროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და საწარმოები, აგრეთვე ამ სფეროს სპეციალისტები.

11. ინფორმატიზაციის სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა – კანონებისა და ნორმატიული აქტების კომპლექსი, რომლითაც წესრიგდება ინფორმატიზაცია, აგრეთვე საინფორმაციო პროცესსა და საინფორმაციო ურთიერთქმედებაში მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირების, საინფორმაციო პროდუქტების მწარმოებელი, მესაკუთრე და მომხმარებელი სუბიექტების უფლება-მოვალეობანი და მათ შორის წარმოშობილი ურთიერთობები.

12. ინფორმატიზაციის პოლიტიკა – ინფორმატიზაციისათვის საჭირო საინფორმაციო გარემოს შესაქმნელად და განსავითარებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ პოლიტიკური, ორგანიზაციული, სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების კომპლექსის დაგეგმვა და განხორციელება.

13. საინფორმაციო პროცესის სუბიექტი – საინფორმაციო პროცესში მონაწილე კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობებით აღჭურვილი სუბიექტი – სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული, სა-

ჯარო სამართლის იურიდიული პირი, კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირი.

14. საინფორმაციო ობიექტის მესაკუთრე – საინფორმაციო პროცესის სუბიექტი, რომელსაც გააჩნია საინფორმაციო ობიექტის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება.

15. საინფორმაციო მომსახურება – საინფორმაციო პროცესში წარმოებული ყველა სახის მომსახურება.

16. საინფორმაციო შუამავალი (პროვაიდერი) – სუბიექტი, რომელიც კანონის, ნორმატიული აქტის ან ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს მესამე პირის საინფორმაციო რესურსებთან დაშვებას, აგრეთვე ინფორმაციის გავრცელებასა, შენახვასა და დამუშავებასთან დაკავშირებულ მომსახურებას.

17. საინფორმაციო მომხმარებელი – საინფორმაციო პროცესის სუბიექტი, რომელიც მიმართავს საინფორმაციო სისტემას, საინფორმაციო ტექნოლოგიის (პროდუქტის) მესაკუთრეს, ან პროვაიდერს, მისთვის საჭირო საინფორმაციო პროცესის განხორციელებისათვის.

18. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა – ტერიტორიულად განაწილებულ სახელმწიფო და კერძო საინფორმაციო სისტემების, სატელეკომუნიკაციო ქსელების, მათ შორის კავშირგაბმულობის ხაზების, მონაცემთა გადაცემის ქსელებისა და არხების, საინფორმაციო ნაკადების კომუტაციისა და მართვის საშუალებების, აგრეთვე ორგანიზაციული სტრუქტურების და სამართლებრივ-ნორმატიული ადმინისტრაციული მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიას და ეფექტიან გამოყენებას.

19. საინფორმაციო ინფრასტრუქტურა – ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობა, რომელიც ქვეყნის საინფორმაციო

სივრცის, საინფორმაციო ურთიერთქმედებათა ფუნქციონირებასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

20. საინფორმაციო გარემო – საინფორმაციო პროდუქტების, საინფორმაციო მომსახურების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, ინფორმატიზაციის საშუალებების, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პირობების ერთობლიობა.

21. საინფორმაციო სივრცე - საინფორმაციო პროცესებში მონაწილე სუბიექტების, საინფორმაციო გარემოს, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო პროცესთა ერთობლიობა.

22. საქართველოს საინფორმაციო სივრცე – საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე საინფორმაციო პროცესებში მონაწილე სუბიექტების, საქართველოს საინფორმაციო გარემოს, საქართველოს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებულ საინფორმაციო პროცესების ერთობლიობა.

23. ელექტრონული მთავრობა – საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულებების საქმიანობის წარმართვას და მათ მიერ საჯარო ფუნქციების განხორციელებას თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძველზე.

24. ინფორმაციის დაცვა - საინფორმაციო რესურსებში არასანქცირებული ჩარევის, ინფორმაციის მიღების, კოპირების, გავრცელების, დამახინჯების, განადგურების ან ბლოკირების უკანონო მოქმედებათა აღკვეთა.

25. საჯარო საინფორმაციო რესურსი – საინფორმაციო რესურსი, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად შეტანილია საჯარო დაწესებულების და საერთო სახელმწიფო საინფორმაციო-

საკომუნიკაციო სისტემაში და რომლის მესაკუთრეა სახელმწიფო, ან ავტონომიური რესპუბლიკა, ან თვითმმართველი ერთეული, ან მათ მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

26. კერძო საინფორმაციო რესურსი – საინფორმაციო რესურსი, რომელიც შეტანილია კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირის საინფორმაციო სისტემაში და რომლის მესაკუთრეა კერძო სამართლის ფიზიკური ან იურიდიული პირი.

27. კონფიდენციალური ინფორმაცია – საჯარო ან კერძო ინფორმაცია, რომლის ფორმირება, მოპოვება, კოპირება, შენახვა, გავრცელება ნებადართულია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით უფლებამოსილი პირებისათვის.

28. პერსონალური მონაცემები – მონაცემები ფიზიკური პირის ცხოვრების ფაქტების, მოვლენების და გარემოებების შესახებ, რომლებიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევიან.

29. კონტენტი – საინფორმაციო სისტემის, კომპლექსის, სერვერის ნებისმიერი საინფორმაციო ღირებულების მქონე ტექსტი, გრაფიკა, მულტიმედია.

მუხლი 2. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს საინფორმაციო სივრცეში საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით მოქმედ საინფორმაციო პროცესების სუბიექტებს შორის ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვება:

ა) საინფორმაციო რესურსების ფორმირებისა და გამოყენებისას;

ბ) საინფორმაციო მომსახურებისა და საინფორმაციო რესურსებთან დაშვებისას;

გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმოებისა და გამოყენებისას;

დ) საინფორმაციო პროცესების სუბიექტების უფლებების დაცვისას.

2. საჯარო ინფორმაციასთან, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით წარმოებულ საინფორმაციო პროდუქტთან, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული ის ურთიერთობანი, რომლებიც არ წესრიგდება ამ კანონით, რეგულირდება საქართველოს სხვა კანონებითა და ნორმატიული აქტებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან ამ კანონის ნორმებს.

3. საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირები და საქართველოში არა რეგისტრირებული იურიდიული პირები საქართველოს საინფორმაციო სივრცეში მოქმედებენ ამ კანონით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების და სამართლებრივი გარანტიების შესაბამისად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებით.

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა ინფორმატიზაციის სფეროში

საქართველოს კანონმდებლობა ინფორმატიზაციის სფეროში შედგება ამ კანონის და საინფორმაციო პროცესების ცალკეული სახეების, ფორმებისა და საშუალებების შესახებ სხვა კანონებისა და ნორმატიული აქტებისაგან, აგრეთვე საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებისა და საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმებისაგან.

თავი II. საინფორმაციო ობიექტები

მუხლი 4. საინფორმაციო რესურსების სამართლებრივი რეჟიმი

1. საინფორმაციო რესურსების სამართლებრივი რეჟიმიტ განისაზღვრება:

ა) საინფორმაციო რესურსების, ცალკეული დოკუმენტების და დოკუმენტების მასივთა საკუთრებისა და საავტორო უფლებები;

ბ) ინფორმაციის დოკუმენტირებისა და საინფორმაციო რესურსების ფორმირების სტანდარტები;

გ) საინფორმაციო რესურსების გამოყენების წესი და პირობები;

დ) საინფორმაციო რესურსების არასანქცირებული გამოყენებისაგან, დაზიანებისა ან განადგურებისაგან დაცვის წესი.

2. საინფორმაციო რესურსების სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს კანონმდებლობით, აგრეთვე საინფორმაციო პროცესების სუბიექტებს შორის დადებული ვარიგებებით.

3. საინფორმაციო რესურსების სამართლებრივი რეჟიმი დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 5. საინფორმაციო რესურსების ფორმირების სტანდარტები და ინფორმაციის დოკუმენტირება

1. საინფორმაციო რესურსებს შეიძლება მიკუთვნებული იქნას მხოლოდ დოკუმენტირებული ინფორმაცია.

2. საქართველოში საინფორმაციო რესურსების ფორმირება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებისა და უნიფიკაციის, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობითა და კერძო ვარიგებებით დადგენილ მოთხოვნებს.

3. საჯარო საინფორმაციო რესურსების ფორმირებისა და საჯარო ინფორმაციის დოკუმენტირების სახელმწიფო სტანდარტები განისაზღვრება კანონმდებლობით.

4. კერძო სამართლის სუბიექტებმა შეიძლება კანონის მოთხოვნების დაცვით დამოუკიდებლად განსაზღვრონ კერძო საინფორმაციო რესურსების ფორმირებისა და შესაბამისი დოკუმენტების შედგენის (გაფორმების) სტანდარტები.

5. საჯარო და კერძო საინფორმაციო რესურსებს მიკუთვნებული დოკუმენტი იურიდიულ ძალას იძენს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

6. ელექტრონულ დოკუმენტს იურიდიული ძალა გააჩნია, თუ იგი ხელმოწერილია ელექტრონული ციფრული ხელმოწერით.

7. ელექტრონული ციფრული ხელმოწერის გამოყენების პირობებსა და წესებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ“.

8. დოკუმენტს, რომელიც შედგენილია არა სახელმწიფო ენაზე, იურიდიული ძალა აქვს, თუ მისი თარგმანი სახელმწიფო ენაზე ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის (პირების) მიერ და თარგმანისა და ორიგინალის იდენტურობა დადასტურებულია ნოტარიალურად.

მუხლი 6. საინფორმაციო რესურსი, როგორც ქონება და საკუთრების ობიექტი

1. საინფორმაციო რესურსების საკუთრებისა და საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება ამ კანონით, საქართველოს კანონით „სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით.

2. საინფორმაციო რესურსის საკუთრების უფლება წარმოიშობა მისი ფორმირების მომენტიდან. საინფორმაციო რესურსის მესაკუთრედ, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი კანონმდებლობით ან გარიგებით, მიიჩნევა პირი, რომლის სახსრებითაც შექმნილია ან შექმნილია საინფორმაციო რესურსი.

3. სხვა მესაკუთრე პირის საინფორმაციო რესურსის გამოყენებით ფორმირებული ახალი საინფორმაციო რესურსის საკუთრების უფლებას იძენს პირი, რომლის სახსრებითაც ახალი საინფორმაციო რესურსი შეიქმნა, თუ კანონმდებლობით ან გარიგებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. საინფორმაციო მომსახურებისას საინფორმაციო რესურსის დამუშავების შედეგად სახეცვლილი საინფორმაციო რესურსის საკუთრების უფლება არ გადადის პროვაიდერზე, თუ ეს დადგენილი არ არის კანონმდებლობით ან გარიგებით.

მუხლი 7. კერძო საინფორმაციო რესურსი

1. საქართველოს საინფორმაციო სივრცეში მოქმედი საინფორმაციო პროცესების სუბიექტებისათვის კანონით გარანტირებულია საინფორმაციო რესურსების ფორმირების, მოპოვებისა და გავრცელების, მათი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის თავისუფლება.

2. კერძო საინფორმაციო რესურსების საკუთრების უფლებები დაცულია კანონმდებლობით.

3. კერძო საინფორმაციო რესურსების მესაკუთრეს შეუძლია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დამოუკიდებლად განსაზღვროს მის მფლობელობაში არსებული საინფორმაციო რესურსის გამოყენების სამართლებრივი რეჟიმი, დააწესოს საინფორმაციო რესურსით სარგებლობის პირობები და ფასები, დადოს შესაბამისი გარიგებები.

4. კონფიდენციალური ინფორმაციის შემცველი კერძო საინფორმაციო რესურსის მესაკუთრეს ასეთი რესურსის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვისას კონფიდენციალური ინფორმაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის დაცვისათვის ეკისრება კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა..

მუხლი 8. საჯარო საინფორმაციო რესურსი

1. საინფორმაციო რესურსი, რომელიც შექმნილი ან შეძენილია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა ან/და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, წარმოადგენს საჯარო საინფორმაციო რესურსს.

2. საჯარო საინფორმაციო რესურსი ექვემდებარება ინვენტარიზაციასა და დაცვას, როგორც სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და თვითმმართველი ერთეულის ქონება.

3. საქართველოს საჯარო საინფორმაციო რესურსები ღია და საყოველთაოდ ხელმისაწვდომია, გარდა იმ ინფორმაციული რესურსებისა, რომლებიც განეკუთვნება კონფიდენციალური ინფორმაციის კატეგორიას.

4. საჯარო საინფორმაციო რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით ყველა საჯარო რესურსი განთავსებულია როგორც შესაბამისი საჯარო დაწესებულების, აგრეთვე ერთიან სახელმწიფო საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემაში.

5. თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად ყველა საჯარო დაწესებულება უზრუნველყოფს საჯარო საინფორმაციო რესურსების (გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა) განთავსებას საყოველთაოდ ხელმისაწვდომ საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებში, მათ შორის ინტერნეტში.

6 საჯარო საინფორმაციო რესურსების ფორმირებასა და საინფორმაციო საკომუნიკაციო სისტემებში განთავსების ხარჯები

ფინანსირდება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებიდან, შესაბამისი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის სპეციალური მუხლის - „საინფორმაციო უზრუნველყოფა“ მიხედვით.

7. ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო სისტემის შექმნისა და განვითარების კაპიტალური და მიმდინარე ხარჯები ფინანსირდება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტიდან.

მუხლი 9. კონფიდენციალური ინფორმაციის სამართლებრივი რეჟიმი

1. კონფიდენციალურ ინფორმაციას განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიული, კომერციული ან პირადი საიდუმლოება. კონკრეტული მონაცემების, დოკუმენტების ან დოკუმენტთა მასივების კონფიდენციალური ინფორმაციის კატეგორიისადმი კუთვნილება განისაზღვრება კანონით.

2. აკრძალულია კონფიდენციალური ინფორმაციის კატეგორიას განეკუთვნებოდეს:

ა) საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტები, რომლებითაც განისაზღვრება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, კერძო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი სტატუსი;

ბ) საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი აქტები, რომლებითაც განისაზღვრება მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, მათი რეალიზაციის წესი, აგრეთვე მოქალაქეთა მოვალეობანი;

გ) დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ეკოლოგიური, მეტეოროლოგიური, დემოგრაფიული, სანიტარული, ეპიდემიოლოგიური და სხვა მასობრივი საფრთხეების შესახებ, აგრეთვე

სხვა ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

დ) ღია ფონდებში, მათ შორის ბიბლიოთეკებსა და საჯარო არქივებში დაცული ინფორმაცია;

ე) სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებათა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებში შემავალი ინფორმაცია საბიუჯეტო და სხვა საჯარო სახსრების მიღება-გამოყენების, აგრეთვე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

3. კონფიდენციალური ინფორმაციის ფორმირების, გამოყენებისა და დაცვის რეჟიმი განისაზღვრება ამ კანონით, კანონით „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებით.

მუხლი 10. პერსონალური მონაცემები

1. პერსონალური მონაცემები განეკუთვნება კონფიდენციალური ინფორმაციის კატეგორიას.

2. ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების შემცველი საინფორმაციო რესურსების ფორმირება, დამუშავება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება დაიშვება მხოლოდ ამ პირის წერილობითი თანხმობით.

3. სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებათა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემებში პერსონალური მონაცემების შემცველი საინფორმაციო რესურსების ფორმირება, გამოყენება და გავრცელება დაშვებულია მხოლოდ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. წერილობითი თანხმობის ან სასამართლოს ნებართვის გარეშე გარეშე დაუშვებელია ფიზიკური პირის სატელეფონო, სა-

ფოსტო, ელექტრონული და სხვა სახის შეტყობინებათა, აგრეთვე პერსონალური მონაცემების, პირადი ან ოჯახური საიდუმლოების შემცველი მონაცემების შეგროვება, შენახვა, გამოყენება და გავრცელება.

5. პერსონალური მონაცემების შემცველი საინფორმაციო რესურსების უკანონოდ ფორმირება, გამოყენება და გავრცელება გამოიწვევს კანონით დადგენილ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 11. საინფორმაციო სისტემების, ტექნოლოგიების და მათი უზრუნველყოფის საშუალებათა სავალდებულო ლიცენზირება და სერთიფიცირება

1. საინფორმაციო სისტემების, ტექნოლოგიებისა და მათი უზრუნველყოფის საშუალებათა ლიცენზირება და/ან სერთიფიცირება სავალდებულოა, თუ ეს განსაზღვრულია კანონმდებლობით ან კერძო სამართლის სუბიექტებს შორის დადებული გარიგებით.

2. სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიურ რესპუბლიკათა ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემების, ტექნოლოგიებისა და მათი უზრუნველყოფის საშუალებათა ლიცენზირება და სერთიფიცირება სავალდებულოა.

3. სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებათა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო სისტემების, ტექნოლოგიებისა და მათი უზრუნველყოფის საშუალებათა ლიცენზირებასა და სერთიფიცირებას ახორციელებს საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.

4. საინფორმაციო სისტემების, ტექნოლოგიებისა და მათი უზრუნველყოფის საშუალებათა ლიცენზირებისა და სერთიფიცირ-

ბის პირობები და წესები განისაზღვრება საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ნორმატიული აქტით.

თავი III. საინფორმაციო პროცესების სუბიექტების უფლებამოსილებანი და სამართლებრივი ბაზანტიები

მუხლი 12. საინფორმაციო პროდუქტის მფლობელის უფლებები

1. საინფორმაციო პროდუქტის მფლობელს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს საინფორმაციო პროდუქტის, როგორც საქონელის ან მომსახურების ფასი, მიწოდების პირობები, მათ შორის ინფორმაციასთან დაშვების რეჟიმი;

ბ) განსაზღვროს ინფორმაციის შენახვის რეჟიმი;

გ) კანონით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით თავისუფლად გაავრცელოს ინფორმაცია;

დ) კანონმდებლობის ან გარიგების შესაბამისად დამოუკიდებლად განსაზღვროს საინფორმაციო პროდუქტის დაცვის რეჟიმი;

ე) საქართველოს კანონმდებლობით და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

2. საინფორმაციო პროდუქტის მფლობელის უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე.

მუხლი 13. ინფორმაციის მიწოდების გარანტიები

1. პირი, რომელიც კანონმდებლობის ან გარიგების საფუძველზე ფლობს ან აწარმოებს საინფორმაციო პროდუქტს, ახორციელებს საინფორმაციო მომსახურებას, ვალდებულია პოტენციურ მომხმარებელს უფასოდ მიაწოდოს საინფორმაციო რე-

სურსების და მომსახურების ჩამონათვალი, საინფორმაციო რესურსებთან დაშვების პირობები და წესები.

2. სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებათა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო დაწესებულებანი ქმნიან და ხელმისაწვდომი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების, მათ შორის ინტერნეტის მეშვეობით უზრუნველყოფენ თავიანთი საქმიანობისა და წარმოებულ საზოგადოებრივ მომსახურებათა, აგრეთვე მოქალაქეთა თავისუფლებების, უფლება-მოვალეობათა, მათი უსაფრთხოების შესახებ და სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებას.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღება საყოველთაოდ გარიანტირებულია კანონით. გარიანტირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილნი არიან საჭირო ინფორმაციის მისაღებად მოითხოვონ დარღვეულ უფლებათა აღდგენა, მათ შორის სამართლო წესით.

მუხლი 14. ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება თავიანთ შესახებ ინფორმაციის მიღებაზე

1. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ უფლება მოითხოვონ და მიიღონ ნებისმიერი ინფორმაცია თავიანთ შესახებ, რომელიც შეტანილია საჯარო დაწესებულებათა, ფიზიკური ან იურიდიული პირების საინფორმაციო სისტემებში.

2. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია იმ საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების შესახებ, სადაც ფორმირდება, ინახება და გამოიყენება მათ შესახებ ინფორმაცია.

3. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ უფლება მიმართონ როგორც საჯარო, ასევე კერძო საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებს და მოითხოვონ თავიანთ შესახებ ინფორმაციის შესწორება, აგრეთვე ამ ინფორმაციის საიმედოობისა და უტყუარობის შემოწმება.

4. ამ მუხლით გარანტირებული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ საქართველოს კანონის საფუძველზე.

5. თავიანთ შესახებ ინფორმაციის მიღებაზე უარის შემთხვევაში ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს ამ ინფორმაციის მისაღებად.

თავი IV. ინფორმაციის დაცვა

მუხლი 15. ინფორმაციის დაცვის რეჟიმი

1. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის რეჟიმი დგინდება კანონმდებლობით, საინფორმაციო რესურსის მესაკუთრის მიერ ან გარიგების საფუძველზე.

2. საინფორმაციო პროცესების სუბიექტები ვალდებული არიან საინფორმაციო პროცესები წარმართონ ინფორმაციის დაცვის რეჟიმის მოთხოვნათა შესაბამისად.

3. საინფორმაციო პროცესის სუბიექტი ვალდებულია ინფორმაციის დაცვის რეჟიმის დარღვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საინფორმაციო რესურსის მესაკუთრეს.

4. საინფორმაციო რესურსის მესაკუთრე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია საინფორმაციო პროდუქტის ან მომსახურების მომხმარებლებისაგან მოითხოვოს და გააკონტროლოს ინფორმაციის დაცვის რეჟიმის შესრულება.

5. საჯარო დაწესებულებების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების, რომლებიც საინფორმაციო პროცესებში

იყენებენ კანონით დაცულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემათა ტექნიკურ-ტექნოლოგიური დაცვის პირობებსა და წესებს განსაზღვრავს და აკონტროლებს საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.

6. საინფორმაციო პროცესის სუბიექტი, რომელიც საინფორმაციო პროცესებში იყენებს კანონით დაცულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, ვალდებულია ისარგებლოს ლიცენზირებული და სერთიფიცირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებით, ტექნოლოგიებითა და უზრუნველყოფის საშუალებებით.

7. კანონით დაცული კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის რეჟიმის დარღვევა, ამ კატეგორიის ინფორმაციის არასანქცირებული და უკანონო მოპოვება, დამუშავება, შენახვა ან გავრცელება გამოიწვევს კანონით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 16. საინფორმაციო შუამავლის (პროვაიდერის) პასუხისმგებლობა ინფორმაციის დაცვის რეჟიმის დარღვევისას

1. პროვაიდერი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო მომსახურებას საინფორმაციო რესურსებთან დაშვების სახით, ვალდებულია შეტყობისთანავე შეწყვიტოს ინფორმაციის მიწოდება, თუ მისთვის ცნობილი გახდა მომხმარებლის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის რეჟიმის დარღვევის შესახებ.

2. პროვაიდერი ქონებრივად სოლიდარულად პასუხისმგებელია კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის რეჟიმის შესრულებაზე. მას დაეკისრება კანონით დადგენილი ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა კონფიდენციალურ საინფორმაციო რესურსთან არაუფლებამოსილი პირის დაშვებისათვის.

3. პროვაიდერი პასუხს არ აგებს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის რეჟიმის დარღვევაზე, თუ დაამტკიცებს, რომ მის მიერ გადაცემული საინფორმაციო რესურსი და ინფორმაციის მომხმარებლების ჩამონათვალი მიღებული აქვს სხვა პირისაგან და მან შეწყვიტა ინფორმაციის გადაცემა დაცვის რეჟიმის დარღვევის ფაქტის შეტყობისთანავე.

თავი V. ინფორმაციის პოლიტიკა

მუხლი 17. სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები ინფორმაციის სფეროში

1. ინფორმაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებია:

ა) საინფორმაციო საზოგადოების აღმშენებლობისათვის საჭირო საინფორმაციო გარემოს შექმნა-განვითარების უზრუნველყოფა;

ბ) მოქალაქეთა საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, ეროვნული და მსოფლიო საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობის, ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების კონსტიტუციური უფლებების სრული რეალიზაციისათვის ოპტიმალური სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობების უზრუნველყოფა;

გ) საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინფოკომუნიკაციების, ინფორმაციის საშუალებების ხელმისაწვდომობისა და მათი ფართო გამოყენების ხელშეწყობა;

დ) საინფორმაციო პროდუქტებისა და საინფორმაციო მომსახურებათა წარმოების სტიმულირება და ფართო გამოყენების ხელშეწყობა;

ე) ინფორმაციის სამართლებრივ-ნორმატიული ბაზის შექმნა და განვითარება;

ვ) ეროვნული კონტენტის შექმნა-განვითარება, საქართველოს საინფორმაციო სივრცის გლობალურ საინფორმაციო სივრცეში უსაფრთხო ინტეგრირების უზრუნველყოფა;

ზ) ინფორმაციის უნიფიცირების, სისტემატიზების და კლასიფიცირების თანამედროვე სტანდარტების შემუშავება-მიღება;

თ) ინფორმატიზაციის ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემათა შექმნა-განვითარება და მათი მხარდაჭერა;

ი) სახელმწიფო საინფორმაციო პროცესებისა და საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის ინფორმატიზაცია.

მუხლი 18. ინფორმატიზაციის სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები

1. სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში მოვალენი არიან შეიმუშავონ და განახორციელონ ინფორმატიზაციის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ა) ინფორმატიზაციის საშუალებების მზარდი გამოყენების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარების სტიმულირება;

ბ) სახელმწიფო საინფორმაციო პროცესებისა და საჯარო დაწესებულებების ინფორმატიზაცია, ელექტრონული მთავრობების შექმნა-განვითარება;

გ) ინფორმატიზაციის ადამიანური რესურსების მომზადება;

დ) ეროვნული კონტენტის შექმნა-განვითარების მხარდაჭერა და ეროვნული საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოების დაცვა.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტების შედგენისას ვალდებული არიან გაითვალისწინონ

ინფორმატიზაციის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი კომპლექსური პროგრამების დაფინანსების ხარჯები.

მუხლი 19. საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი

1. ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკას შეიმუშავებს და წარმართავს საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი.

2. ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში არსებულ მმართველობის ორგანოს. ეკონომიკური განვითარების მინისტრის წარდგინებით ინფორმატიზაციის დეპარტამენტის სტრუქტურას განსაზღვრავს, დეპარტამენტის დებულებას ამტკიცებს და დეპარტამენტის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტი:

ა) შეიმუშავებს ინფორმატიზაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ამ მიზნით ამზადებს და საქართველოს მთავრობას მთავრობას წარუდგენს საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებს, ინფორმატიზაციის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის პროექტებს;

ბ) წარმართავს ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკას, ამ მიზნით ხელმძღვანელობს და აკონტროლებს ინფორმატიზაციის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას;

გ) კოორდინაციას უწევს ინფორმატიზაციის ადგილობრივი პროგრამების განხორციელებას;

დ) კოორდინაციას უწევს საერთაშორისო თანამშრომლობას ინფორმატიზაციის სფეროში;

ე) ამტკიცებს საინფორმაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკისა და უზრუნველყოფის საშუალებათა ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სტანდარტებს, აგრეთვე მათი ლიცენზირებისა და სერტიფიცირების წესებსა და პირობებს;

ვ) კოორდინაციას უწევს საჯარო დაწესებულებათა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების დამუშავებას, დანერგვასა და გამართულ ფუნქციონირებს;

ზ) ამტკიცებს ელექტრონული მთავრობის ფუნქციონირებისათვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების, ტექნიკისა და უზრუნველყოფის საშუალებათა ტექნიკურ-ტექნოლოგიურ სტანდარტებს;

თ) ზედამხედველობს საინფორმაციო პროცესების სუბიექტების უფლებათა და საქართველოს საინფორმაციო სივრცის უსაფრთხოების დაცვას;

ი) ახორციელებს კანონით, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტის უფროსი ამ კანონითა და დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ აქტებს დეპარტამენტის უფროსის ბრძანებების სახით.

თავი VI. დასკვნითი დებულება.

მუხლი 20 კანონის ძალაში შესვლა

ეს კანონის ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

**ელექტრონული მთავრობა საქართველოსათვის:
ახსი, აქტუალობა, შიქმნის პერსპექტივები და
შესაქმებლობანი**

**I. ელექტრონული მთავრობა: მმართველობის ორგანოს
თანამედროვე ტექნოლოგიით ორგანიზების პრინციპი**

ელექტრონული მთავრობა ამა თუ იმ მმართველობის ორგანოს (იქნება ეს ქვეყნის მთავრობა, სამთავრობო დაწესებულება, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო თუ ადგილობრივი სამსახური) ელექტრონული საშუალებების საფუძველზე ორგანიზების პრინციპია. ეს პრინციპი მოიცავს მმართველობის ორგანოს საქმიანობის ყველა ძირითად სფეროს: ე.ი. ამ ორგანოს კომპეტენციაში შემავალი გადაწყვეტილებების (იმისგან დამოუკიდებლად, შეეხება ეს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული რეგულირებისა თუ მოსახლეობისათვის საზოგადოებრივ მომსახურებათა ორგანიზების ან სხვა ნებისმიერ საკითხს) მიღების პროცესს, ამ გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის ადმინისტრაციული და საფინანსო ოპერაციების ჩატარებასა და მათ კონტროლს, აგრეთვე საკუთარი საქმიანობის შესახებ ინფორმირებასა და ანგარიშგებას. ელექტრონული მთავრობის ძირითადი საშუალებები თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინფოკომუნიკაციებია (კომპიუტერული და სხვა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკა).

ელექტრონული მთავრობა, როგორც მმართველობის ორგანოს ორგანიზების პრინციპი, გულისხმობს საჯარო დაწესებულებების ფუნქციონალურ და სტრუქტურულ გარდაქმნებს, რათა უფრო თანმიმდევრული, მარტივი და მიზანმიმართული, ინდივიდუალიზებული და საბოლოო ჯამში გაცილებით ეფექტიანი გახდეს

ურთიერთქმედებები მოქალაქეებთან, მეწარმეებთან, თვით საჯარო მოსამსახურეებთან და აგრეთვე სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებს შორის.

ელექტრონული მთავრობა **საინფორმაციო საზოგადოების** მმართველობითი პრინციპის განხორციელებაა: საინფორმაციო საზოგადოებაში დემოკრატია იმდენად არის განვითარებული, რომ ხელისუფლების და საჯარო ორგანოების მიზანი ხდება არა მხოლოდ ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, არამედ თითოეული მოქალაქის ხმის გავონება და გათვალისწინება, რათა ყველასათვის იქნას მიღწეული საკუთარ შესაძლებლობათა მაქსიმალური რეალიზაცია.

ელექტრონული მთავრობა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში გასული საუკუნის ბოლოს მომხდარი რევოლუციის პირშია. ამ ტექნიკური რევოლუციის შედეგია, რომ დღეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების (აშშ, იაპონია, დასავლეთ ევროპა) მმართველობითი ტექნოლოგიების წამყვანი პრინციპი სწორედ ელექტრონული მთავრობაა. ე.ი. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგია ამ ქვეყნებში მმართველობის განხორციელების, ისევე როგორც, ვთქვათ, წარმოების, საბაზო ტექნოლოგიაა. ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე მმართველობის სისტემები და სტრუქტურები ეფუძნებიან საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას. პრაქტიკულად კომპიუტერიზებული, ავტომატიზებული და ინტერნეტიზებულია მათი დოკუმენტბრუნვა, ინფორმაციის მიღება-დამუშავება და გადაგზავნა, გადაწყვეტილებების მიღების, აღსრულებისა და კონტროლის პროცედურები, ურთიერთქმედებები მოსახლეობასთან (მათ შორის არა მხოლოდ არჩევნები, მისაღები გადაწყვეტილების ქვემოდან ინიცირება ან დაინტერესებულ პირთა თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, არამედ ამ თუ იმ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება-მიღება,

სხვადასხვა კერძო საქმიანობის ლიცენზირება, გადასახადების გადახდა და ადმინისტრირება, და ა.შ.), საკუთარ თანამშრომლებთან (სავაგრო მოსამსახურეებთან) და ერთმანეთთან (სხვადასხვა ღონის და დარგის სავაგრო დაწესებულებებს შორის ურთიერთქმედებანი).

ელექტრონული მთავრობის არსებობა, ანუ მმართველობის ორგანოს (იქნება ეს ცენტრალური, თუ ადგილობრივი ორგანო მნიშვნელობა არა აქვს) ორგანიზება ელექტრონული საშუალებების ბაზაზე, სულ ცოტა ორი აუცილებელი პირობის შესრულებას ნიშნავს, კერძოდ:

1. ტექნიკურ-ტექნოლოგიური პირობა: ეს ორგანო უზრუნველყოფილია სათანადო ინფოკომუნიკაციების სამივე კომპონენტით, ე.ი. კომპიუტერიზებული, ავტომატიზებული და ინტერნეტიზებულია. ამასთან, ამ სამიდან თუნდაც ორი კომპონენტი მესამის გარეშე (მაგ. კომიუტერიზება და ინტერნეტიზირება ავტომატიზების გარეშე) უკვე აღარ არის საკმარისი ელექტრონული მთავრობის არსებობისათვის;

2. ინსტიტუციური პირობა: ეს ორგანო ფუნქციურად და სტრუქტურულად უნდა წარმოადგენდეს ლოგიკურ სისტემას, ე.ი. როგორც მისი საქმიანობა, ასევე ამ საქმიანობის პროცედურები, აგრეთვე ორგანოს ორგანიზაციული აგებულება აღწერადი უნდა იყოს მათემატიკური ალგორითმით. პრაქტიკულად ელექტრონული მთავრობა გამორიცხავს ფუნქციურ ან სტრუქტურულ ირაციონალურობას – თუ ესა თუ ის ორგანო „მუშაობს“ ფორმალურად ჩამოყალიბებული, მკაცრად განსაზღვრული კომპეტენციების, ადმინისტრაციული პროცედურებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის გარეშე, ელექტრონული მთავრობა ვეღარ იარსებებს.

3. ამ აუცილებელ პირობათა რიგში შეიძლება განხილული იქნეს მესამე – ადეკვატური საინფორმაციო გარემოს არსებობის პირობაც. ელექტრონული მთავრობის არსებობა ზემოთ მოყვანილი

ორივე პირობის შესრულების შემთხვევაშიც სავარაუდოდ პრობლემატური დარჩება, თუ არ იქნება შესაბამისი საინფორმაციო გარემო – მმართველობის ორგანო იზოლირებული ორგანიზმი არ არის, იგი საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინფორმაციულ სივრცეში ფუნქციონირებს. თუ ეს სივრცე სათანადოდ ინფორმატიზებული არ არის, ე.ი. პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და საინფორმაციო პროცესები საზოგადოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების ბაზაზე არ მიმდინარეობს, მაშინ ელექტრონული მთავრობაც წესით აზრს კარგავს. ამ მესამე, დამატებითი პირობის არსებობაც აუცილებელია, მაგრამ ერთი პრინციპული შენიშვნის გათვალისწინებით: მმართველობის ორგანოს გააჩნია გარემოზე ზემოქმედების, მისი გარდაქმნის უნარი და ფუნქცია, იმიტომაც მიიჩნევა იგი მმართველობით ორგანოდ. ამდენად, ელექტრონული მთავრობა უფრო მეტად უნდა განიხილებოდეს ინფორმატიზაციის პირობად და არა პირიქით, თუმცა საბოლოო ჯამში მმართველობის ორგანო და დანარჩენი საზოგადოება მაინც ერთი ორგანული მთლიანობაა და მათი საინფორმაციო ურთიერთქმედება ტოლმნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს. ოღონდ შესაძლებელია ინფორმატიზაციის პროცესი როგორც მმართველობის, ასევე სხვა საზოგადოებრივი სფეროს (ბიზნესის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, და სხვ.) ინფორმატიზაციითაც დაიწყოს და შემდგომ პარალელურ რეჟიმში განვითარდეს. ამ თვალსაზრისით სრულიად სხვადასხვაგვარი სცენარები მოიაზრება და სხვადასხვა ქვეყნებში ასეთი სცენარები განხორციელებულია კიდევ, თუმცა ეს ინფორმატიზაციისა და ელექტრონული მთავრობის არსს არ ცვლის. მიუხედავად იმისა, თუ ვინ - საზოგადოება თუ მმართველობა არის უფრო მზად მოწინავე ტექნოლოგიების თავისი საქმიანობის ბაზისად გადასაქცევად,

ელექტრონული მთავრობა ყველასათვის მოსახერხებელი, ერთნაირად მიმზიდველი, ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტაა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ელექტრონული მთავრობის გარეშე დღეს უკვე წარმოუდგენელია ცივილიზაციის ახალი ეტაპის - საინფორმაციო საზოგადოების ზღურბლთან მდგარი მოწინავე ქვეყნების არსებობა და განვითარება.

II. ელექტრონული მთავრობა: საქართველოში მმართველობის სისტემის რეფორმირების მიზანი და საშუალება

საინფორმაციო საზოგადოების მმართველობის პრინციპის განხორციელებისაგან ჩვენ ვერ კიდეც ძალზე შორს ვართ. ბუნებრივად იბადება შეკითხვა – გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, რომელსაც ვერ დაუძლევია სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის ამოცანა, რაში გამოიყენებს საინფორმაციო საზოგადოებისათვის, განვითარების პოსტინდუსტრიული ეტაპისათვის დამახასიათებელ მმართველობის პრინციპს – ელექტრონულ მთავრობას?

ამ შეკითხვაზე ჩვენი პასუხია ასეთია: ელექტრონული მთავრობა საქართველოს დღევანდელ პირობებში მმართველობის სისტემის წარმატებული გარდაქმნის **ყველაზე მარტივი, ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტაა**. შევეცდებით ეს პასუხი დავასაბუთოთ.

1. საქართველოში მმართველობის სისტემის რეფორმის ძირითადი პრობლემა კომუნისტური წყობიდან მემკვიდრეობით მიღებული პატრიმონალური, კლანურ-ნომენკლატორული მმართველობის დემოკრატიული და რაციონალური სისტემით შეცვლაა. კომუნისტური ირაციონალიზმი, რომელიც დაუსრულებელ და ასევე (თუ უფრო არა) ირაციონალურ პოსტკომუნიზმში გადაიზარდა, ყველაზე მარტივად ტექნოლოგიური გადატრიალების შედეგად

შეიძლება დამარცხდეს. სწორედ ასეთი ტექნოლოგიური გადატრიალებაა ელექტრონული მთავრობა. იგი მმართველობის განხორციელების ყველაზე ლოგიკურ და რაციონალურ მოდელს წარმოადგენს. თუკი მმართველობის ორგანიზების საფუძველი განდება თავისთავად ყველაზე უფრო რაციონალური ელექტრონული საშუალებები, ეს იქნება პატრიმონალური ურთიერთობებისაგან საჯარო დაწესებულებების და მთლიანად მმართველობის სისტემის გათავისუფლების ყველაზე მარტივი გადაწყვეტა. შეუდარებლად უფრო მარტივი, ვიდრე გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი და საქართველოს მიერ კარგად გამოცდილი „გარდამავალი პერიოდები“, „რეკოლუციები“, „რევანშები“ და ა.შ.

2. მმართველობის სისტემის რეფორმა შეიძლება სხადასხვაგვარად, ეტაპობრივად დაიგეგმოს და წარმატებულადაც განხორციელდეს, მაგრამ ამგვარი წარმატებული რეფორმის ბოლო ეტაპი მინც უნდა ნიშნავდეს ელექტრონული მთავრობის რეალიზაციას - მმართველობის საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე ორგანიზებას. მმართველობის ელექტრონული მთავრობის პრინციპებზე გარდაქმნის აუცილებლობას გულისხმობს მსოფლიო განვითარების უღმობელი ლოგიკაც, რომლის გათვალისწინების გარეშე ნებისმიერი რეფორმა განწირული იქნება. თუ მრავალსაფეხურებრივი რეფორმის მიზანი რაციონალური, დემოკრატიული სისტემის შექმნაა, მისი ყველა ეტაპი უნდა გულისხმობდეს მმართველობის უფრო ლოგიკურ, უფრო რაციონალურ მოდელზე გადასვლას. ამასთან, აქ იგულისხმება თითოეულ ეტაპზე ამა თუ იმ ლოგიკური სქემის დამუშავება და შემდგომ, მისი წარმატებული განხორციელება ანუ საკანონმდებლო და აღმასრულებელი უზრუნველყოფა. ცხადია, ყველაზე ეკონომიური და იდეალური იქნებოდა ელექტრონული მთავრობის შესაბამისი მმართველობის სისტემის ლოგიკური, თვითგანვითარებადი მოდელის აგება და პრაქტიკაში

დანერგვა. ტექნოლოგიურად ასეთი მოდელის „გამოგონება“ არავითარ სირთულეს აღარ წარმოადგენს და ბევრად აღარ განსხვავდება ველოსიპედის აღმოჩენისგან, პრობლემატურია მხოლოდ მისი ქართულად ადაპტირება და პრაქტიკაში დაფუძნება. თუმცა, ეს უფრო რთული ნამდვილად არ არის, ვიდრე მრავალ ეტაპიანი, დროში გაწევილი რეფორმა და მთლიანობაში სულაც არ მოითხოვს უფრო მეტ რესურსებს. პირიქით: მრავალეტაპიანი რეფორმა საბოლოო ჯამში შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ელექტრონული მთავრობის შექმნის ორ ეტაპიანი პროგრამა. ასეთი პროგრამის პირველი ეტაპი სხვა არაფერია, თუ არა ელექტრონული მთავრობის მოსამზადებლად პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური „გარდაქმნების“ „გარდამავალი პერიოდი“, რომელიც ტექნოლოგიურად სრულიად ზედმეტია და როგორც არა ერთ გზის დავრწმუნდით, საეჭვო ღირებულების პოლიტიკური მიზნების მისაღწევად რესურსებისა და დროის ფუჭ ხარჯვას გულისხმობს (აღარაფერს ვამბოთ „გარდამავალი პერიოდისათვის“ ნიშანდობლივ საფრთხეებზე). ალბათ ნათელია, რომ ელექტრონული მთავრობა მმართველობის სისტემის რეფორმის ყველაზე ეკონომიური გადაწყვეტაა. ეს თავიდან აგვაცილებდა ზედმეტი დროის, საფინანსო-მატერიალური სახსრებისა თუ სხვა რესურსების გაფლანგვას, აგრეთვე, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, დაგვაზღვევდა „გარდამავალი პერიოდის“ მეტად მაღალი ალბათობის რისკებისაგან.

3. ელექტრონული მთავრობის რეალიზაცია, ანუ მმართველობის გადაყვანა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე არა მხოლოდ რაციონალური მმართველობის უზრუნველყოფას ნიშნავს. ელექტრონული მთავრობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტექნოლოგიური გადატრიალების შედეგად სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების სტიმულირებისა და სო-

ციალური პროგრესის მიღწევის დღევანდელ პირობებში ყველაზე ეფექტიანი საშუალება.

როგორც აღვნიშნეთ, მმართველობის ორგანოს გარემოზე ზემოქმედების სხვებთან შედარებით გაცილებით მეტი უნარი გააჩნია და თუ მმართველობის ტექნოლოგია თვითონ არის მოწინავე, ცხადია მოსალოდნელია, რომ მოწინავე ტექნოლოგია გახდება ბიზნესის თუ სხვა საზოგადოებრივი სფეროს ორიენტირიც. საზოგადოებრივი გარდაქმნები რომ მმართველობის გარდაქმნის პირდაპირ პროპორციულია ეს ზოგადი კანონზომიერებაა და ამასთან, პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის პროპორციულობის კოეფიციენტი ხარისხობრივად მაღალი თანრიგისაა. ელექტრონული მთავრობა საზოგადოებას პრინციპულად სხვა „თამაშის წესებს“ და შედეგად განუზომლად ფართო შესაძლებლობებს სთავაზობს. აქ მართლაც არის მოსალოდნელი ჯაჭვური რეაქცია. იქმნება პირობები არა მხოლოდ დემოკრატიისათვის, არამედ საერთოდ, მთელი სოციალური პროცესის – პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ურთიერთობებისა და ურთიერთქმედებების მოწესრიგება-განვითარებისათვის. სხვა, მსგავსი პოტენციისა და ეფექტის მქონე ფაქტორის გამოძებნა, რაც საქართველოს გზას გაუხსნიდა არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ უკვე საინფორმაციო საზოგადოებისაკენ, ძნელი წარმოსადგენია.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის დღევანდელ პირობებში **ელექტრონული მთავრობა ერთდროულად სასურველ მიზნადაც და ყველაზე ეფექტიან საშუალებადაც უნდა განიხილებოდეს.**

III. რა უშლის ხელს საქართველოში ელექტრონული მთავრობის შექმნას

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ელექტრონული მთავრობის არსებობისათვის აუცილებელია სამი: ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და საინფორმაციო გარემოს ადექვატურობის პირობები.

1. პრინციპული ხასიათის ტექნიკურ-ტექნოლოგიური პრობლემა ფაქტურად არ არსებობს. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები და ინფოკომუნიკაციები ელექტრონული მთავრობის შესაქმნელად უკვე დიდი ხანია არსებობს, მაგრამ პრობლემა როგორც საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებისა და მათი პროგრამული უზრუნველყოფის ქართულად ადაპტირება, ქართული კონტენტის შექმნა, ასევე მმართველობის ორგანოების უზრუნველყოფა თანამედროვე ინფოკომუნიკაციებით. პრობლემას ისიც წარმოადგენს, რომ არ შექმნილა ისეთი კონცეფცია და ცხადია, არც პროგრამა, რომელიც მმართველობის ორგანოსა თუ საჯარო დაწესებულების საქმიანობის სრულ ინფორმატიზაციას ითვალისწინებს. პრაქტიკაში ხდება ამა თუ იმ დაწესებულების კომპიუტერიზება, ზოგჯერ უზრუნველყოფილია კომუნიკაციები და ხელმისაწვდომია ინტერნეტიც, მაგრამ ეს საკმარისი არ არის: საუკეთესო შემთხვევაში ინფორმატიზებულია საქმიანობის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული და ძალზე ვიწრო სფერო, რაც საერთო მდგომარეობას ვერ შეცვლის და არამც და არამც არ ნიშნავს დაწესებულების ელექტრონული საშუალებების ბაზაზე ორგანიზების პირობათა შექმნას.

2. საქართველოსათვის ელექტრონული მთავრობის შესაქმნელად ყველაზე პრობლემატურია ინსტიტუციური პირობის უზრუნველყოფა. რეალურად ძალზე იშვიათია საჯარო დაწესებულება

(პრაქტიკაში ასეთი თითქმის არ არსებობს), რომლის საქმიანობა რაციონალური სქემის ჩარჩოებში შეიძლება მოთავსდეს. ჩვეულებრივ, დაწესებულების ფორმალური სტრუქტურა შეუთავსებელია როგორც ამ დაწესებულების რეალურად არსებულ ფუნქციებთან, ასევე საქმიანობის რეალურ პროცედურებთან. მოსამსახურეთა, აგრეთვე მოსამსახურეთა და დაწესებულების კლიენტთა (დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული მოქალაქეები, სხვა საჯარო დაწესებულებები, სხვა იურიდიული პირები და ა.შ.) ურთიერთქმედებანი იმგვარია, რომ წარმოუდგენელია მათი ფორმალიზება და მათემატიკური აღგორითმით წარმოდგენა. ასეთ პირობებში ულტრათანამედროვე ტექნოლოგიაც და ყველაზე მოწინავე ტექნიკაც არაფრისმაქნისია: რეალური გადაწყვეტილებების მისაღებად, შესასრულებლად და საკონტროლდ მათი როლი საუკეთესო შემთხვევაში კალკულატორის ან საბეჭდი მანქანის რაციონალურ გამოყენებასაც ვერ უტოლდება, რომ აღარაფერი ვთქვათ ელექტრონულ მთავრობაზე.

იგივე შეიძლება ითქვას მთლიანად მმართველობის სისტემაზეც: სხვადასხვა დონისა და დარგის მმართველობის ორგანოთა ურთიერთქმედებები კვლავაც ირაციონალურია (რეალურად გაუმიჯნავია მათი რესურსები და კომპეტენციები, არ ჩამოყალიბებულა ურთიერთქმედებათა რაციონალური მექანიზმები და სხვ.), რაც ამ ორგანოების საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე რეორგანიზებისათვის ყველაზე სერიოზულ ბარიერად უნდა მივიჩნიოთ.

3. ელექტრონული მთავრობისათვის აუცილებელი საინფორმაციო გარემოს პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტი და დაუძლეველი ნამდვილად არ არის. **მართალია, საქართველოში დაბალია ინფორმატიზაციის - საინფორმაციო ტექნოლოგიებით და ინფოკომუნიკაციებით სარგებლობის საერთო დონე, მაგრამ თვითონ ელექტრონული მთავრობა უფრო უნდა გან-**

ვინილოთ თანამედროვე საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბების, ინფორმატიზაციის ერთ-ერთ სავალდებულო პირობად და არა პირიქით.

IV. რა და როგორ შეიძლება გაკეთდეს

ა. მიზნები:

მთავარი მიზანი ერთია: საქართველოში უნდა მოხდეს ახალი, ამჯერად მართლაც ყველაზე უსისხლო, წარმატებული და კომფორტული რევოლუცია: ტექნოლოგიური გადატრიალება, რომელიც მმართველობის ანუ პოლიტიკური ტექნოლოგიების ძირფესვიანი გარდაქმნებით უნდა დაიწყოს, კერძოდ:

1. უნდა შეიქმნას ელექტრონული მთავრობის არსებობის ინსტიტუციური პირობა. მმართველობის სისტემის რეფორმა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ მის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ და ადგილობრივ დონეებზე ელექტრონული მთავრობის შექმნა წარმოადგენდეს. ამისათვის აუცილებელია:

ა) მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის შედეგად გაირკვეს საქართველოში სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ლოგიკური მოდელი (ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, მათი კომპეტენციები, პასუხისმგებლობა, რესურსები, ურთიერთკავშირები და ურთიერთქმედების მექანიზმები და ა.შ.);

ბ) საჯარო სამსახურის სისტემური და სტრუქტურული რეფორმის შედეგად გაირკვეს საჯარო სამსახურის ლოგიკური მოდელი (დაწესდეს სამსახურის სტრუქტურის ლოგიკური კავშირი ფუნქციებთან და კომპეტენციებთან, საჯარო მოსამსახურეების

საქმიანობის და შესაბამის პროცედურათა ალგორითმი, საჯარო სამსახურში მიღებისა და სამსახურის გავლის რაციონალური წესები, ელექტრონული მთავრობის საქმისწარმოების სტანდარტები და ა.შ.);

2. დაჩქარებული ტემპებით უნდა განხორციელდეს ელექტრონული მთავრობის ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. ამისათვის აუცილებელია:

ა) საჯარო დაწესებულებების ინფორმატიზაციის პროგრამები, რომლებიც კონკრეტული დაწესებულების კომპეტენციების, ფუნქციებისა და სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის სრული ინფორმატიზაციის (კომპიუტერიზება, ავტომატიზება, ინტერნეტიზება) ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებებს;

ბ) ელექტრონული მთავრობის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების (მაგ. მაიკროსოფტის სისტემები - G2C, G2B, G2E, G2G) და შესაბამისი ინტერფეისების ქართული ვერსიების – ელექტრონული მთავრობის ქართულენოვანი კონტენტის დამუშავება-დანერგვა.

3. უნდა გატარდეს საინფორმაციო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები. ამისათვის აუცილებელია:

ა) საინფორმაციო კომუნიკაციების საყოველთაო ხელმისაწვდომობის სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამების განხორციელება;

ბ) სოციალურად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მომსახურებათა (მათ შორის კომუნალური მომსახურების მიწოდება და გადასახადების გადახდა, საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფა, სამედიცინო დაზღვევა, განათლება და ა.შ.) ინფორმატიზება და რაც მთავარია, ინფორმატიზებულ მომსახურებათა მომხ-

მარელებისათვის ხელმისაწვდომი (მაგ. საჯარო გამოყენების) საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა.

გ) საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომი მასობრივი სასწავლო-საგანმანათლებლო და გამოყენებითი პროგრამების განხორციელება.

ბ. შესაძლო სცენარები

დასახული მიზნების მიღწევა, ცხადია, სხვადასხვა გზებით შეიძლება. ამა თუ იმ სცენარის არჩევა ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. საბოლოო ჯამში შესაძლოა განხილული იქნას ელექტრონული მთავრობის ორი - „ზემოდან“ და „ქვემოდან“ შექმნის სცენარი.

1. ელექტრონული მთავრობის შექმნა „ზემოდან“

საერთო ეროვნული მასშტაბით ელექტრონული მთავრობების შექმნა, ანუ ყველა დონის (ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი) და დარგის მმართველობის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მასობრივი გადაყვანა საქმიანობის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოების პრინციპზე, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან უმნიშვნელოვანესი და კოპლექსური ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს სულ ცოტა, სამი საკვანძო მიმართულებით. ეს მიმართულებანია:

- ა) ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა;
- ბ) მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა;
- გ) რაციონალური საჯარო სამსახურის შექმნის სახელმწიფო პოლიტიკა.

2. ელექტრონული მთავრობის შექმნა „ქვემოდან“

არსებობს სხვა სცენარიც: კერძოდ, ტექნოლოგიური რევოლუციის არა „ზემოდან“, არამედ „ქვემოდან“ განხორციელება – ანუ ელექტრონულ მთავრობათა შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობების ინიციატივით. ამ სცენარის განსახორციელებლად რაიმე პრინციპული ხასიათის საკანონმდებლო შეზღუდვები თვითმმართველ ერთეულებს არა აქვთ. ისიც ნაკლებ სავარაუდოა, რომ ცენტრალური ხელისუფლებისაგან სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდეთ. ადგილობრივ დონეზე ელექტრონული მთავრობების შექმნა ლოკალური მასშტაბით განხორციელებული ტექნოლოგიური რევოლუციაა, მას ეროვნულ ტექნოლოგიურ გადატრიალებასთან შედარებით შეიძლება ნაკლები პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი მოჰყვეს, მაგრამ თუ ამ ინიციატივას ბევრი თვითმმართველი ერთეული აჰყვა და ეს საბოლოო ჯამში საერთო-ეროვნულ „რევოლუციაში“ გადაიზარდა, მაშინ, ცხადია, ამ „რევოლუციაში“ აქტიურად ჩაებმება ცენტრალური ხელისუფლებაც. ეს ზემო სცენარით განსაზღვრული სამი ფუნდამენტალური პოლიტიკური ამოცანის – ინფორმატიზაციის, დეცენტრალიზაციისა და საჯარო დაწესებულებების რაციონალიზების სრულიად საქართველოს მასშტაბით გადაწყვეტაც იქნება. თანაც, თუ პროცესი „ქვემოდან“ დაიწყო, ეს მართლაც იქნება, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ყველაზე უფრო ეფექტიანი დეცენტრალიზაცია რეალურ ქართულ პრაქტიკაში.

V. ადგილობრივი თვითმმართველობის ელექტრონული მთავრობის შექმნა

ელექტრონული მთავრობის „ქვემოდან“ შექმნა თვითმმართველი ერთეულის მიერ შემდეგი ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას საჭიროებს:

ა) **ლოკალური ინფორმაციზაციის პროგრამული და ნორმატიული უზრუნველყოფა.** სავალდებულოა თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო გარემოს განვითარებისათვის ელემენტარულ პირობათა შექმნა, რაც ნიშნავს როგორც ლოკალური მასშტაბით „თამაშის წესების“ განსაზღვრას (ეს არ იქნება წინააღმდეგობრივი, რადგან ინფორმაციზაციის ეროვნული კანონმდებლობა აქ გადაულახავ ბარიერებს ვერ შექმნის, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თითქმის არც არსებობს) ასევე იმ მატერიალურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რაც აუცილებელია ინფოკომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მასიური ხელმისაწვდომობისათვის, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნისა და შემდგომში მისი განვითარებისათვის;

ბ) **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ადგილობრივი სამსახურების რაციონალური მოდელის შექმნა და განხორციელება.** თვითმმართველობის კომპეტენციები, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმისათვის, რომ მათ განსახორციელებლად ღირდეს მმართველობის ლოგიკური მოდელის შექმნა. ამასთან, საკუთარი ორგანოების ფუნქციების, საქმიანობის წესისა და სტრუქტურის განსაზღვრაც თვითმმართველი ერთეულის ხელშია. სავალდებულო იქნება თვითმმართველობის ექსკლუზიურ თუ დელეგირებულ კომპეტენციათა განხორციელების და შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის ლოგიკური ალგორითმის შექმნა – თვითმმართველობის ორგანოებისა და სამსახურების ფუნქციების, შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების, ოპერაციებისა და პროცედურების, პერსონათა ურთიერთქმედებების (მაგ. მოქალაქე-საჯარო სამსახური, საჯარო მოსამსახურე - საჯარო სამსახური, საჯარო სამსახური - საჯარო

სამსახური და სხვ.) მოდელირება, მათი ფორმალიზება, ნორმატიულ აქტებში ასახვა და პრაქტიკული დანერგვა.

გ) ელექტრონული მთავრობის ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფა. აქ გასათვალისწინებელია, რომ მოსამზადებელი იქნება კომპლექსური ტექნიკური დავალება, რომელიც თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციების, სტრუქტურის, პროცედურებისა და ურთიერთქმედებების გათვალისწინებით განსაზღვრავს საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკას, სისტემებს, აგრეთვე საჭირო პროგრამულ უზრუნველყოფას, ქართული კონტენტის შექმნას.

დ) საფინანსო უზრუნველყოფა. ცხადია, ელექტრონული მთავრობის შექმნა ფული ღირს და თვითმმართველობას საჭირო სახსრები, როგორც წესი, არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, ეს ის შემთხვევაა, „როცა ჩიტი ბღღენად ღირს“ და საჭიროა როგორც საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობათა მობილიზება, ასევე და უპირატესად, დონორების დაინტერესება და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, კერძო ინვესტიციების მოზიდვაც. წარმატების საფუძველი ის არის, რომ ელექტრონული მთავრობის შესაქმნელად დახარჯული თითოეული თეთრი ათმაგად და ასმაგად ანაზღაურდება.

ე) საკადრო უზრუნველყოფა. ელექტრონული მთავრობა ვერ იარსებებს, თუ მის პერსონალს არ გააჩნია საინფორმაციო ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარ-ჩვევები. სავალდებულო იქნება საჯარო მოხელეთა სწავლების, მომზადება-გადამზადების ორგანიზება, მათი კვალიფიკაციის და სამსახურში მიღების კრიტერიუმების ახლებურად განსაზღვრა.

VI. ელექტრონული მთავრობა: თვითმმართველობის ახალი შესაძლებლობები

ელექტრონული მთავრობა ხარისხობრივად გარდაქმნის მმართველობის ორგანოს საქმიანობას, განუზომლად გაზრდის მის ეფექტიანობას. ელექტრონული მთავრობა საშუალებას იძლევა მოსახერხებლად, ეკონომიურად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემები, რომელთა მეშვეობით საჯარო დაწესებულებები თავიანთი კომპეტენციების და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად უზრუნველყოფენ კავშირთიერთობებსა და ურთიერთქმედებებს:

ა) მოსახლეობასთან (G2C – government-to-citizen - „სახელმწიფო მოქალაქეებისათვის“ სისტემები);

ბ) კერძო კომპანიებთან (G2B – government-to-business „სახელმწიფო ბიზნესისათვის“ სისტემები);

გ) საჯარო მოსამსახურეებთან (G2E – government-to-employee „სახელმწიფო მოხელეებისათვის“ სისტემები);

დ) სხვადასხვა დარგის და დონის (ეროვნული, სუბეროვნული, ადგილობრივი) ორგანოებს შორის (G2G - government-to-government „მმართველობა მმართველობისათვის“ სისტემები).

ახალ შესაძლებლობათა საილუსტრაციოდ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, თუმცა ამჯერად დავჯერდებით G2C სისტემის უპირატესობათა დემონსტრირებას.

ელექტრონული მთავრობის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მოქალაქეების ურთიერთქმედებათა უზრუნველყოფა G2C სისტემით

დღეს არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, არამედ უკვე ჩვენშიაც მოქალაქეები თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობებისას ელიან და მოითხოვენ, რომ მიიღონ მიზნობრივი ინფორმაცია და ინდივიდუალიზებული მომსახურება. მათ ნაკლებათ აინტერესებთ ზოგადად როგორია მმართველობის ორგანოს სტრუქტურა ან რომელი სამსახურია პასუხისმგებელი ამა თუ იმ მომსახურების მიწოდებაზე, უფრო მნიშვნელოვანია და მათაც ისეთი ადგილობრივი ხელისუფლება სურთ, რომელიც პერსონალურად იმუშავებს ყოველ მოქალაქესთან, ეფექტიანად გაუწევს მას დახმარებას ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებასა თუ კრიტიკულ სიტუაციაში. ამასთან, მოქალაქეებს სურთ მიიღონ ინფორმაცია ან მომსახურება მათთვის მოსახერხებელ ადგილას, ხელსაყრელი ფორმით და საჭირო დროს. ამ მიზნებს ემსახურება ელექტრონული მთავრობა, კერძოდ – G2C საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემა.

ეს სისტემა ქმნის უნიკალურ შესაძლებლობებს, რათა ხარისხობრივად გაუმჯობესდეს ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურება, უზრუნველყოფილი იქნას თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა თანამონაწილეობა, აღდგეს თვითმმართველობის ინსტიტუტებისადმი ნდობა და ა.შ. სისტემის საშუალებით თვითმმართველობის ორგანოები და სამსახურები მუშაობენ ონლაინ რეჟიმში, ისინი ხელმისაწვდომი ხდებიან არა მხოლოდ ადამიანთა და ორგანიზაციათა ვიწრო წრისათვის, არამედ თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის (თუნდაც მის გარეთ) ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი თანასაზოგადოებისათვის. ისინი ხელმისაწვდომია მათთვისაც, ვისაც არა აქვს კომპიუტერი. ელექტრონული მთავრობა ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით მოსახლეობას სთავაზობს ინტეგრირებულ მომსახურებას, რომელიც პასუხობს ყველა მოქალაქის მოთხოვნილებებსა და საჭი-

რობებს. მომსახურების მიწოდება შესაძლებელია ნებისმიერ ადგილასა და დროს, ამასთან სხვადასხვა არხების მეშვეობით. ამისათვის სისტემა იყენებს ვებ-კვანძებსა და ინტერნეტ-პორტალებს, ინტერნეტით და IVR ტექნოლოგიით („Interactive Voice Response – ინტერაქტიული ხმოვანი პასუხი“ - კომპიუტერულ სისტემასთან სატელეფონო ურთიერთქმედების ტექნოლოგია), მობილური კომუნიკაციებით და ინტერაქტიური ტელევიზიით შექმნილ მოთხოვნათა დაქვემდებარების ცენტრებს. ეს ცენტრები წარმოადგენენ „უნივერსალურ დაწესებულებებს“ (one-stop shops), რომლებიც შეიძლება განთავსდნენ საფოსტო განყოფილებაში, თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში, ბიბლიოთეკაში, სკოლასა თუ სადაც გნებავთ, ნებისმიერ საჯარო დანიშნულების შენობაში. ამ სისტემის მეშვეობით მოქალაქეს ეძლევა შესაძლებლობა დღეს საკმაოდ „ბიუროკრატიზებული“ და შრომატევადი პროცედურები (მაგ. რეგისტრაცია, დაუშვათ საპენსიო ფონდში, ანდა ადგილობრივ საგადასახადო ორგანოში და სხვ.) ისევე მარტივად განახორციელოს, როგორც ტელეფონზე დარეკვა ან ტელევიზორის არხის გადართვა. ამ სისტემის მეშვეობით ძალზე იოლია თვითმმართველობის მიერ მიწოდებული მომსახურების სფეროში მოქალაქეთა თვითმომსახურების დანერგვა. ეს საშუალებას იძლევა გამოთავისუფლდეს სოციალური სამსახურის ბევრი მუშაკი და ისინი დაკავდნენ იმ ადამიანებით, რომელთაც განსაკუთრებული მზრუნველობა ესაჭიროებათ (მართლებები, ინვალიდები და სხვ.)

სისტემა საშუალებას აძლევს თვითმმართველობის ორგანოს, ადგილობრივ სამსახურს Microsoft .NET პლატფორმის მეშვეობით და სხვადასხვა კომუნიკაციებით (კომპიუტერი, ტელეფონი, მობილური ტელეფონი, ინტერაქტიური ტელევიზორი და სხვ.) „ონლაინ რეჟიმში“ იმუშაოს მოქალაქეებთან და ავტომატიზებუ-

ლად განახორციელოს ისეთი პროცედურები, როგორებიცაა მაგალითად:

- თვითმმართველობის აქტების, განცხადებების, „დღის წესრიგის“, საქმიანობის პრინციპების, ადგილობრივი სამსახურების სტრუქტურისა და კომპეტენციების გამოქვეყნება;

- ტერიტორიის დაგეგმვისა (განაშენიანების, სამრეწველო, რეკრეაციული ზონები და სხვ.) და მართვის, აგრეთვე სხვა აქტუალურ საკითხებზე ინტერაქტიური გამოკითხვა;

- მოქალაქეთათვის სოციალური შეღავათებით სარგებლობის უფლებების განსაზღვრა;

- მოქალაქის რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

- უმუშევართა რეგისტრაცია და მათთვის ვაკანსიების ძებნა;

- გადასახადებისა, მოსაკრებლებისა და ჯარიმების გადახდის ადმინისტრირება;

- ლიცენზიების, სერთიფიკატებისა და ნებართვების გაცემა;

- საგზაო მოძრაობის მართვა;

- სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო-სააღმწრდლო დაწესებულებებში მიღება;

- კომუნალურ მომსახურებებზე მოთხოვნილებათა მიღება და შეფასება;

- კომუნალური მომსახურების ორგანიზება და მართვა;

- საჩივრების მიღება და დამუშავება;

- ამომრჩეველთა რეგისტრაცია;

- თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებების თაობაზე მოქალაქეთა წინადადებების, რეკომენდაციების, ინიციატივების და ა.შ. მიღება-დამუშავება.

ეს ჩამონათვალი მოქალაქეთა სურვილებისა და თვითმმართველობის ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. სისტემის უპირატესობა ისიცაა, რომ აუცილებელი არ არის ერთბაშად ყველა მომსახურების და ყველა პროცედურის ინფორმატიზება და ავტომატიზება, ყოველივე ეს შესაძლოა ეტაპობრივად განხორციელდეს, რათა მაქსიმალურად მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოქალაქეთათვის, ასევე თვითმმართველობის ორგანოებისათვისაც. სისტემა ამის საშუალებას იძლევა.

ცხადია, სისტემა თავიდან ბოლომდე უზრუნველყოფს თვითმმართველობის ორგანოებისა და ადგილობრივი სამსახურების საქმიანობის გამჭვირვალებას და მოქალაქეთა აქტიურ თანამონაწილეობას თვითმმართველობის განხორციელებაში.

VII. რას სთავაზობს ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრი ელექტრონული მთავრობის შესაქმნელად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანით, როგორიცაა ელექტრონული მთავრობის შექმნა, ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას პირდება. ცენტრს შეუძლია:

1) მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციურ უზრუნველყოფაში, კერძოდ:

ა) ადგილზე შეისწავლოს ადგილობრივი ორგანოების საქმიანობა, მოამზადოს რეკომენდაციები ამ საქმიანობის (სა-

ზოგადობრივი მომსახურებისა და ადმინისტრაციული პროცედურები, გადაწყვეტილებათა ინიცირება, მომზადება და მიღება, ანგარიშგება და კონტროლი, მოქალაქეთა თანამონაწილეობა, ურთიერთობები სხვა საჯარო დაწესებულებებთან, კერძო და იურიდიულ პირებთან და სხვ.) თანამედროვე, რაციონალური ალგორითმის შესაქმნელად;

ბ) მოამზადოს ელექტრონული მთავრობის ინსტიტუციური უზრუნველყოფის პროგრამული და ნორმატიული ბაზა (ინფორმატიზაციის ადგილობრივი პროგრამისა და შესაბამისი ნორმატიული პაკეტის ჩათვლით);

გ) ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებისა და მოხელეებისათვის მოამზადოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო-მოსამზადებელი, გამოყენებითი პროგრამები;

2) დაეხმაროს ადგილობრივ ორგანოებს ელექტრონული მთავრობის ქართული კონტენტის შექმნაში, ტექნიკურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის და საერთოდ შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ინფორმატიზაციაში, კერძოდ:

ა) მოამზადოს ტექნიკური დავალება, რომელიც გაითვალისწინებს ადგილობრივი ორგანოების კომპიუტერიზებას, მათი საქმიანობის ავტომატიზებას და ინტერნეტიზებას, ქართული კონტენტის შექმნას, აგრეთვე ინფოკომუნიკაციებით სარგებლობის ადგილობრივი ცენტრების მოწყობას და სხვ.

ბ) მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და სისტემების შექმნა-განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებაში;

3. მხარი დაუჭიროს ადგილობრივ ორგანოებს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიდან ელექტრონული მთავრობის შექმნის მიზნით საფინანსო რესურსების მოსაზიდად და ტექნიკური დახმარების მისაღებად.

თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის კონცეფცია

კონცეფციის მიზანია განსაზღვროს თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის ძირითადი მიზნები და მიმართულებები; შექმნას სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებების, საწარმოების და მოქალაქეთა საქმიანობის ურთიერთკოორდინირების საფუძვლები და უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის ინტეგრირება ერთიან საინფორმაციო სივრცეში.

ზოგადი დებულებები

1. ინფორმატიზაცია წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის ყველა სფეროს განვითარების სტაბილურობა.

2. ინფორმატიზაციის მიზანია არსებული საინფორმაციო რესურსების და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის გაერთიანებით თვითმმართველი ერთეულის ერთიანი საინფორმაციო სივრცისა და თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო რესურსების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელმაც, კანონმდებლობით დადგენილი კონფიდენციალობის დაცვით, უნდა უზრუნველყოს ყველა მომზ-

მარბლის მიერ ამ რესურსების სარგებლობის შეუფერხებელი შესაძლებლობა.

3. ინფორმატიზაციის პროცესი მოიცავს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საინფორმაციო რესურსების შექმნას, გამოყენებას, მოდიფიკაციას, შენახვასა და უტილიზაციას. ამ პროცესის თანაბარუფლებიანი სუბიექტები არიან:

- ა) მოქალაქეები;
- ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- დ) დაწესებულებები;
- ე) იურიდიული პირები.

4. ინფორმატიზაციის განხორციელების ძირითადი პრინციპებია:

- ა) თანმიმდევრულობა (ეტაპობრიობა და განვითარების უწყვეტობა);
- ბ) მიზანმიმართულობა;
- გ) ეფექტურობა;
- დ) პროცესის მართვა;
- ე) საჯაროობა და გამჭვირვალობა;
- ვ) რესურსებით (საფინანსო, მატერიალური, საკადრო და სხვ.) უზრუნველყოფა.

5. ინფორმატიზაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;
- ბ) ყველა სფეროში წარმოების ეფექტურობის გაზრდა შრომისნაყოფიერების ზრდის, მართვის სრულყოფის, წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის, პროდუქციაზე მატერიალური დანახარჯებისა და ენერგოტევატობის შემცირების ხარჯზე;

დ) კულტურული მემკვიდრეობისა და კულტურულ ღირებულებათა დაცვის პირობების შექმნა;

ე) პიროვნების უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვა.

ტერმინების განმარტება

1. **საინფორმაციო პროცესები** - ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციის, შენახვის, დამუშავების, გადაცემისა და წარმოდგენის პროცესები

2. **საინფორმაციო ურთიერთქმედება** - ინფორმაციათა ურთიერთგაცვლის პროცესი, რისი შედეგაცაა ერთ-ერთი მონაწილის ინფორმაციული რესურსის რაოდენობრივი ან სტრუქტურული ცვლილება მაინც.

3. **ინფორმატიზაცია** - საინფორმაციო პროცესების თანამედროვე ინფოკომუნიკაციების საშუალებებით წარმოების საფუძველზე საინფორმაციო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების და ინფორმაციის მიღების უფლებების რეალიზაციის ოპტიმალური პირობების შექმნის პროცესი.

4. **საინფორმაციო-საკომუნიკაციო (მოკლედ - საინფორმაციო) ტექნოლოგიები** - საინფორმაციო პროცესების საწარმოო-ტექნიკური საშუალებების, პროგრამებისა და მეთოდების კომპლექსი. ამ ტექნოლოგიების გამოყენებამ საინფორმაციო პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის თითოეულ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს წარმოება-რეალიზაციის პროცესის სიმარტივე და ეკონომიურობა, მცირე შრომატევადობა, წარმოებული პროდუქტის მაღალი ხარისხი - პროდუქტის საიმედოობა და ოპერატიულობა, მისი გამოყენების (ინფორმაციაზე რეაგირება ან ახალი ინფორმაციის შექმნა) ხელსაყრელობა.

5. **ინფოკომუნიკაციები** - თანამედროვე საინფორმაციო, კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების

ორგანულად გამაერთიანებელი რთული კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეების, ორგანიზაციების, თვითმმართველობის ორგანოებისა და სახელმწიფოსათვის საინფორმაციო პროდუქტისა და მომსახურების წარმოება-მიწოდებას.

6. საინფორმაციო პროდუქტი – ინფორმაციის მოპოვების, შენახვის, დამუშავების, გადაცემისა და წარმოდგენის პროცესში ინფოკომუნიკაციებით წარმოებული ნებისმიერი საქონელი, მათ შორის: ყველა სახის საინფორმაციო რესურსები, მონაცემთა ბაზები და ბანკები, პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები და სხვ.

7. საინფორმაციო რესურსები – საინფორმაციო სისტემების (ბიბლიოთეკები, არქივები, ფონდები, დეპოზიტები, მონაცემთა ბაზები და ბანკები, სამუზეუმო საცავები და სხვ.) დოკუმენტები და დოკუმენტთა მასივები.

8. საინფორმაციო მომსახურება – ინფოკომუნიკაციებით წარმოებული ყველა სახის არამატერიალური პროდუქტი.

9. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა – ტერიტორიულად განაწილებულ სახელმწიფო და კერძო საინფორმაციო სისტემების, სატელეკომუნიკაციო ქსელების, მათ შორის კავშირგაბმულობის საზღვის, მონაცემთა გადაცემის ქსელებისა და არხების, საინფორმაციო ნაკადების კომუტაციისა და მართვის საშუალებების, აგრეთვე ორგანიზაციული სტრუქტურების და სამართლებრივ-ნორმატიული ადმინისტრაციული მექანიზმების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს საინფორმაციო პროდუქტებისა და მომსახურების ინდუსტრიას და ეფექტიან გამოყენებას.

10. საინფორმაციო ინფრასტრუქტურა – ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობა, რომელიც ქვეყნის საინფორმაციო

სივრცის, საინფორმაციო ურთიერთქმედებათა ფუნქციონირებასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

11. **საზოგადოების საინფორმაციო გარემო** – საინფორმაციო პროდუქტების, საინფორმაციო მომსახურების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, ინფორმატიზაციის საშუალებების, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პირობების ერთობლიობა.

12. **საინფორმაციო სივრცე** – საინფორმაციო პროცესებში მონაწილე სუბიექტების, საინფორმაციო გარემოს, საინფორმაციო ინფრასტრუქტურის და საინფორმაციო ურთიერთქმედებათა ერთობლიობა.

13. **ინფორმატიზაციის საშუალებები** – საინფორმაციო, კომპიუტერული და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები, რომელიც გამოიყენება ინფორმატიზაციისას.

14. **ინფორმატიზაციის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ბაზა** – პერსპექტიული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კავშირგაბმულობისა და გამოთვლითი ტექნიკის დამუშავებისა და წარმოების დარგები, ამ სფეროს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები და საწარმოები, აგრეთვე ამ სფეროს სპეციალისტები.

თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის ძირითადი მიზანებია საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო საფუძვლების შექმნა თვითმმართველი ერთეულის განვითარების პროგნოზირების, არსებული მდგომარეობის ანალიზის, ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღების და მის შესრულების კონტროლის,

სათვითმმართველი ერთეულო მეურნეობის ყველა რგოლის მართვის ეფექტურობის უზრუნველყოფად.

2. თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის ძირითადი ამოცანებია:

თვითმმართველი ერთეულის ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნა;

თვითმმართველი ერთეულის ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფუნქციონირებისათვის ტელეკომუნიკაციური საფუძვლების შექმნა;

თვითმმართველი ერთეულის ერთიანი საინფორმაციო სივრცის განვითარების, მართვისა და დაცვის უზრუნველყოფა.

3. თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის პროცესის კოორდინირება და მიზანმიმართული განვითარება მოიცავს:

საინფორმაციო ტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით ინფორმატიზაციის სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას;

თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო სამსახურის შექმნას;

თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის საკითხების მარეგულირებელ ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მომზადებასა და გამოცემას;

საინფორმაციო პროექტების ფინანსირების მიზნით შესაბამის საკრედიტო-საფინანსო, საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას;

ერთიან საინფორმაციო სივრცეში კორპორატიული და უწყებრივი საინფორმაციო რესურსების ინტეგრირებისას მონაცემთა დაცვის და უშიშროების პირობების უზრუნველყოფას;

საინფორმაციო სისტემისა და სატელეკომუნიკაციო ქსელის შესაქმნელად საჭირო ტექნიკურ ღონისძიებათა დაგეგმვას და განხორციელებას;

ერთიან საინფორმაციო სივრცის სუბიექტთა ინფორმაციის ურთიერთქმედების რეგლამენტირების მიზნით შესაბამის სტანდარტების შემუშავებას და დანერგვას;

საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარების უზრუნველსაყოფად შესაბამის მეთოდურ მასალების მომზადებას და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ღონისძიებათა გატარებას;

საინფორმაციო სისტემის, ქსელის, ბაზების, მონაცემთა ბანკების (გარდა სპეციალურსა და დაცულის) გამოყენების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და ფუნქციონირებაზე მომუშავე სპეციალისტთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შექმნას;

ინფორმატიზაციის სფეროში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ კავშირურთიერთობათა გაღრმავებას.

თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის ძირითადი მიმართულებები

თვითმმართველი ერთეულის მართვის ავტომატიზირებული სისტემის ინფორმატიზაციის ძირითადი მიმართულებებია:

1. სამართლებრივი უზრუნველყოფის საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს:

ა) თვითმმართველი ერთეულის ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების მომზადების, მონაცემთა ბაზის შექმნის და მათი აღსრულების კონტროლის საინფორმაციო ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

ბ) თვითმმართველი ერთეულის თვითმმართველობის საქმისწარმოების, დოკუმენტბრუნვის, შემოსულ წერილების აღრიცხვისა და კონტროლის უზრუნველყოფის საინფორმაციო ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

გ) თვითმმართველობის თანამდებობის პირთა მიერ გადაწყვეტილებათა მიღების ეფექტურობის უზრუნველყოფის საინფორმაციო ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

2. თვითმმართველობის საფინანსო-საკრედიტო საქმიანობის ინფორმატიზაცია, რომელიც მოიცავს:

ა) საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების ფორმირების, განაწილების და გამოყენებაზე კონტროლის საინფორმაციო ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

ბ) იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ გადასახადების გადახდაზე საინფორმაციო ტექნოლოგიური მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას;

გ) საფინანსო რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიური მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას;

დ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შედგენისა და განხორციელების საინფორმაციო ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

ე) საფინანსო, შრომითი, მიწის რესურსების, მოთვითმმართველი ერთეულეთა შემოსავლების გამოყენების ბალანსების ფორმირების საინფორმაციო ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

3. თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის ინფორმატიზაცია, რაც მოიცავს:

ა) თვითმმართველი ერთეულში არსებული საწარმოებისა და დაწესებულებების რეესტრის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

ბ) თვითმმართველი ერთეულის ქონების იჯარით გაცემის ხელშეკრულებათა წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

გ) პრივატიზაციის პროგრამის მომხადების, განხორციელების, ანალიზისა და კონტროლის საინფორმაციო ტექნოლოგიებს.

4. სამომხმარებლო ბაზრის მართვის ინფორმატიზაცია, რაც მოიცავს:

ა) მინიმალური სამომხმარებლო კალათის განსაზღვრის საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

ბ) მოსახლეობის საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალური დაკვეთების ფორმირების და მისი ორგანიზების კონტროლის საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

გ) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური პასპორტის შედგენის და სათვითმმართველი ერთეულო რესურსების გამოყენების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

დ) საქონლისა და მომსახურების ფასების მონაცემთა ბაზის შედგენის საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

ე) სასაქონლო რესურსების აღრიცხვის, ანალიზისა და კონტროლის საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

ვ) საქონლისა თუ მომსახურებაზე საჭიროებათა ოპერატიული გამოვლენის საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

5. თვითმმართველი ერთეულის სოციალური სფეროს განვითარების ინფორმატიზაცია, რაც მოიცავს:

ა) ნაკლებუზრუნველყოფილ მოთვითმმართველი ერთეულეთა მონაცემთა ბაზის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

ბ) ნაკლებუზრუნველყოფილ მოთვითმმართველი ერთეულებზე დახმარებათა გაცემის აღრიცხვის, ანალიზის და კონტროლის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

გ) განათლების სისტემის ობიექტების მონაცემთა ბაზის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

დ) ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ობიექტების მონაცემთა ბაზის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

ე) კულტურის ობიექტების მონაცემთა ბაზის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

ვ) სპორტის ობიექტების მონაცემთა ბაზის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

6. ქალაქმშენებლობისა და მიწათსარგებლობის ინფორმატიზაცია, რაც მოიცავს:

ა) კადასტრის წარმოების გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

ბ) თვითმმართველი ერთეულის და მასში მოქცეული დასახლებების გენერალური გეგმის შედგენისა და წარმოების გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

გ) კაპიტალური მშენებლობების დაგეგმვის და მის შესრულებაზე კონტროლის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

დ) მიწის ნაკვეთების გაცემის წარმოების გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

ე) თვითმმართველი ერთეულის მიწის რესურსების გამოყენების მონაცემთა ბაზის შედგენის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

ვ) მიწის რესურსების ოპტიმალური გამოყენების გეგმის მომზადების გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

7. კომუნალური მეურნეობის ინფორმატიზაცია, რაც მოიცავს:

ა) საბინაო და არასაცხოვრებელი ფონდის კადასტრის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

ბ) გათბობის სისტემის კადასტრის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

გ) წყალსადენებისა და კანალიზაციის სისტემის კადასტრის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

დ) ელექტრო ქსელების კადასტრის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

ე) დასახლებების ქუჩების კადასტრის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

ვ) კომუნალურ მომსახურებაზე მუნიციპალური დაკვეთის შედგენისა და მის შესრულების კონტროლის წარმოების ტექნოლოგიებს;

ზ) მგზავრთა გადაყვანაზე მუნიციპალური დაკვეთის შედგენისა და მის შესრულების კონტროლის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

თთ) ვითმმართველი ერთეულის კომუნალურ სფეროში საგანგებო მდგომარეობის პირობებში ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა მიღების უზრუნველყოფ საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

ი) მშენებლობასა და რეკონსტრუქციაზე მუნიციპალური დაკვეთის შედგენისა და მის შესრულების კონტროლის წარმოების საინფორმაციო ტექნოლოგიებს;

კ) თვითმმართველი ერთეულის კომპლექსური ეკოლოგიური პროგრამის შედგენისა და დაცვის უზრუნველყოფის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

ლ) ბუნებათდაცვითი და ეკოლოგიურად მავნე ობიექტების კარტოგრაფიული მონაცემთა ბაზის შედგენისა და კონტროლის უზრუნველყოფის გეოინფორმაციულ ტექნოლოგიებს;

თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის ძირითადი პრინციპები

თვითმმართველი ერთეულის ერთიან საინფორმაციო სივრცეში ინტეგრირებული გარემოს შექმნის ძირითადი კომპონენტებია:

ა) საინფორმაციო რესურსები, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამის ინფორმაციის მატარებელზე დაფიქსირებულ ინფორმაციათა ერთობლიობას;

ბ) ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელმაც ერთიანი საინფორმაციო სივრცის შესაქმნელად და მისი ფუნქციონირებისათვის უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მოძიება, შეკრება, დამუშავება, შენახვა, გაცემა და გავრცელება;

გ) მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ინფორმაციული ურთიერთქმედების შესაძლებლობები, რომელმაც შესაბამის საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე უნდა უზრუნველყოს მათი დაშვება საინფორმაციო რესურსებთან, მათ შორის პროგრამულ-ტექნიკურ საშუალებებთან და ორგანიზაციულ-ნორმატიულ დოკუმენტებთან;

დ) საინფორმაციო გარემოს მომხმარებელთა და სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების სისტემა.

ე) ერთიანი საინფორმაციო გარემოს შექმნისა და ერთიანი საინფორმაციო პოლიტიკის გატარების მიზნით საჭიროა:

ვ) ინფორმატიზაციის სფეროში მართვის იერარქიული სტრუქტურის შექმნა, რომელიც ტელეკომუნიკაციისა და ინფორმატიზაციის კუთხით ერთმანეთთან დააკავშირებს თვითმმართველი ერთეულის გამგეობის (მერიის) სტრუქტურულ ერთეულებს, ტერიტორიულ ორგანოებს, საზოგადოებრივი მომსახურების სფეროს ორგანიზაციებს;

ზ) საინფორმაციო სისტემის აგებისას დაცული იქნეს ის სტანდარტები და ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უნიფიცირებულ საინფორმაციო სისტემის ურთიერთქმედებას. ამ მიზნით ჩატარდეს საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზების პროგრამული უზრუნველყოფის ატესტაცია; პროგრამული პროდუქტების შექმნისა და დანერგვისას დაცული უნდა იქნეს

მათი შესაბამისობა სტანდარტებთან და იყოს თავსებადი თვითმმართველი ერთეულო საერთო სისტემასთან;

თ) შეიქმნას საინფორმაციო რესურსების ყველასათვის ხელმისაწვდომი სისტემა (www-სერვერი და სხვ.), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის მიღებაზე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლების რეალიზება, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო სტრუქტურების ინტერესების დაკმაყოფილება;

ი) მონაცემთა გადაცემის მუნიციპალური ქსელის განვითარება, რომელიც დააკავშირებს დარგობრივ და უწყებათშორის ქსელებს და უზრუნველყოფს ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნის კომუნიკაციურ საფუძველს;

კ) მონაცემთა გადაცემის ქსელების დაპროექტებისას უზრუნველყოფილი იქნეს ინფორმაციის დაცვისა და საინფორმაციო სისტემის უსაფრთხოება;

კონცეფციის განხორციელების ძირითადი ეტაპები

1. პირველი ეტაპი არის ინტეგრაციისათვის მომზადება და თვითმმართველი ერთეულის ერთიანი საინფორმაციო სივრცეში შემავალი სტრუქტურების განსაზღვრა, რომელიც გულისხმობს:

ა) არსებული საინფორმაციო რესურსების ინვენტარიზაციას; ტესტირებას და მოდიფიკაციას;

ბ) საინფორმაციო პროცესში ჩართული სუბიექტების ურთიერთქმედების წესების განსაზღვრას;

გ) თვითმმართველი ერთეულის სატელეკომუნიკაციო გარემოს შესწავლას და განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას;

დ) თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის პროცესების მართვის ინფრასტრუქტურის ფორმირებას;

2. მეორე ეტაპი მოიცავს ერთიანი საინფორმაციო სივრცის საფუძველზე თვითმმართველი ერთეულის ინტეგრირებული

საინფორმაციო გარემოს შექმნას, რომელიც გააერთიანებს ერთიან პრინციპებისა და საერთო წესებით მოქმედ საინფორმაციო რესურსებსა და სისტემებს, სატელეკომუნიკაციო სისტემებსა და ქსელებს და უზრუნველყოფს პროცესის სუბიექტთა ოპტიმალურ ურთიერთობების ჩამოყალიბებას და ინფორმაციის მიღების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

3. მესამე ეტაპი გულისხმობს თვითმმართველი ერთეულის განვითარებული საინფორმაციო ინფრასტრუქტურის შექმნას.

თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის განხორციელების ორგანიზაცია

1. თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციას ახორციელებს თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს:

- ა) საინფორმაციო სისტემის შექმნის დამკვეთის ფუნქციას;
- ბ) თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო სისტემების და ქსელების ჩამოყალიბება-განვითარების ღონისძიებათა განხორციელების კოორდინაციას; თვითმმართველი ერთეულის ურთიერთთავსებადი ერთიანი საინფორმაციო გარემოს ჩამოყალიბებას;
- გ) საინფორმაციო სისტემის, ქსელებისა და საინფორმაციო ბაზების ექსპერტიზას; კონტროლს მათ ჩამოყალიბებასა და გამოყენებაზე;
- დ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შესაბამის ქვედანაყოფების მეთოდურ დახმარებას და საქმიანობის კოორდინაციას;
- ე) თვითმმართველი ერთეულის პორტალის შექმნას, მის გამართულ მუშაობას და სისტემატიურ განახლებას;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ინფორმაციზაციასთან დაკავშირებულ სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას;

ზ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრების შექმნას და ფუნქციონირებას;

თ) თვითმმართველი ერთეულის ინტერესების დაცვას ინფორმაციზაციის სფეროში;

ი) ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვას და საინფორმაციო უშიშროებას;

კ) თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო რესურსების რეესტრის შედგენასა და წარმოებას.

2. თვითმმართველი ერთეულის ინფორმაციზაციის კონცეფციის რეალიზებისა და თვითმმართველი ერთეულის ინფორმაციზაციის პროცესის მართვის მიზნით იქმნება ინფორმაციზაციის საკოორდინაციო საბჭო საკრებულოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობის, საკრებულოს წევრების, გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოს, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და საზოგადოების წარმომადგენლობათა მონაწილეობით.

3. ინფორმაციზაციის საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციები:

ა) განსაზღვროს თვითმმართველი ერთეულის ინფორმაციზაციის ძირითადი მიმართულებები, წინასწარ განიხილოს და შეიმუშაოს რეკომენდაციები და დასკვნები თვითმმართველი ერთეულის ინფორმაციზაციის პროგრამის და პროგრამიდან გამომდინარე ღონისძიებების ჩატარების შესახებ;

ბ) საერთო კოორდინაცია გაუწიოს ინფორმაციზაციის პროცესს;

გ) წინასწარ განიხილოს და შეიმუშაოს რეკომენდაციები და დასკვნები თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის სფეროში მისაღებ სამართლებრივ აქტების პროექტებზე;

დ) კოორდინაცია და ორგანიზაცია გაუწიოს ინფორმატიზაციის სფეროში კადრების მომზადებასა და გადამზადებას;

ე) გამოაცხადოს და ჩაატაროს კონკურსები თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის სფეროს პროექტებზე.

ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირებისა და თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის ძირითადი მოთხოვნები

1. ინფორმატიზაციის და ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირების პროცესი მოიცავს:

ა) საინფორმაციო რესურსების თავმოყრას და ერთიანი საინფორმაციო ბანკის ფორმირებას; ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მოქალაქეთა უფლების უზრუნველყოფას;

ბ) საინფორმაციო გარემოს საერთო-სახელმწიფო საინფორმაციო სივრცეში ინტეგრირების შესაძლებლობას;

გ) საკანონმდებლო რეგულირების ფარგლებში ინფორმატიზაციის პროცესის მართვაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გამოყენებას;

დ) თვითმმართველი ერთეულის ინტელექტუალური და საკადრო რესურსების უპირატესი და მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობას;

ე) საინფორმაციო რესურსების, მომსახურების, საინფორმაციო სისტემის, ტექნოლოგიების ბაზრის ფორმირებას;

ვ) საინფორმაციო რესურსებზე ყველა სახის საკუთრების ფორმის განვითარებისა და დაცვის პირობების შექმნას;

ზ) ინფორმატიზაციის სამართლებრივი ბაზის ფორმირებას.

2. თვითმმართველი ერთეულის ერთიანი საინფორმაციო სივრცის ფორმირების ორგანიზაციულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური საფუძვლები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

ა) არსებული და მომავალში შექმნილ საინფორმაციო გარემოსთან ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ინტეგრირების შესაძლებლობა;

ბ) საინფორმაციო ქსელის აგების ორგანიზაციულ, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პრინციპების ერთიანობის და ერთიანი სტანდარტების დაცვა;

გ) საინფორმაციო უშიშროების უზრუნველყოფა და ინფორმაციაზე არასანქცირებული დაშვების და ჩარევის შესაძლებლობის გამორიცხვა;

დ) გეოინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება; ტოპოგრაფიულ თემატური ელექტრონული რუკების ბანკის ფორმირება;

ე) საინფორმაციო მომსახურების სერტიფიცირება და ლიცენზირება.

ინფორმაციის დაცვა და ინფორმაციის უშიშროების სისტემის ფორმირება

თვითმმართველი ერთეულის ერთიანი საინფორმაციო სივრცეში საინფორმაციო პროცესის სუბიექტების ურთიერთობა გარდა სამართლებრივი რეგლამენტირებისა საჭიროებს ინფორმაციის დაცვის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომების მიღებას. ამ ზომებმა:

ა) უნდა გამორიცხონ ინფორმაციის გაჟონვა, ინფორმაციის დაკარგვა და ინფორმაციის გაყალბება;

ბ) უზრუნველყონ სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების ინფორმაციის კონფედენციალობისა და უშიშროების დაცვა;

გ) დაიცვან ინფორმაცია მისი განადგურების, მოდიფიკაციის, გაყალბების, კოპირების, ინფორმაციის შეღწევალობის დაბლოკვის არასანქცირებული მცდელობისგან;

დ) დაიცვან საინფორმაციო რესურსები ყველა სახის უკანონო ჩარევისაგან; უზრუნველყონ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის, როგორც საკუთრების ობიექტის სამართლებრივი რეჟიმის დაცვა;

ე) უზრუნველყონ საინფორმაციო სისტემის რესურსებში არსებულ მოქალაქეთა პირადი საიდუმლოების და პერსონალურ მონაცემთა კონფედენციალობის დაცვა;

თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის სამართლებრივი ბაზის ფორმირება

თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის მიზნით მომზადებული და მიღებული იქნეს თვითმმართველი ერთეულის ინფორმატიზაციის პროგრამა და ნორმატიული აქტები:

ა) თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო რესურსების სარგებლობის წესის შესახებ;

ბ) თვითმმართველი ერთეულის საინფორმაციო ბანკის შექმნის და შევსების წესის შესახებ;

გ) თვითმმართველი ერთეულის ვებ-გვერდის შესახებ;

დ) საზოგადოებრივი საინფორმაციო ცენტრების შესახებ

დებულება

----- მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი
ქალაქის) ოფიციალური ვებ-გვერდის შესახებ“

მუხლი I. ზოგადი დებულებები

1. დებულება „----- მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) ოფიციალური ვებ-გვერდის შესახებ“ ადგენს ----- მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) ოფიციალური ვებ-გვერდის შევსების, ორგანიზაციის და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ----- მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) ოფიციალური ვებ-გვერდის დანიშნულებაა:

ა) ----- მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის, მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) პერსპექტიული განვითარების, თვითმმართველობის ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) მოსახლეობისათვის და ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისათვის;

ბ) უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოების მუდმივი კავშირი თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობასთან,

დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან; საშუალება მისცეს მოსახლეობას თუ იურიდიულ პირებს შეუფერხებელივ მიმართონ და მიაწოდონ წინადადებები თვითმმართველობის ორგანოებს და თანამდებობის პირებს თვითმმართველ ერთეულში არსებული მიმდინარე პრობლემების და მისაღები გადაწყვეტილებათა პროექტების შესახებ; უზრუნველყოს თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

3. ----- მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართია: WWW -----
-----.

მუხლი 2. ვებ-გვერდის ადმინისტრირება

1. ვებ-გვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური (განყოფილება).

2. ვებ-გვერდის ადმინისტრირება მოიცავს:

ა) ვებ-გვერდის დიზაინის მომზადებას და მასში ცვლილებების შეტანას;

ბ) ვებ-გვერდის ფუნქციონირების ტექნიკურ გამართულობის უზრუნველყოფას;

გ) ინფორმაციის განთავსებას;

დ) ვებ-გვერდზე შემოსული წინადადებების და წერილების სისტემატიზაციას და გადაცემას საკრებულოს აპარატის უფროსისათვის;

ე) ვებ-გვერდის ფუნქციონირების პროგრამულ უზრუნველყოფას, მათ შორის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლის, გაყალბების, დამახინჯების, წაშლის და დაბლოკვისაგან.

2. საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის (განყოფილების) მიმართვა ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განსათავსებლად სავალდებულოა შესასრულებლად თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირებისა და ადმინისტრაციული დაწესებულებებისათვის.

მუხლი 3. ინფორმაციის წყაროები, კატეგორიები და სტატუსი

1. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებას. იგი საჯარო და უსასყიდლოა.

2. ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას შეიძლება ქონდეს ოფიციალური (შესაბამისი მითითებით) ან არაოფიციალური სტატუსი.

3. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის გამოყენება თავისუფალია. საინფორმაციო საშუალებებს უფლება აქვთ გამოიყენონ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ვებ-გვერდის მისამართის სავალდებულო მითითებით.

4. ვებ-გვერდის შევსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

ბ) თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები;

გ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებები;

დ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ინტერნეტ-რესურსები;

ე) საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

5. ვებ-გვერდის ინფორმაცია განახლების მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) მუდმივი (ყოველდღიური);
- ბ) პერიოდული (ყოველკვირეული, ყოველთვიური);
- დ) ერთჯერადი.

მუხლი 4. ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, თვითმმართველი ერთეულის იურიდიული პირები, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკურ სამსახურს (განყოფილებას) აწვდიან ვებ-გვერდზე გასათავსებელ ინფორმაციას ელექტრონული ფორმით ამ დებულებით დადგენილი გადაცემისა და განახლების პერიოდულობის ვადების დაცვით.

2. ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, ხოლო ვებ-გვერდზე დროულ, შესაბამის განყოფილებაში (ქვეგანყოფილებაში) განთავსებასა და მიწოდებულ ინფორმაციის რედაქტირებაზე – საკრებულოს აპარატის საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახური (განყოფილება).

3. ინფორმაციის მიწოდების ვადებია:

- ა) მუდმივ განახლებადის – ყოველი დღის 13.00 სთ.
- ბ) ყოველკვირეულის – ყოველი სამშაბათის 13.00 სთ.
- გ) ყოველთვიურის – ყოველი თვის 15 რიცხვის 13.00 სთ.

3. დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წყაროების გარდა სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე ხდება „მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისა და ვებ-გვერდით სარგებლო-

ბის წესის“ მიხედვით საკრებულოს აპარატის უფროსის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 5. ვებ-გვერდის ძირითადი სტრუქტურა

ვებ-გვერდის სტრუქტურის ძირითადი განყოფილებებია:

- ა) თვითმმართველობის ორგანოები;
- ბ) სამართლებრივი აქტები;
- გ) მუნიციპალიტეტი (თვითმმართველი ქალაქი);
- დ) ახალი ამბები;
- ე) მუნიციპალური მეურნეობა;
- ვ) სოციალური სფერო;
- ზ) პროგრამები და პროექტები;
- თ) ცნობარი.

მუხლი 6. ვებ-გვერდის განყოფილებათა სტრუქტურა

1. თვითმმართველობის ორგანოების განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებისაგან:

- ა) საკრებულო:
 - ა.ა) საკრებულოს დებულება (რეგლამენტი);
 - ა.ბ) საკრებულოს თანამდებობის პირები (თანამდებობა, მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, უფლებამოსილება, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი და მიღების საათები);
 - ა.გ) საკრებულოს წევრები (მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი, საკრებულოს კომისიის (კომისიების) და ფრაქციის წევრობა)
 - ა.დ) საკრებულოს კომისიები (უფლებამოსილება, სამუშაო გეგმა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის სხდომის ოქმები);

ა.ე) საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფები (უფლებამოსილება, სამუშაო გეგმა, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები);

ა.ვ) საკრებულოს ფრაქციები (ფრაქციის წესდება; ფრაქციის შემადგენლობა; ფრაქციის სხდომის ოქმები, ფრაქციის განცხადებები და მიმართვები);

ა.ზ) საკრებულოს ბიურო (შემადგენლობა, უფლებამოსილება, სამუშაო გეგმები, ბიუროს სხდომის ოქმები)

ა.თ) საკრებულოს აპარატი (აპარატის დებულება, აპარატის უფროსი (მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, სამსახურის ტელეფონი, მისამართი), აპარატის სტრუქტურა, თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლებამოსილება, პერსონალური შემადგენლობა თანამდებობის და სამსახურის ტელეფონის მითითებით)

ბ) გამგეობა (მერია):

ბ.ა) გამგეობის (მერიის) დებულება

ბ.ბ) გამგეობის თანამდებობის პირები (თანამდებობა, მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, უფლებამოსილება, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი და მიღების საათები);

ბ.გ) გამგეობის (მერიის) სტრუქტურა;

ბ.დ) გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულები (სტრუქტურული ერთეულის დებულება, სამუშაო გეგმა, პერსონალური შემადგენლობა თანამდებობის და სამსახურის ტელეფონის მითითებით);

ბ.ე) გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოები (ტერიტორიული ორგანოს დებულება, სამუშაო გეგმა, ტერიტორიული ორგანოს უფლებამოსილების ფარგლები, გამგეობის (მერიის) რწმუნებული, მისი მოკლე ბიოგრაფია, პროფესია, პარტიულობა, უფლებამოსილება, სამსახურის ტელეფონი, სამსახურის მისამართი)

2. სამართლებრივი აქტების განყოფილება იყოფა შემდეგ ქვე-განყოფილებებისაგან:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ბაზა (კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები და სხვა ნორმატიული აქტები);

ბ) საკრებულოს სამართლებრივი აქტები:

ბ.ა) თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმა;

ბ.ბ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი;

ბ.გ) საკრებულოს დადგენილებები, საკრებულოს განკარგულებები, საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებები;

გ) გამგებლის (მერის) ბრძანებები

დ) პროექტები:

დ.ა) კანონპროექტები;

დ.ბ) საკრებულოს დადგენილებათა პროექტები

3. მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებისაგან:

ა) მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) ძირითადი გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები;

ბ) ისტორია;

გ) მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) ადმინისტრაციული ერთეულები;

დ) მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) რუკა.

4. ახალი ამბების განყოფილებაში თავსდება ინფორმაცია თვითმმართველ ერთეულში მომხდარ და მიმდინარე მოვლენებზე.

5. მუნიციპალური მეურნეობის განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

ა) ეკონომიკა;

ბ) მრეწველობა;

- გ) მიწათმოწყობა;
- დ) ეკოლოგია;
- ე) საბინაო-კომუნალური მეურნეობა;
- ვ) თვითმმართველი ერთეულის ქონება;
- ზ) ტრანსპორტი;
- თ) ვაჭრობა და მომსახურება;
- ი) სივრცით-ტერიტორიული მოწყობა და მშენებლობა;
- კ) დასაქმება (ვაკანსიები, კონკურსები)

6. სოციალური სფეროს განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებისაგან:

- ა) განათლება;
- ბ) კულტურა;
- გ) ჯანმრთელობის დაცვა;
- დ) სპორტი;
- ე) სოციალური დაცვა;
- ვ) ახალგაზრდობა;
- ზ) მას-მედია;
- თ) პოლიტიკური ორგანიზაციები;
- ი) არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციები.

7. პროგრამები და პროექტების განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) მუნიციპალური პროგრამები;
- ბ) საინვესტიციო პროექტები;
- გ) კონკურსები; აუქციონები.

8. ცნობარის განყოფილებაში თავსდება თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული იურიდიული პირების საცნობარო ინფორმაცია (მოქმედების სფერო, მისამართი, ტელეფონი)

III. საინფორმაციო საზოგადოების გამოცდილება

ესტონეთი: საინფორმაციო საზოგადოების შექმნის გამოცდილება

ივარ ტალლო – ესტონეთის ეკონომიკის და კომუნიკაციების სამინისტროს მრჩეველი

ესტონეთში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში. კერძოდ, ბოლო ათი წლის განმავლობაში ესტონეთში გახსნა ინტერნეტით სარგებლობის მრავალი ცენტრი, ასევე დაინერგა და წარმატებულად გამოიყენება საინფორმაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემები, რითაც ესტონეთი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს გლობალურ ქსელში. რატომ ვაქცევთ ასეთ დიდ ყურადღებას ინტერნეტ-ცენტრების ჩამოყალიბებას? მნიშვნელოვანია არა მარტო უზრუნველვყოთ მოსახლეობა საინფორმაციო ტექნოლოგიებით და ქსელებში შეღწევადობით, არამედ შეიქმნას საჭიროება მოსახლეობის მიერ ამ ტექნოლოგიების სრული გამოყენებისათვის. ესტონეთში მოსახლეობა აქტიურად იყენებს ცენტრალურ და ადგილობრივ საიტებს, არა მარტო ინფორმაციის მიღების მიზნით, არამედ აუცილებელი მონაცემების, მაგალითად, საგადასახადო დეკლარაციების გადასაგზავნად.

თავიდან, როცა ამოქმედდა „ონლაინის“ რეჟიმში საშემოსავლო გადასახადების გადახდის საცდელი პროექტი, მოსახლეობის დაინტერესება და შესაბამისად განცხადებების რაოდენობა იყო იმდენად დიდი, რომ მას სისტემამ თავი ვერ გაართვა. შეთა-

ვაზებული მომსახურება აღმოჩნდა საოცრად პოპულარული. უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით ადვილია გადასახადების გადახდა ინტერნეტით, როცა იხდი ე.წ. „ვირტუალურ“ ფულს.

ელექტრონული სისტემების დანერგვის, გამოყენებისა და შემდგომში მათი განვითარების წარმატების ძირითადი მიზეზი გახლდათ ესტონეთის საზოგადოების მამოძრავებელი ძალების საყოველთაო თანხმობა. ამ თანხმობის შედეგად, პოლიტიკურ ლიდერებს გაუჩნდათ სურვილი განვითარებინათ ეს მიმართულება, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან და რესურსებთან. ინიციატივა მოდიოდა როგორც საზოგადოებრივი, ასევე კერძო სექტორებიდან. ამასთან ერთად ხელისუფლებაც აქტიურად მონაწილეობდა.

ესტონეთს არ გააჩნდა რაიმე ერთიანი სტრატეგია. მან აირჩია სრულიად განსხვავებული გზა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „კონკრეტულ პროექტებზე დაფუძნებული განვითარება“.

წარმატებას ხელს ისიც უწყობდა, რომ ესტონეთი პატარა ქვეყანაა, რომელიც ახლოა ფინეთთან - ერთ-ერთ ლიდერთან საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების დარგში. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლდათ საზოგადოების სურვილი მოეძებნა განვითარების სწრაფი შესაძლებლობები.

ელექტრონული განვითარების ეროვნული სტრატეგია განისაზღვრა დოკუმენტით - „ესტონეთის პოლიტიკის პრინციპები ინფორმაციის სფეროში“. ამ დოკუმენტით მთავრობას დაეკისრა უმნიშვნელოვანესი როლი, ვინაიდან ელექტრონული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის გადამწყვეტია მთავრობის პოლიტიკური ნება.

ელექტრონული განვითარების სისტემის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია:

- მთავრობამ უზრუნველყოს საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების მხარდაჭერა;

- უზრუნველყოს პირობები და შექმნას ისეთი გარემო, რომელშიც შესაძლებელი იქნება საინფორმაციო საზოგადოების განვითარება;

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ხელმისაწვდომია ყველასათვის;

- მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციის აქტიური მიწოდება, რაც ნიშნავს „გამჭვირვალე მთავრობას“

წლების განმავლობაში ესტონეთს არ ჰქონდა სპეციალური სახელმწიფო ორგანო, რომელიც გაუწევდა კოორდინაციას ყველა ამ მიმართულებას და წამოწყებას. დღეს, როცა აღნიშნულ საკითხებს კოორდინაციას უწევს ეკონომიკისა და კომუნიკაციების სამინისტრო, ბევრი თვლის, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ არის ბოლომდე მოხერხებული. ჩვენ დავარქვით ამას სახელისუფლებო ინიციატივების „რბილი კოორდინაცია“, თუნდაც იმიტომ, რომ არავინ ბოლომდე არ იცოდა რა უნდა გაკეთებულიყო. არ ვიცოდით ისიც, თუ რა მოხდებოდა 2-3 წლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვისწრაფოდით შეგვექმნა არა ეროვნული სტრატეგია, არამედ ჩამოგვეყალიბებინა რიგი პრინციპები, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენდა მოქმედებების კოორდინაციის დეცენტრალიზაციას.

რას მივალწიეთ ჩვენი განვითარების გზაზე, რომელიც ეფუძნება კონკრეტულ პროექტებს? მოგიყვანთ რამოდენიმე მაგალითს: „სკოლები ინტერნეტში“ - ეს პროექტი დასრულდა 1999 წელს. განვახორციელეთ მრავალი პროექტი „შელწევადობის დარგში“, რომელიც ეხებოდა ინტერნეტში ყველა ადგილობრივი ადმინისტრაციის სისტემის განთავსებას. ესტონეთის ყველა ბიბლიოთეკაში შექმნილია „შელწევადობის“ ცენტრები. მივიღეთ კა-

ნონი „საზოგადოებრივი ინფორმაციის შესახებ“. ამგვარი პროექტების ინიციატორი, როგორც წესი, უნდა იყოს სახელმწიფო, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში ინიციატორებად გამოვიდნენ გაეროს განვითარების პროგრამა და სოროსის ფონდი, რომლებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და საზოგადოებრივი „შელწევადობის“ ცენტრების შექმნას. როდესაც საქმიანი წრეების წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ უკვე მომგებიანია სახსრების დაბანდება საზოგადოებრივი განვითარების პროექტებში, მაშინ ინიციატივა წამოვიდა ესტონეთის ბიზნესმენებისაგან. ესტონეთის უმსხვილესმა კომპანიებმა, სატელეკომუნიკაციო კორპორაციებმა, ბანკებმა დაარსეს ერთობლივი ფონდი, დააბანდეს დაახლოებით 20 მილიონი დოლარი, რაც ესტონეთისათვის დიდ თანხას წარმოადგენდა. ამ ფონდის დახმარებით შეიქმნა საზოგადოებრივი ცენტრები, სადაც მოსახლეობას საშუალება მიეცა შეესწავლა საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ამდენად, საქმიანი წრეების ამ ნაბიჯმა სარგებელი მოუტანა როგორც საზოგადოებას, ასევე მათ ბიზნესს. თუ ფინანსური ოპერაციები განხორციელდება ინტერნეტ ბანკების მეშვეობით, მაშინ არც ერთ მომხმარებელს, თვით უფროსი თაობის ადამიანსაც არ მოუწევს ბანკში პირადად მისვლა, რადგან ამგვარი მომსახურება გაცილებით მოსახერხებელია, როგორც ბანკისთვის, ისე კლიენტისთვისაც. აუცილებელია კერძო და სახელმწიფო ინიციატივების სწორი გადანაწილება და ურთიერთ დაბალანსება, რაც იძლევა საშუალებას, ყველა ჩაერთოს ამ პროცესში. კერძო სექტორს საშუალება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო პროექტებში, რითაც არა მხოლოდ ხელს უწყობს ამ პროექტების განხორციელებას, არამედ თავადაც ღებულობს მოგებას.

განვახორციელეთ მიზნობრივი სოციალური პროექტები საყოველთაო „შელწევადობის“ უზრუნველსაყოფად. მათ შორის ერთ-

ერთი იყო მასწავლებელთა უზრუნველყოფა კომპიუტერებით. ეს განპირობებული იყო იმით, რომ მასწავლებლებს დაბალი ანაზღაურების გამო არ შეეძლოთ ეყიდათ კომპიუტერები. ასევე დაბალანაზღაურებადია სოფლის მეურნეობის მუშაკთა შრომა. მათ უზრუნველყოფაში უკვე ჩაერთო სახელმწიფო, რომელმაც კომპიუტერების შესაძენად გამოყო დაბალ პროცენტობის კრედიტი, აგრეთვე შეიძინა დიდი რაოდენობის კომპიუტერი და სოფლის მეურნეობის მუშაკებს მიჰყიდა დაბალ ფასებში.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი იყო „ელექტრონული მთავრობის“ პორტალის შექმნა. რითი განსხვავდება ესტონური პორტალი სხვა ქვეყნების ანალოგებისაგან? ესტონეთში გამოიცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც ყველა სახელმწიფო დაწესებულებას, აგრეთვე იმ კერძო კომპანიებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი საზოგადოებრივ მომსახურებასთან, დაევალოთ შეექმნათ აუცილებელი საჯარო ინფორმაციის მოძველი ვებ-გვერდი ინტერნეტში. მათი საერთო კოორდინაციისთვის საჭირო გახდა ცენტრალური პორტალის შექმნა **WWW. government. ea**. აქ შეიძლება იპოვოთ ბევრი საინტერესო. მაგალითად - თათბირის ვირტუალური ოთახი, სადაც შესაძლებელია მიიღოთ სრული ინფორმაცია მთავრობის სხდომის მსვლელობის შესახებ. შეიქმნა ელექტრონული სამთავრობო ბიულეტენი. ეს არის ოფიციალური სახელმწიფო გამოცემა, სადაც ქვეყნდება ესტონეთის კანონები და მათი გამოყენება შესაძლებელია სასამართლოშიაც კი. შექმნილია „ელექტრონული საჩივრებისა და წინადადებების წიგნი“, რომელიც სარგებლობს დიდი ინტერესით. მოსახლეობაში ასევე ძალზე პოპულარულია გვერდი, რომელიც საშუალებას იძლევა უშუალოდ დაუკავშირდეთ მთავრობას. მოსახლეობას აინტერესებს რითაა განპირობებული მთავრობის ესა თუ ის მოქმედება, რა მიზანს ისახავს იგი და რა სარგებელს

მოუტანს მოქალაქეებს. მთავრობა ვალდებულია არა მხოლოდ მისცეს ამომწურავი ინფორმაცია მოსახლეობას თავის საქმიანობის შესახებ, არამედ ეს გააკეთოს ისე, რომ მისი მიღება გახდეს მოსახლეობისთვის რაც შეიძლება მოხერხებული. ამ პრინციპების რეალურ განხორციელებას ემსახურება არსებული პროექტი, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები თვითონ ირჩევენ თუ რა სჭირდებათ მათ, შეიტანონ განცხადება, დაუკავშირდნენ მთავრობას, მოითხოვონ ინფორმაცია და ა.შ.

ამგვარი პროექტები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც „ზევიდან-ქვევით“, ასევე „ქვევიდან-ზევით“. ერთ-ერთი პროექტი, რომელიც განხორციელდა „ზევიდან-ქვევით“ იყო „ელექტრონული მთავრობა“, რომლითაც ამყობენ ესტონელები. ეს არის არა მხოლოდ მთავრობის სხდომების შერსახებ ინფორმაციის მიღების საშუალება, არც სამინისტროებსა და სხვა უწყებებში დადგმული კომპიუტერები, საქმე იმაშია, რომ „ელექტრონულმა მთავრობამ“ გარდაქმნა ყველა პროცედურა და სხდომაზე ინფორმაციის მიწოდების ყველა გზა. ახალა მეტი დრო რჩება სადაო პრობლემების განხილვისთვის. გადაწყვეტილებები, რომელთაც ყველა ეთანხმება ძალიან სწრაფად მიიღება. მოქალაქეს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა მთავრობის სხდომაში, ისე რომ იქ არ იმყოფებოდეს. განხორციელდა კიდევ ერთი, ძალზედ საინტერესო პროექტი - „ელექტრონული პირადობის მოწმობები“. ასეთი მოწმობები სავალდებულოა ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა მცხოვრებთათვის. ეს მოწმობა მოიცავს სრულ ინფორმაციას პიროვნების შესახებ, მათ შორის მის ხელმოწერასაც და მოცემულია ელექტრონული ფორმით. ეს მოწმობები წააგავს საკრედიტო ბარათებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია პიროვნების იდენტიფიკაცია და რომელიც მან შეიძლება გამოიყენოს პრაქტიკულად ყველა სახის მომსახურების მისაღებად.

კიდევ ერთი საკითხი - „ელექტრონული დემოკრატია“. ახლახანს მიღებული იქნა კანონი ამის შესახებ, რომელიც ძალაში შევა 2005 წლიდან. „ელექტრონული დემოკრატია“ არ ნიშნავს მხოლოდ ელექტრონულ არჩევნებს. აქ შედის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ეს არის „ელექტრონული საჩივრებისა და წინადადებების წიგნი“, ასევე „კომენტარების ცენტრი“, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას გამოთქვას საკუთარი აზრი კანონპროექტზე მთავრობაში განსახილველად შეტანამდე. ეს ნიშნავს აგრეთვე „ელექტრონულ ფინანსებს“, ბუღალტრულ აღრიცხვასა და თვით კანონპროექტების მომზადებას „ონლაინ“-ის რეჟიმში, და უფრო მეტიც ელექტრონული ფორმით გადასახადებით დაბეგვრას. მასში შედის ფიზიკური პირის ყველა სახის გადასახადი. მნიშვნელოვანია „ელექტრონული საბაჟო“, როცა განბაჟებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა ხორციელდება „ონლაინ“-ის რეჟიმში იგი ხდება არა მარტო ეფექტური, არამედ პრაქტიკულად გამოირიცხება კორუფციისა და უფლებამოსილებათა გადამეტების შემთხვევები.

რამ განაპირობა ყველა ეს მიღწევა?

რა თქმა უნდა უპირველესად სამთავრობო გადაწყვეტილებებმა საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, საინფორმაციო საბჭოს წინადადებებმა და სათათბირო ორგანოების რეკომენდაციებმა, მთავრობის, კერძო და მესამე სექტორის საერთო ინიციატივებმა, რომლებიც განხორციელდა სახელმწიფო საინფორმაციო სისტემების დეპარტამენტის და საინფორმაციო ფონდის მხარდაჭერით.

განვითარებისათვის აუცილებელია ელექტრონული უშიშროების პრობლემების გადაწყვეტა და გლობალური ქსელის საიმედოობის უზრუნველყოფა, რადგან ამაზეა დამოკიდებული როგორც პი-

როვნების პირადი ცხოვრებისა და საქმიანობის, ასევე საერთო სახელმწიფო ინტერესების დაცვა.

ბოლოს უნდა აღვნიშნო ინფორმირების აუცილებლობაზე, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით ცენტრალური საკითხია. აუცილებელია მოვიპოვოთ მოსახლეობის მხარდაჭერა, რაც შეიძლება მიღებული იქნეს მოქალაქეთათვის კონკრეტული, მათთვის სასარგებლო მომსახურების მიწოდებით. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ელექტრონული ადმინისტრაციის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რაც უნდა გადაწყდეს მმართველობის სისტემის რეფორმირების კონტექსტში. მთავრობასა და სახელმწიფო მმართველობაში მხოლოდ ტექნოლოგიების დანერგვა მართვის პროცედურების შეცვლის გარეშე ვერ იქნება რეალური შედეგის მომცემი. ეს შედეგი შეიძლება მიღებული იქნეს მხოლოდ საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სახელმწიფო რეფორმებთან შეთავსებით.

კორპორაცია „მაიკროსოფტის“ სტრატეგია სახელმწიფო სამსახურების ავტომატიზაციის შესახებ

ამ დოკუმენტის მიზანია სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებელი პირებს გააცნოს „ელექტრონული მთავრობის“ (eGovernment) შესახებ კორპორაცია Microsoft-ის შეხედულებები. მასში გადმოცემულია სახელმწიფო სამსახურის ავტომატიზაციის ძირითადი მიმართულებები და მოცემულია, თუ რანაირად არის შესაძლებელი კორპორაცია Microsoft-ის მიერ შემოთავაზებულმა უნიკალურმა პროდუქტმა შეუწყოს ხელი სახელმწიფოს მის წინაშე არსებული ამოცანების გადასაჭრელად. მართალია, ამ დოკუმენტში მოცემული მაგალითები მიესადაგება აშშ-ს რეალიებსა

და განვითარების ღონეს, მაგრამ იგი ასევე სასარგებლოა სხვა ქვეყნების სახელმწიფო სამსახურებისათვის, რომლებიც ვალდებული არიან საინფორმაციო ეკონომიკის სათავეში მოექცნენ.

სახელმწიფო სამსახურები საინფორმაციო ეპოქაში

ინდუსტრიული ეპოქის ისეთმა სიახლეებმა, როგორცაა რკინიგზა და ავიაცია, გასაღების ახალი ბაზრის აღმოცენების შედეგად სრულიად შეცვალეს საზოგადოების და ბიზნესის სახე. შედეგად სხვადასხვა კომპანიებს შესაძლებლობა გაუჩნდათ დაემყარებინათ კავშირი ახალ მომხმარებლებთან და მიმწოდებლებთან. სახელმწიფომ უზრუნველყო ახალი ინფრასტრუქტურის საკანონმდებლო მხარდაჭერა და სტაბილურობა, შედეგად ტვირთების გადაზიდვამ რკინიგზასა და საჰაერო სივრცეში გაზარდა ეკონომიკის ეფექტურობა და ხელი შეუწყო თავად სახელმწიფოს განვითარებას.

ისევე, როგორც ინდუსტრიულ ეპოქაში რკინიგზა მოგვევლინა კომუნიკაციის ახალ საშუალებად, ასეთ ახალ საშუალებას საინფორმაციო ხანაში წარმოადგენს ინტერნეტის ქსელი. დღეს ინტერნეტი შესამჩნევ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ სტრუქტურებზე. კერძოდ, ის ხელს უწყობს პარტიორებთან ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, გასაღების ახალ ბაზარზე გასვლას, შემოსავლის ახალი წყაროების შექმნას, ხარჯების შემცირებას. სახელმწიფო სამსახურებმა ფეხი უნდა აუწყონ ინდუსტრიული საუკუნიდან საინფორმაციო ეპოქაში გადასვლის პროცესს. მოქალაქეებს და კერძო ფირმებს დღეს უკვე აღარ აკმაყოფილებთ სახელმწიფო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული მომსახურების ფორმები (ინდუსტრიულ ეპოქაში ასეთი მომსახურება ვერტიკალური ფორმით ხორციელდებოდა). ხალხი თავის მთავრობისაგან ელის სახელმწიფო მომსახურების ხარისხის გაუმ-

ჯობელებას, ეფექტიანობის ზრდას და ხარჯების შემცირებას. ისევე, როგორც ინდუსტრიულ ეპოქაში, სახელმწიფო ორგანოებს მოუწევთ სათავეში მოექცნენ საინფორმაციო ხანაში გადასვლის პროცესს. სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ მოქალაქეებთან, კერძო კომპანიებთან, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობების სახეცვლილება. სახელმწიფო სამსახურებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა გახდნენ გარდაქმნების კატალიზატორები. საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება ბევრ ორგანიზაციას უბიძგებს ელექტრონული მთავრობის კონცეფციის გათავისებისაკენ. ამ კონცეფციის მიზანია:

მოსახლეობას შესთავაზოს ინტეგრირებული მომსახურება ინტერნეტის ქსელით. ორგანიზაციებმა არა მხოლოდ უნდა გაუწიონ მოსახლეობას ინტერნეტით ჩვეულებრივი მომსახურება და ამით აარიდონ ისინი მრავალსაათიან რიგებს, არამედ ინტერნეტის საშუალებით შეიძლება ინტეგრირებული მომსახურების და დამატებითი შესაძლებლობების შეთავაზება. კერძოდ, იმის მაგივრად, რომ მოქალაქე ეწვიოს რამოდენიმე კანტორას, ან შევიდეს რამოდენიმე ვებ-საიტში რაიმე ოფიციალური ნებართვის მისაღებად, შესაძლებელია ყველა ოპერაციის ჩატარება ერთ ადგილზე 24 საათიანი და კვირაში 7 დღიანი დაშვების პირობით.

აღმოფხვრას საინფორმაციო უთანასწორობა. სახელმწიფო ვალდებულია და შეუძლია ხელმისაწვდომი გახადოს ახალი ტექნოლოგიები საზოგადოების ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისათვის; სხვადასხვა პროგრამებისა და მეთოდების გამოყენებით ორგანიზება გაუწიოს კომპიუტერის მოხმარების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას ახალგაზრდობისა და ხანდაზმულებისათვის.

უზრუნველყოს მოქალაქისათვის მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების საშუალება. იმ იდეამ, რომ ადამიანი არ ასრულებს სწავლას სკოლის დამთავრებისთანავე, შეიძლება ხორცი

შეისხას ელექტრონული სწავლების განვითარების გზით. „მცოდნე მუშაკებისაგან“ (knowledge workers) შემდგარი მომავალი საზოგადოება გააგრძელებს განათლების მიღებას ინტერნეტის საშუალებით.

მოსახლეობასთან ურთიერთობის გარდაქმნა. იმის მაგივრად, რომ მოქალაქეებს გაეწიოთ ერთგვაროვანი მომსახურება, სახელმწიფო დაწესებულებებს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ძალუძთ თითოეულ მათგანს გაუწიოს ინდივიდუალური მომსახურება.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. სახელმწიფო დაწესებულებებს შეუძლიათ დაეხმარონ კერძო კომპანიებს ინტერნეტისა და სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებაში. ზოგჯერ ამისათვის საჭიროა კონსულტაციების გაწევა და მატერიალური სტიმულირება. კომერციაში ელექტრონული ფორმების გამოყენება აახლოებს ამ კომპანიას მომხმარებელთან და საშუალებას აძლევს აითვისოს ახალი ბაზრები, რაც ასევე ხელს უწყობს მოსამსახურეთა პროფესიონალიზმის ზრდას და დასაქმებას.

სწორი პოლიტიკისა და კანონების შემუშავება. საინფორმაციო საზოგადოება აიძულებს კანონმდებლებს გადაჭრან ისეთი ახალი პრობლემები, როგორცაა მოქალაქეთა იდენტიფიკაცია და მათი ელექტრონული პირადობის მოწმობა, კონფიდენციალობა და მონაცემთა დაცვა, იურისდიქცია კიბერსივრცეში, ელექტრონული კომერციის დაბეგრა, „კიბერდამნაშავეობა“ და „კიბერტეტორიზმი“. სახელმწიფო უნდა ქმნიდეს ისეთ კანონმდებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ყველა სახის ოპერაციებისადმი ნდობას და შენარჩუნებული იქნება წონასწორობა ეკონომიკური განვითარების აუცილებლობასა და ინფორმაციის კონფიდენციალობას შორის.

მოქალაქეთა მონაწილეობით მართვის ახალი ფორმების შექმნა. სახელმწიფო სამსახურების ავტომატიზაციამ საბოლოო

ჯამში შეიძლება მიგვიყვანოს „პირდაპირ დემოკრატიაში“ (შუალედური რგოლების გარეშე). უკვე ღღეს ადგილებზე მუნიციპალური ორგანოები ატარებენ დებატებს, დისკუსიებსა და ხმის მიცემას ინტერნეტის საშუალებით. ეს ეხმარება ადგილობრივ ორგანოებს გადაწყვეტილების მიღებაში და ყველა მოქალაქეს საშუალებას აძლევს ჩაებას ამ პროცესში.

სახელმწიფო სამსახურის ავტომატიზაციის სამი პერსპექტივა

პერსპექტივა მოქალაქეთათვის

მოქალაქეები ელიან, რომ სახელმწიფო სამსახურები კომერციული ორგანიზაციების მსგავსად იმუშავენ. აშშ-სა და მრავალ სხვა ქვეყანაში ხალხს შეუძლია ინტერნეტის საშუალებით თვითმფრინავის თუ თეატრის ბილეთის შეძენა, შესაბამისად მათ სურთ იგივე ფორმით ავტომობილის რეგისტრაციის განხორციელება ან გადასახადების გადახდა 24 საათიანი და კვირაში 7 დღიანი მომსახურების პირობით. მათ სურთ ეს მომსახურება მიიღონ სახლიდან ან სამსახურიდან გაუსვლელად. მათ არ სურთ შეზღუდვა, თუ რა საშუალებებით იქნება ეს მომსახურება მიღებული: პერსონალური კომპიუტერით, Web TV, მობილური ტელეფონით თუ სხვა მოწყობილობით. მოქალაქეებს არ აინტერესებთ, რომელი ოფიციალური პირია პასუხისმგებელი ამა თუ იმ სახელმწიფო პროგრამასა თუ მომსახურების სახეზე. იმისათვის, რომ მოსახლეობისათვის გაწეული იქნას პერსონალიზებული მომსახურება, სახელმწიფო სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ მთელ ინფორმაციაზე დაშვების შესაძლებლობა ერთი ინტეგრირებული წყაროს მეშვეობით. ვებ-პორტალების და ელექტრონული მაღაზიების მეშვეობით, რომელთა გამოყენებით ხალხი ახდენს ინ-

ტერნეტში შეღწევას, შესაძლებელია ყველა სახელმწიფო ორგანიზაციისათვის ერთიანი ინტერფეისის შექმნა.

შელწევის (დაშვების) ერთიანი წერტილი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გამოხატონ თავისი დამოკიდულება იმ საკითხებისადმი, თუ რას მოელიან ისინი სახელმწიფო სამსახურებისაგან და რა ესაჭიროებათ. ამის მეშვეობით ხალხს შეუძლია აქტიური მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ ადამიანს აინტერესებს, მაგრამ არ სცალია მუნიციპალიტეტში ან რომელიმე სხვა კომიტეტზე მისასვლელად, მას შეუძლია ელექტრონული წერილის გაგზავნა ან ინტერნეტის სადისკუსიო ფორუმში შეტყობინების განთავსება.

პერსპექტივა ბიზნესისათვის

მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ახალი საშუალებების შექმნით სახელმწიფო ამავედროულად ქმნის ჯანსაღ საქმიან კლიმატს და ადგილობრივ კომპანიებს უქმნის უკეთეს გარემოს უცხოურ კომპანიებთან შედარებით. როცა კომპანიები ურთიერთგარიგებაში იყენებენ ელექტრონულ კომერციას, მნიშვნელოვნად მცირდება მატერიალური დანახარჯები და უმჯობესდება მართვა. სახელმწიფო ორგანოებთან ინტერნეტით ურთიერთქმედება ზრდის კერძო კომპანიების კონკურენტუნარიანობას და ამარტივებს ოფიციალურ პროცედურებს. კომპანიებს უადვილდებათ კანონის დაცვა და ძალუძთ საქმიანობის სწრაფად დაწყება. ყოველივე ეს ხდება ელექტრონული სახით დოკუმენტების, სტატისტიკური ანგარიშების მიწოდებით და ინტერნეტის საშუალებით გადასახადების გადახდით. მაგალითად, მოიჯარე მშენებლებს იმის მაგივრად, რომ იარონ ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ავსონ სხვადასხვა ქაღალდები, შეუძლიათ მშენებლობაზე ნებართვის აღება და ინსპექტირების ვადების გამოყენება ელექტრონული ფოსტის საშუ-

ალებით. სახელმწიფო ორგანოებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნით შეუძლიათ ხელი შეუწყონ ჯანსაღი ბიზნესის განვითარებას. კომპანიებს, რომლებიც მუშაობენ იმ ოლქებში, სადაც სწავლ-შელწევადი და ხელსაყრელი ფასის ქსელია, გააჩნიათ უპირატესობა იმ ფირმებთან შედარებით, რომელთაც ასეთი პირობები არა აქვთ. ერთიანი ქსელით ინტეგრირებული მომსახურების შეთავაზება იძლევა კერძო კომპანიების და სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლობის საშუალებას. მაგალითად, საბუღალტრო და საგადასახადო სამსახურებს შეუძლიათ ერთობლივად შესთავაზონ მოსახლეობასა და კომერციულ საწარმოებს ინტერნეტის მეშვეობით გადასახადების გადახდისა და ანგარიშგების ერთიანი ფორმა. აშშ-ში სახელმწიფო სამსახურების ავტომატიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების დაფინანსება ხორციელდება „სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის“ (Public Private Partnerships) პროგრამის ფარგლებში, სადაც მოგებაც და ზარალიც ნაწილდება მხარეთა შორის.

პერსპექტივა სახელმწიფო სამსახურისათვის

სახელმწიფო სამსახურებს შეუძლიათ შეცვალონ მოსახლეობის არც თუ ისე კარგი წარმოდგენა მათ საქმიანობაზე. მოიპოვონ მათი მხარდაჭერა და ნდობა. კლიენტებთან ურთიერთობის ხასიათის გარდაქმნა მოითხოვს ახლებურ მომსახურებას, რაც გამორიცხავს გაჭიანურებასა და რთულ პროცედურებს. მომხმარებელზე ორიენტირებული ორგანიზაციები აღწევენ უფრო ღიდ წარმატებებს როგორც თავისი ფუნქციების განხორციელებისას, ასევე მოსახლეობასთან მუშაობისას. ასეთ ორგანიზაციებს საშუალება აქვთ გაუადვილონ მოსახლეობას მომსახურების მიღება, გაზარდონ მომსახურების მოცულობა და შეამცირონ სახელმწიფო მო-

სამსახურეთა ის დრო, რომელიც არ არის დაკავშირებული კლიენტის მომსახურებაზე.

მოსახლეობის საჭიროებაზე ორიენტირებული ორგანიზაციებისათვის ნათელია, რომ მომსახურების გაწევის მთელი პროცესი არ არის დამოკიდებული ერთ ადამიანზე. ამიტომ ისინი აერთიანებენ კლიენტთან ურთიერთობის მართვის სისტემას, ლოკუმენტბრუნვას და ინტერნეტ-ტექნოლოგიებს, რითაც სახელმწიფო მომსახურებებს აქცევენ „ცოდნის მმართველ“ მუშაკებად. სახელმწიფო მომსახურებებს უნდა შეეძლოთ საქმის წარმოების პროგრამული საშუალებების გამოყენება, შეეძლოთ ნებისმიერ სიტუაციაში გარკვევა და შესაბამისი კანონებისა და ნორმების გამოყენება. ამისათვის აუცილებელია მომსახურებებს შეეძლოთ ელექტრონულ „სამუშაო მაგიდებზე“ არსებულ ფაილებში ერთდროული მუშაობა. ეს საშუალებას იძლევა ერთნაირი მომსახურება გაეწიოს მოქალაქეებს და შემცირდეს მომსახურების გაწევის დრო.

„ელექტრონული მთავრობის“ თავისებურებები და წარმატების ხელშემწყობი ფაქტორები

ელექტრონული სახელმწიფო სამსახურები მოსახლეობასა და კომერციულ ორგანიზაციებს სთავაზობენ იმ სახით მომსახურებას, როგორსაც მათგან მოელოდნენ. ამისათვის გამოიყენება ინტერნეტი და სხვა ტექნოლოგიები. „ელექტრონული მთავრობა“ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით წარმოადგენს იმ ინფრასტრუქტურას, რომელსაც დღეს ქმნიან სახელმწიფო ორგანოები დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებების შესაცვლელად. სახელმწიფო სექტორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ადრე გამოიყენებოდა მხოლოდ ცალკეული დეპარტამენტებისა და დაწესებულებების შიდა მოხმარებისათვის. ახლა კი სახელმწიფო სამსახურებს ძალუძთ ღია და ხელმისაწვდომი გახადონ ეს საშუ-

ალებები მოსახლეობისათვის, რითაც ელექტრონული საუკუნის მთავარი ღირებულება „სწრაფად, უკეთესად, იაფად, ხელმისაწვდომად“ მიესადაგა სახელმწიფოს მიერ გაწეულ მომსახურებას.

„ელექტრონულ მთავრობაზე“ გადასვლა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ იწყება ინტერნეტის გამოყენებით. თავდაპირველად დაწესებულებები ქმნიდნენ ვებ-საიტებს, სადაც ახდენდნენ თავის მომსახურების და ზოგადი ხასიათის ინფორმაციის (სამუშაო საათები, საკონტაქტო პირები, ტელეფონის ნომრები და ა.შ.) რეკლამირებას. ხშირად ხდებოდა ადრე გამოქვეყნებული მასალების კოპირება, რაც ე.წ. „ბროშურებს“ ქმნიდა. მოგვიანებით ორგანიზაციებმა დაიწყეს ყოვლისმომცველი დინამიური ინფორმაციის შეთავაზება, რაც იძლეოდა მონაცემების ბაზაში ძიების და ელექტრონული ფოსტით გზავნილებზე პასუხის გაცემის საშუალებას. დაწესებულებები ისწრაფვიან სულ უფრო მრავალფეროვანი ინტერაქტიული მომსახურების დანერგვისაკენ. ეს საშუალებას აძლევს მოქალაქეებს შევიდნენ სახელმწიფო ვებ-გვერდებზე, შეავსონ სხვადასხვა ოფიციალური ფორმები, დანიშნონ შეხვედრები თანამდებობის პირებთან, მოძებნონ სამუშაო და სხვ. შემდგომი ნაბიჯი იქნება ფინანსური და იურიდიული მომსახურების შეთავაზება, რომლითაც მოქალაქეებს და კერძო ფირმებს საშუალება ეძლევათ შეისყიდონ ლიცენზიები და ნებართვები, გააგზავნონ საგადასახადო დეკლარაციები, გადაიხადონ ჯარიმები და მიმართონ თხოვნით სოციალური შეღავათების მიღების შესახებ. ამ მომსახურების გაწევა მოითხოვს „ელექტრონული მთავრობის“ ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების დაცვის გაზრდას. ეს შეიძლება მიღწეული იქნეს ისეთი ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით, როგორებიცაა - ელექტრონული ხელმოწერები, სერთიფიკატები, სმარტ-ბარათები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კერძო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის პროგრამების შემუშავება,

მათი დანერგვა ინფრასტრუქტურაში და მართვა ბიზნეს-მექანიზმების საშუალებებით. მაგალითად, პიროვნების იდენტიფიკაცია შეიძლება ისეთი სერთიფიკატის გაცემით, რომელიც იძლევა ამ პირის ამოცნობის საშუალებას.

მომავალში ორგანიზაციებს მოუწევთ თანამშრომლობა ერთობლივი პორტალის დასანერგად, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს გადავიდნენ ერთი ტიპის მომსახურებიდან მეორეზე, ისე რომ არ დასჭირდეთ ხელახალი რეგისტრირება. ამ თანამშრომლობით სახელმწიფო მონაცემთა ბაზები ინტერაქტიული და ურთიერთდაკავშირებულნი გახდებიან, რითაც შესაძლებელია ინფორმაციისა და მომსახურების ცხოვრებისეული სიტუაციებისა და კონკრეტული სფეროების მიხედვით დაჯგუფება. ასეთ დროს ინტერნეტით ინფორმაციული გაცვლის პროცედურათა რაოდენობა მიაღწევს „კრიტიკულ მასას“, რის გამოც უკვე არა ვებ-საიტები წარმოიადგენენ ამა თუ იმ ბიუროკრატიულ სტრუქტურას, არამედ პირიქით - ორგანიზაციული სტრუქტურები ასახავენ ინტერნეტში მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებულ სახელმწიფო სამსახურს. ასეთი ტრანსფორმაცია მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების მნიშვნელობისა და მათი სტრუქტურების ახლებურ გააზრებას. მოქალაქეები აღმოჩნდებიან „სადავეებთან“, ხოლო მომსახურება და ინფორმაცია მათ მაშინ მიეწოდებათ, როცა ამას თვითონ მოინდომებენ. მოქალაქეებს ექნებათ სახელმწიფო სამსახურის პორტალებთან პერსონალიზირებული დაშვების, აგრეთვე არა მხოლოდ სახელმწიფო მომსახურების მიღების, არამედ კომერციული ვებ-საიტების და საზოგადოებრივი პორტალების გამოყენების საშუალება. სახელმწიფო სამსახურებთან ურთიერთმოქმედების, მათგან ინფორმაციის მიღების და ოფიციალურ დოკუმენტებთან დაშვების გამარტივებით მოსახლეობა იქნება უკვე ინფორმირებული და უფრო ხალისიანათ ჩაერთვება სახელმწიფო

მართვის პროცესში. ეს საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებასთან და მართვის ისეთ მოდელთან მიგვიყვანს, სადაც მოქალაქეები უშუალოდ და პირდაპირ მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამას ხასიათდებიან:

ღიაობით და ყოვლისმომცველობით.

სახელმწიფო სამსახურების საქმიანობა გამჭვირვალეა, რადგან ინტერნეტ-მომსახურება ეფუძნება ქსელში არსებულ სტანდარტებს და იგი ხელმისაწვდომია ყველა მოქალაქისათვის ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საშუალებით. საინფორმაციო საზოგადოება ყველას უნდა მოიცავდეს. ამიტომაც სახელმწიფომ უნდა გამორიცხოს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ინტერნეტ-მომსახურება ხელმისაწვდომია ცალკეული პირებისა თუ კომპანიებისათვის, ცალკეული რაიონებისა თუ დასახლებისათვის.

მომხმარებელთა საჭიროებაზე ორიენტაციით.

სახელმწიფო სამსახურებს, რომლებიც აღჭურვილნი არიან ინტერნეტ-ტექნოლოგიებით გააჩნიათ მოქალაქეთა მოთხოვნებზე ფოკუსირების მეტი უნარი. მოქალაქეებთან ურთიერთობის მართვის სისტემის გამოყენებით, ხარისხიანი პერსონალიზირებული მომსახურების მიწოდების მიზნით ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ თვალი ადევნონ და გაანალიზონ ინფორმაციის მოძრაობა. ინფორმაციის ორხმრივი გაცვლა და დამატებითი შესაძლებლობების წარმოჩენა სულ უფრო მეტ ხალხს მოიზიდავს ინტერნეტ-მომსახურებით სარგებლობისათვის.

მომსახურების ინტეგრაციით

სახელმწიფო სამსახურების ბიზნეს-პროცესები ინტერნეტში სრულად ინტეგრირებულ სისტემას წარმოადგენენ, რადგან არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ცალკეული ქვედანაყოფების დაშვებით და მოიცავენ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას. ვერტიკალური მიდგომა წარსულს ჩაბარდა და მოქალაქეები ხელავენ შემოთავაზებულ მომსახურებას და არა სახელმწიფო ორგანოების შიდა მოწყობის სირთულეებს. ამრიგად, სახელმწიფო ინტერნეტ-პორტალში ჩართვით მოქალაქეს თავისუფლად შეუძლია ავტომობილის მართვის უფლების განხორციელება და ამისათვის მას არ სჭირდება ავტოინსპექციის რთული საორგანიზაციო სტრუქტურის ცოდნა.

სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობით

მრავალი სახელმწიფო სამსახური განიცდის გამოცდილი კადრების ნაკლებობას, რომელთაც შეეძლება სახელმწიფო ორგანიზაციების ავტომატიზაციის პროექტების განხორციელების ხელმძღვანელობის უნარი. მომსახურების ხარისხის ამაღლების მოლოდინით მყოფი მოსახლეობის ზეწოლით სახელმწიფო ორგანოები სულ უფრო ხშირად იწყებენ კერძო სექტორთან თანამშრომლობას, რათა დროულად შექმნან სახელმწიფო სამსახურის პორტალები. შესაძლებელია სახელმწიფო სამსახურებმა გამოსცადონ მიწოდების ახალი მოდელები. მაგალითად, ნაწილობრივი თვითანაზღაურების მოდელი, როდესაც მოიჯარეს ეძლევა შემოსავლის მიღების საშუალება. კერძო კომპანიების მიერ მიწოდებული დამატებითი მომსახურებისას ასევე ხდება სახელმწიფო სამსახურის პორტალებში ინტეგრირება.

მოქალაქეები ბევს ელიან სახელმწიფოსაგან, რის საპასუხო-დაც ხდება სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ავტომატიზაციის პროექტების სწრაფი რეალიზება. ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ხალხის აზრით „ელექტრონულ მთავრობაზე“ გადასვლა პრიორიტეტული უნდა იყოს. ინტერნეტით ახალი სახის მომსახურების შეთავაზებას როგორც მოსახლეობა, ისე კერძო სექტორი დადებითად აფასებს. სახელმწიფო სამსახურების ავტომატიზირება წარმატებულია იმ შემთხვევაში, თუ ძალუძს მოიცვას მთელი მოსახლეობა.

„ელექტრონული მთავრობა“ შედგება სამი ჯგუფის საინფორმაციო-ტექნოლოგიური საშუალებებით: ინფრასტრუქტურა, ვერტიკალური გადაწყვეტილებები და დაშვების სხვადასხვა არხები, მათ შორის საზოგადოებრივი პორტალები. „ელექტრონული მთავრობის“ ინფრასტრუქტურა იქმნება „ქვემოდან ზევით“. ის იძლევა კონკრეტული პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტის კონკრეტულ გზებს, შესაბამისად მისი გამოყენება ყველასათვის მისაღებია. ამიტომაც აუცილებელია, რომ ასეთი ინფრასტრუქტურა ყველგან შეიქმნას.

სახელმწიფო სამსახურების სისტემა

„ელექტრონული მთავრობის“ ინფრასტრუქტურის ბაზაზე არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მოქალაქესათვის მიუხედავად იმისა, ეს დაწესებულება იმყოფება ფედერალურ, რეგიონალურ თუ ადგილობრივ დონეზე. ავტომატიზაციის პროექტები უნდა იზიდავდეს არა მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ქსელით სარგებლობენ, არამედ იმათაც, ვისაც ამ საშუალებებით არასდროს უსარგებლიათ. ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია „ელექტრონული მთავრობის“

მომსახურების გაფართოება მოქალაქეებისათვის და კერძო კომპანიებისათვის.

მოსახლეობას აშშ-ში სახელმწიფო მომსახურება მრავალი არხით მიეწოდება (მაღაზიები, ბანკები, კავშირგაბმულობის საშუალებები). სახელმწიფო დაწესებულებებს აქვთ დადებული შეთანხმება იმ კომპანიებთან, რომლებიც მომსახურებას ეწევიან. ამის შემწეობით მოქალაქეებს და კერძო ფირმებს ანგარიშებზე ფულის ჩარიცხვა და გადასახადების გადახდა შეუძლიათ ადგილობრივი ბანკებიდან. სახელმწიფო მომსახურების ის ქსელი, რომელიც შეიქმნა მოქალაქეებთან ურთიერთობებისათვის, გამოიყენება ვირტუალურ სამყაროშიც. მას, ვინც საბანკო ოპერაციებს ინტერნეტით ახორციელებს, იმის საშუალებაც უნდა ქონდეს, რომ გადასახადები ასეთივე წესით გადაიხადოს.

ინტერნეტში მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის არხებად შეიძლება წარმოგვიდგეს სახელმწიფო ვებ-საიტი, ელექტრონული მაღაზია და საზოგადოებრივი პორტალები, როგორცაა Yahoo, AOL, MSN Microsoft –ის კორპორაციიდან. სახელმწიფო ინტერესებშია მაქსიმალურად გამოიყენოს მომსახურების ეს არხები, რადგან საზოგადოებრივ პორტალებს ერთ დღეში იმდენი ხალხის მოზიდვა შეუძლიათ რაც სახელმწიფო ვებ-საიტს ერთ თვეში. ასე მაგალითად, აშშ-სა და 28 სხვა ქვეყანაში MSN პორტალის მეშვეობით Microsoft ხელს უწყობს სახელმწიფოსთან მოქალაქეების ურთიერთობას და ადგილმდებარეობის შეცვლის შემთხვევაში ხმის მიცემისათვის შესაძლებლობას სთავაზობს.

სახელმწიფო სამსახურების ელექტრონულ სისტემაში არსებობს ერთი ან რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც კონკრეტულ მომსახურებას ეწევა. ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ სახელმწიფო ვებ-საიტის მეშვეობით ინტერნეტში გაცვალონ ინფორმაცია

მოსახლეობასთან. მაგრამ უმჯობესია ისინი მუშაობდნენ მომსახურების პროვაიდერთან, რომელსაც ძალუძს მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვა და იმუშავებს სხვადსხვა ინტერნეტ-მაღაზიებთან და საზოგადოებრივ პორტალებთან. სახელმწიფო მომსახურების ინტერტეთის ქსელით შეთავაზებისათვის საჭიროა საზოგადოებრივ პორტალს, მომსახურების პროვაიდერსა და სახელმწიფო დაწესებულებათა შორის ინტეგრაცია.